ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის ოთხშაბათობით №43 (1744) 17 - 23 ნოემბერი, 1999 წ. ფასი 50 თეთრი



## ემზარ კვიტაიშვილის ლოგიკიდან „სეთურის“ ლოგიკამდე, ანუ გააუქმა თუ არა გამსახურდიამ გვარდია?

მესამე გვერდი

## რატომ ჩაიშალა მარტვილში არჩევნები?

მარტვილის საარჩევნო ოლქში საპარლამენტო არჩევნების ხელახალი ხმის მიცემის პროცედურა არ გაიმართა. საარჩევნო ოლქში ბიულეტენების წასაღებად არცერთი საუბნო კომისიის თავმჯდომარე არ გამოცხადდა.

იმის შესახებ, თუ რატომ ჩაიშალა მარტვილში არჩევნები, რამდენიმე თეორიული ვერსია გავრცელდა, მათ შორის ერთ-ერთი გარკვეული ძალების მიერ კომისიის თავმჯდომარეების დაშინება გახლავთ, თუმცა ამ ძალებში ვინ იგულისხმება, არ კონკრეტდება, ისე კი არჩევნების ჩაშლა შესაძლოა „მოქალაქეებს“ უფრო აწყობდეთ, ლეიბორისტების „ხმაურმა“ და სიმართლის დასადგენად „გაცხელებულმა“ სასამართლო პროცესებმა ამავე პარტიის მაჟორიტარ დეპუტატობის კანდიდატს ფრიდონ ინჯიას გამარჯვების შანსები თითქმის გაუორმაგა.

## ნოდარ ნათაძე: რუსეთის გეგმაა ამიერკავკასიაზე შემოტევა...

მეორე გვერდი

## რევაზ მიშველაძე: რადა მაინც და მაინც 9 აპრილს დაამთხვიეს საპრეზიდენტო არჩევნები...



მეორე გვერდი

### გილოცავთ! გილოცავთ!

გულითადად ვულოცავთ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებას ცნობილ მწერალსა და კრიტიკოსს, ნიჭიერ პუბლიცისტსა და რედაქტორს, ბატონ **ნოდარ გრიგალაშვილს**. გვჯერა, რომ ბ-ნი ნოდარის მოღვაწეობა პარლამენტში მიმართული იქნება ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებას ვულოცავთ ბლოკ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“. დარწმუნებული ვართ, ეს ბლოკი სერიოზულად იზრუნებს ქართული მრეწველობის, ეკონომიკის აღორძინებაზე.

გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია

ელექტრონული ვერსია Http:// www.opentxt.org.ge/sakartvelo

## ინტერვიუ

ნოდარ ნათაძე:

# რუსეთის გეგმაა ამიერკავკასიაზე შემოტევა

*– როგორ ხედავთ საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას კავკასიური ომის ფონზე?*

– უკანასკნელი კავკასიური ომის თარიღებად ითვლება 1994-96 წლები. ამგვარად, მის დამთავრებასა და დღევანდელი ომის დაწყებას შორის სამმა წელმა განვლო. როგორ ფიქრობთ, რას მოანდომა რუსეთმა ეს სამი წელი? მხოლოდ იმ სამოციათასიანი ძალის თავმოყრას, რომელიც დღეს გროზნოს უტევს? ცხადია, არა! რუსეთმა დღევანდელი ოპერაციები დაგეგმა, როგორც ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი უფრო დიდი შეტევისა სამხრეთისკენ, სახელდობრ, ამიერკავკასიისკენ. უკვე მრავალი წელია მას ჩრდილო კავკასიაში განლაგებული ჰყავს ორი ჩვეულებრივი არმია ანუ ძირითადად მოტომსროლელი ნაწილები, ხოლო ვოლგოგრადის მხარეს – სატანკო არმია. პირველი ორის დანიშნულებაა ფრონტის გარღვევა, მესამისა – ამ გარღვევაში შესვლა და მოწინააღმდეგის ზურგის განადგურება. 1996 წლის შემდეგ როსტოვის სამხედრო ოლქის შტაბი გადმოიტანეს ვლადიკავკაზში, რაც იმას მოწმობს, რომ მომავალი საბრძოლო მოქმედებების თეატრად ამიერკავკასია ჰყავთ ნაგულისხმევი. დასკვნა ნათელია: რუსეთის გეგმაა ამიერკავკასიაზე შემოტევა, რითაც, ჯერ ერთი, ისინი შუაზე წყვეტენ ევროპააზიის კომუნიკაციას და ამით ინარჩუნებენ კონტროლს შუა აზიაზე ერთის მხრივ და შავ ზღვაზე – მეორეს მხრივ. მეორეც, ამით ისინი ღიად იტოვებენ გზას კიდევ უფრო სამხრეთისკენ, რათა ახლო აღმოსავლეთი მუდმივი „შიშის" ქვეშ იყოლიონ და მის ეკონომიკურსა და პოლიტიკურ ქცევაზე ზემოქმედება მოახდინონ.

*– განა შესაძლებელია ამ გეგმის განხორციელება დღევანდელ პირობებში, როცა რუსეთის დიდი ომის ეკონომიკური ძალა აღარა აქვს?*

– უფრო „არა", ვიდრე „ჰო". მაგრამ ეს მთავარი არ არის. მთავარი ის არის, რომ ეს სცენარი ერთ-ერთ ვარიანტად *არსებობს* და, მაშასადამე, მისი განხორციელებისათვის ბრძოლა *მიმდინარეობს*. ხოლო რაკი ბრძოლა მიმდინარეობს, ორივე მხარე იძულებულია ამ ბრძოლის მოგებისათვის ყველა შესაძლო გზას მიმართოს. აბა დააკვირდით. რისთვის და რისთვის იბრძვიან სხვადასხვა მსოფლიო ძალები ჩვენს რეგიონში? მოვლენათა განვითარების ერთი ვარიანტი ისაა, რაც წეღან უკვე მოგახსენეთ. რამდენად მაცდურია იგი რუსეთისათვის, იმით შეგიძლიათ იმსჯელოთ, რომ ცხინვალის ზონიდან, სადაც ისინი დღეს დგანან, ახალქალაქის ბაზამდე ერთი პატარა „ნახტომიღაა" დარჩენილი და რომელიმე მილიტარისტს რუსეთის ხელისუფლებაში ადვილად შეიძლება სულმა წასძლიოს ამ ნახტომის შესასრულებლად. მეორეს მხრივ, თუ გავიდა შუა ევროპა-შუა აზიის ზემოხსენებული გზა, მაშინ შუა აზიაში რუსეთის გავლენა მთავრდება და შავ ზღვაზეც ტვირთბრუნვის ისეთი ნაკადი ვითარდება, რომლის გადამლახავი ან გადამცურავი რუსეთი თავისი ისტორიის მანძილზე არასოდეს აღარ იქნება. მშვიდობიან ტვირთნაკადს, მოგეხსენებათ, თავისი ძალისმიერი დაცვაც უჩნდება. ამ „დერეფნის" ამუშავებით ცენტრალური ევროპა იღებს მძლავრ სტიმულს ეკონომიკური წინსვლის ახალი ხვეულისათვის. ასეთ სტიმულს იღებს უკრაინაც, ამ დიდი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური სიახლის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბენეფიციარი, რაც მკვეთრად ზრდის მის უნარსა და მის სურვილს, რომ რუსეთი, როგორც უფროსი სისხლისმიერი ძმა, ასეთად აღარ ცნოს. ჩრდილო კავკასიის სამხრეთი ანუ საკუთრივ კავკასიური ზოლი ადრე თუ გვიან თავისუფლდება რუსული იმპერიის მარწუხებიდან და ჯერ კიდევ არაა ცნობილი, რომელი დიდი გლობალური ალიანსის სტრატეგიული მეგობრობის გზას ადგება. ამგვარად, რუსეთს, რომელსაც ამ ცოტა ხნის წინ სამხრეთ საზღვრად ჯერ კიდევ კავკასიონი ჰქონდა მის გადმოღმა მდებარე ამიერკავკასიური ფორპოსტითურთ, ჩეჩნების გამარჯვების შემთხვევაში საზღვრად რჩება გაშლილი ტრამალი, რომელზეც არაერთხელ გადაგორებულ-გადმოგორებულან ისტორიული ძალები და მომავალშიც, ალბათ, არაერთხელ გადაგორ-გადმოგორდებიან. როგორც ხედავთ, რუსეთს „ბე" და „ცე" კლასის სახელმწიფოდ გახდომის რეალური საფრთხე უჩნდება. არის თუ არა რუსეთი მონდომებული, რომ ეს პერსპექტივა არ განხორციელდეს, არამედ მოვლენები იმ პირველი, შეტევითი სცენარით წარიმართოს, რომელიც ზემოთ აღწერეთ? ალბათ, არის და ძალიანაც არის. ამ ორი პერსპექტივის სხვაობა იმდენად დიდია, რომ დაინტერესებულ მხარეს, ამ შემთხვევაში რუსეთს სამხედრო ავანტურაზე წასვლის საკმარისზე მეტი სტიმული აქვს.

*– ეს ხომ მესამე მსოფლიო ომის დაწყებაა, რომელსაც რუსეთი ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოიგებს!*

– დიახ, ვერ მოიგებს. ამიტომაც ვხმარობთ სიტყვას „ავანტურა". არსებობს ისეთი ცდუნებები, რომლებსაც ქვეყნები ავანტურაზე მიჰყავს. ახლა ვნახოთ მეორე მხარე – დასავლეთი. შუა აზიაში გასვლა დასავლეთს მხოლოდ იმისთვის როდი უნდა, რომ ეკონომიკური მოგება ნახოს. არც მხოლოდ იმიტომ უნდა, რომ კასპიის ნავთობის გამოტანით იგი თავს დაიზღვევს ნავთობმომპოვებელი ქვეყნების მომავალი „გაფიცვებისაგან", ე.წ. ენერგეტიკული კრიზისების შექმნი სახით, როცა ნავთობის მსოფლიო ფასები ხუთჯერ, შვიდჯერ და შესაძლოა კიდევ უფრო მეტჯერ იზრდება. დასავლეთისთვის მთავარია, რომ შუა აზიის ტუტუს არ დაეწაფოს *სხვა, მეტოქე* – პირველ ყოვლისა ჩინეთი, შემდეგ – პაკისტანის გარშემო თავმოყრილი სწრაფადგანვითარებადი ფუნდამენტალისტური მუსლიმანური რეგიონი, რომელსაც საკუთარი ამბიციები აქვს. საფრთხილოა, რა თქმა უნდა, ის წმინდა თეორიული შესაძლებლობაც, რომ მსოფლიო ოკეანეზე გასასვლელად შუა აზიამ კვლავ ყველაზე მორეული გზა – რუსეთი ირჩიოს. ამგვარად, დასავლეთის ინტერესიც ამ რეგიონისადმი პირველხარისხოვანია. და ამიტომაცაა, რომ მესამე მსოფლიო ომის დაწყებისათვის (რაც, შევნიშნოთ აქვე, სულაც არაა გარდუვალი, არამედ მხოლოდ შესაძლებელია) ორი პროგნოზი არსებობს: „იგი დაიწყება ბალკანებზე" და „იგი დაიწყება კავკასიაში". პირველმა საშიშროებამ, შესაძლებელია, უკვე გადაიარა: რუსეთმა დათმო ბალკანეთიც და თავისი იქაური მოკავშირის – სერბების – ინტერესებიც. მაგრამ მით უფრო მწვავედ დგას პროგნოზის კავკასიური ვარიანტის საკითხი.

*– მაშ გამოდის, რომ მსოფლიო დაპირისპირებების გადაჭრის ერთადერთი საშუალება მსოფლიო ომია?*

– საბედნიეროდ, არა. კერძოდ, იმიტომ არა, რომ ინფორმაციისა და პროგნოზის დონე დღეს ძალიან მაღალია და დამარცხების კანდიდატს შეუძლია თავისი ცუდი პერსპექტივა წინასწარვე „ექსპერიმენტოდ" განჭვრიტოს. მაგრამ ქვეყანამ რომ თავისი ცუდი პერსპექტივა განჭვრიტოს, ამისთვის საჭიროა მოწინააღმდეგეებმა მას ეს პერსპექტივა შეუქმნან. მაშასადამე, პერსპექტივის პროგნოზირებადობა ბრძოლას არ გამორიცხავს. ეს ბრძოლა უომრადაც მაქსიმალურად მწვავე ფორმებით წარმოებს. აბა, დააკვირდით ახლა, რა ხდება: თუმცა ჩეჩნეთში ბრძოლაა, ამას ჯერ დიდმასშტაბიანი ომი არ ეთქმის. რუსეთი, როგორც უკვე მოგახსენეთ, ცდილობს კავკასია ნაწილობრივ კვლავ ხელთ იგდოს, ნაწილობრივ თავის გავლენას კიდევ უფრო მეტად დაუქვემდებაროს. დასავლეთი ამას არ უთმობს. არც დაუთმობს (ალბათ!). მაგრამ ახლა უფრო ღრმად ჩავხედოთ ვითარებას. დასავლეთი თავის პოლიტიკას რუსეთთან უკვე დიდი ხანია იმ წანამძღვარზე აგებს, რომ რუსეთი

*გაგრძელება მე-10 გვ*

რევაზ მიშველაძე:

# რაღა მაინც და მაინც 9 აპრილს დაამთხვიეს საპრეზიდენტო არჩევნები, ესეც ძნელი გასაგები შეიქნა ჩემთვის...

*რუსთაველის პრემიის ლაურეატს, პოპულარულ მწერალსა და მეცნიერ-ფილოლოგს, სახელმწიფო უნივერსიტეტის უახლესი ქართული ლიტერატურის კათედრის გამგეს, პროფესორ რევაზ მიშველაძეს, კიდევ უფრო დაწვრილებით წარდგინება არ სჭირდება. მკითხველთა ფართო მასების გარდა, რასაკვირველია, მას კარგად იცნობენ როგორც მშობლიურ, ლიტერატურულ წრეებში, ასევე უმაღლეს პოლიტიკურ ეშელონებშიც. იყარა რა კენჭი ბლოკ „საქართველოს აღორძინების" სიით, ბატონი რევაზი პარლამენტის წევრი გახდა; პარლამენტისა, რომელიც სულ რაღაც ათიოდე დღეში მუშაობას შეუდგება. გვეიმედება, რომ მასთან გასაუბრება ინტერესმოკლებული არ იქნება ჩვენი მკითხველისათვის.*

*– ბატონო რევაზ, მოდით, ყველაზე მტკივნეული თემით დავიწყოთ. მასმედიის წყაროები დღეს უამრავს წერენ და ლაპარაკობენ იმაზე, რომ 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებმა ჩვეულებრივი (მნიშვნელოვანი, დიდი, უდიდესი, წარმოუდგენელი, გლობალური) დარღვევებით ჩაიარა. ვის როგორ მოეპრიანება, ისეთ განსაზღვრებას ურთავს „დარღვევებს"... ნიშანდობლივია ისიც, რომ დარღვევებზე ლაპარაკობენ არამარტო პარლამენტს გარეთ დარჩენილი, გამარჯვებული ბლოკებისა თუ პარტიების წარმომადგენლებიც.*

*ასეთ ფონზე უდავოდ საინტერესო იქნება თქვენი აზრი ამ პრობლემასთან დაკავშირებით. რიგით ამომრჩევლებს განსაკუთრებით აინტერესებთ, თუ რა იგულისხმება ამ, აწ უკვე ყბადაღებულ „დარღვევებში", რა მექანიზმებით ხდებოდა ეს გაყალბებანი.*

– გეთანხმებით. არჩევნებში მონაწილე პარტიებისა თუ ბლოკების წარმომადგენლები, გამარჯვებულისაც და დამარცხებულისაც, აგრეთვე პრესის, ტელევიზიისა და რადიოს ჟურნალისტები გაიძახიან, რომ არჩევნები გაყალბებული იქნა, მაგრამ გაყალბების მექანიზმზე არავინ მიგვანიშნებს – რა მეთოდებით, რა ხერხებით იქნა ეს გაყალბება მიღწეული. უმრავლესობა მათი იმიტომ არ საუბრობს, რომ არ იცნობენ ამ მექანიზმებს და არც გაუგონიათ.

მე თვითონ დავინტერესდი, სხვათაშორის, რანაირად ხდებოდა არჩევნების გაყალბება, აი, რისი გაგებაც და დადგენაც შევძელი.

პირველი და მთავარი მეთოდი „კარუსელი" აღმოჩნდა: სანამ „შენი" ამომრჩეველი ბიულეტენის ასაღებად შევიდოდეს, მას წინასწარ აძლევ უკვე შენი პარტიის სასარგებლოდ შემოხაზულ, ხელმოწერილ, ბეჭედდასმულ, მარკირებულ ბიულეტენს და ეუბნები: ეს ბიულეტენი ყუთში ჩაუშვი, ხოლო იქ რომ მოგცემენ სუფთა ბიულეტენს, ის გარეთ გამოგვიტანეო. მერე ისევ იმ ბიულეტენს მისცემენ სხვას და



ა.შ. ამ ხერხით, ძირითადად, იმას აღწევდნენ, რომ „ნაყიდ" ამომრჩეველს არ ეღალატა და სხვა პარტიის ან მოწინააღმდეგე მაჟორიტარი კანდიდატისთვის არ მიეცა ხმა.

მეორე მეთოდი: საქართველოდან 1 მილიონი ამომრჩეველი ან ორი კაპიკის საშოვნელად ან სასწავლებლად საზღვარგარეთაა წასული. ისინი, უკლებლივ ყველანი, ამომრჩეველთა სიებშია შეყვანილი და მათ ანგარიშზე ბიულეტენებიც შევსებულ-შემოხაზულ-ბეჭედდასმულ-ხელმოწერილი. ჩემს მეგობარს შვილი ამერიკაში ჰყავს, სწავლობს იქ, როცა დანარჩენი ოჯახის წევრები ხმის მისაცემად გამოცხადდნენ, სიაში მათი „ამერიკელი" შვილიც ამოიკითხეს, გრაფის გასწვრივ კი ფანქრით მქრქალად იყო მიწერილი – „წასულია". ბუნებრივია, შემდეგ ამ „წასულიას" წაშლიდნენ და ჰაიდა – ყუთში!

მესამე: ეგრეთ წოდებული, „მკვდარი სულების გაცოცხლებით". მოისმენდით, ალბათ, ტელევიზორში, ბატონ შალვა ნათელაშვილის მეზობლად 2 თვის წინათ გარდაცვლილმა (ღმერთმა აცხონოს) ნუნუ ბებიამ როგორ მიიღო წინასაარჩევნო ბარათი!

მეოთხე: ბიულეტენების წინასწარ, ყუთის დალუქვამდე ჩაყრა.

მეხუთე (ძალიან თავხედური): ამა თუ იმ საარჩევნო უბანში კომისიამ დათვალა ხმები, შეადგინა ოქმი, მოაწერა ხელი და გაუგზავნა საოლქო საარჩევნო კომისიას. ოქმში პეტრეს 1500 ხმა აქვს დაფიქსირებული, პავლეს – 15. დახევენ საოლქო კომისიის ოქმს, შეადგენენ ახალს, სადაც პეტრეს ექნება 15, ხოლო პავლეს – 1500 ხმა!

მეექვსე: ყუთების შეცვლა.

მეშვიდე: არჩევნები არაქართველ მოსახლეობაში. ძირითადმა მასამ ეს საარჩევნო ოლქებში საერთოდ არ იცოდა; ან რა არჩევნები იყო, ან ვის ირჩევდნენ ან ვინ უნდა აერჩიათ. მათ არც ყუთები უნახავთ და არც – ბიულეტენები! ყველაფერს ადგილობრივი ხელისუფლება, გამგებლები და ძალოვანი ორგანოები „აგვარებდნენ".

მერვე: შუქის საყოველთაო გამორთვა, მთელ საქართველოში, 20-დან 22 საათამდე!

*– კი, მაგრამ ხომ ჩატარდა წინასაარჩევნო კამპანიაც. თქვენ საერთოდ გამორიცხავთ ე.წ. აგიტაცია-პროპაგანდის როლს? მავანი იტყვის: ხმა იმას მივეცი, ვინც თავი მომაწონაო!*

– არათუ გამოვრიცხავთ, პირიქით, უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებ! სწორი, თავისი მიზნებისა და პარტიისათვის სასარგებლო წინასაარჩევნო კამპანია ვინც წარმატებით ჩაატარა, იმან კიდევაც გაიმარჯვა, მაგრამ, შევთანხმდეთ ერთ რამეზე: არ შეიძლება სიტყვით აღიარებდე, თანაც შესაშურ რიტორიკით, რომ პოლიტიკაში პრიმატს ანიჭებ ზნეობრიობას, საქმით კი ყოვლად უზნეო ხერხებს მიმართავდე საკუთარი მიზნების მისაღწევად. აქე საკუთარი პარტია, მაგრამ ნუ აძაგებ კონკურენტს! კაცზე, რომელთანაც მთელი ცხოვრება ჩახუტებული იყავი, ზედ არჩევნების კვირაძალს ნუ იტყვი: ბალღობიდანვე მმტრობდა, საზიარო ყანიდან მოსავალს მიმალავდა, ეჩუმრად ყიდდა სარჩო-საბადებელს და ჩემს მტერს ეკვროდაო! უზნეობაა ათასგვარი ინსინუაციით შექმნა მტრის ხატი და თავი ანგელოზად მოაჩვენო ხალხს: არიქა, ხალხო, იყავით ფხიზლად (აქ როგორ არ გაგახსენდეს ფუჩიკისა „ადამიანებო, იყავით ფხიზლად!) „აღორძინების" სახით, ბნელზე უბნელესი ძალა მოდის, შესაძლოა, მოხდეს სახელმწიფო გადატრიალება, რასაც უცილობლად მოჰყვება სამოქალაქო ომი და ისედაც შეჭირვებული ჩვენი ქვეყანა მიწასთან გასწორდებაო!.. მოგეხსენებათ, პოლიტიკური მოწიფულობის, თუნდაც განათლებულობის დონე ხალხის ძირითადი მასისა არასასურველია. ვაი, ეს გვინდოდა კაცოო! – იტყვიან, – მოდის „აღორძინება", რომელიც, თურმე, დახურავს სვეტიცხოველს (ჯვარი სწერია!), სიონს, ჯვარს, გელათს და მეჩეთებს ააგებსო!

აი, ასე შეაშინეს და შეაკრთეს ჩვენი ისედაც მშიერ-მწყურვალი საზოგადოება, რამაც, რაღა თქმა უნდა, დაღი დაასვა არჩევნების შედეგებს.

ის გაყალბების რესურსები ან ინსინუაციების ვარიანტები მთლიანად როდია ამოწურული, ეს ნაწილია მხოლოდ, მაგრამ თუ ვამბობ, განა იმიტომ, რომ ახლანდელ ვითარებას ამით რაიმე ეშველება, ან გულს ვიოხებ, სულაც არა! ამას იმიტომ ვლაპარაკობ, რომ იქნებ 4 წლის მერე მაინც გაითვალისწინონ ჩვენმა ამომრჩევლებმა და განსაკუთრებით, დამკვირვებლებმა, ყოველივე! გაყალბება ჩვენში ნულის ტოლი ვერასოდეს იქნება, მაგრამ, როდესაც ის 60 პროცენტის ტოლია,

*გაგრძელება მე-4 გვ*

# სიცრუის ზეიმი

*„და არის სიცრუე, ჯერ რომ ხორცს ვნებს და მერე სულს, სიცრუე – სიცრუისა...*

*ეჩოსავით ყველაფრის თავისკენ მიმთვლელი, განდიდებისკენ მხოლოდ და მხოლოდ „მე"-ს დამკვიდრება – აღზევებისაკენ მიმართული და ამდენად, ყოვლივე ეროვნულის, სამშობლოს უკუმგდებელი სიცრუე.*

*სწორედ ასეთი სიცრუე ზეობს დღეს საქართველოში"*

*კონსტანტინე გურგენიძე*

*გაზ. „სამსჯავრო" 30.10.99*

და სწორედ ასეთი სიცრუით ჩატარდა 31 ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნები საქართველოში. სიცრუის ჭაობში ჩაფლულმა მმართველმა ძალამ არ იკმარა საქართველოს უძრავ-მოძრავი ქონების ძარცვა-მითვისება – გაყიდვა; ღვთის ნაბოძები ბუნებრივი განძის გასხვისება-გაპარტახება...

შიშმა იმისა, რომ ძალაუფლების (მმართველობის) დაკარგვის შემდეგ შეიძლება გამოჩნდეს (ძალა) მამულიშვილი, რომელიც მავანთ მიტაცებულ ქონებას უკან დააბრუნებს და სამშობლოსა და ერის განადგურება-დაბეჩავებისათვის პასუხს აგებინებს – უზნეობის მორევში ჩაფლულმა დემოკრატიის ნიღბით ჭრა და კერა საარჩევნო კანონი ისე, როგორც თვითონ სურდა და ყურად არ იღო არც ხალხის ნება და არც მართლაც დემოკრატიის პრინციპები და ისე ჩაატარა არჩევნები, მიცვალებულებიც კი საარჩევნო ყუთთან დააყენა, საქართველოდან გაქცეული მოწინააღმდეგენიც კი თავის სასარგებლოდ აამუშავა, საარჩევნო სიაში შეიყვანა და ორმაგად მიაცემინა ხმა.

მოსყიდვა, დასმენა, წახალისება, დაწინაურების მანქანა აამოქმედა; უმეტესწილად საარჩევნო კომისიების თავჯდომარეებად და წევრებად არაკომპეტენტური, მორჩილი პიროვნებები გამოიყენა, მოსახლეობას შეუსია და გონებაარეულ, უიმედობაში ჩაფლულ გაღატაკებულ მოსახლეობას საარჩევნო ხმის უფლებაც კი გააყიდვინა (ზოგმა ეს უფლება სიხარულით გაყიდა, რადგან ორმაგი სარგებელი ნახა: ერთი რომ რაღაც ეკონომიური, და მეორეც, რომ ეს ხმა ისევ თვითონ იყიდა, რადგან მავანთათვის „ჩვენ ღმერთად" წოდებული მმართველი ძალა საქართველოს ფედერალურ სახელმწიფოდ დაშლას პირდება და ხვალ ძირითად სამშობლოს ავტონომიებსაც შემატებენ. ზოგნი კი, მარტოხელანი თუ სარეცელს მიჯაჭვულნი, პურისა და წამლის ფულის საფასურად აღარ დაგიდევენ ხვალ საქართველო იქნება თუ დიდი რუსეთი; „ველიკაია არმენია" თუ გაერთიანებული ოსეთი.

ყველაზე დიდი უბედურება კი ის იყო, რომ რაღაც მწირი ხელფასის

*გაგრძელება მე-6 გვ*

## პოზიცია

# ემზარ კვიტაიშვილის ლოგიკიდან „სეთურის“ ლოგიკამდე, ანუ გააუქმა თუ არა გამსახურდიამ გვარდია?

*წინამდებარე წერილი არის პასუხი ა.წ. 17-24 სექტემბერს გაზეთ „ლ.ს.“-ში გამოქვეყნებულ ემზარ კვიტაიშვილის „დაუსრულებელ“ და ტენდენციურ პუბლიკაციაზე, რომელიც ამავე დროს შეკვეთილის შთაბეჭდილებას ტოვებს. იქ ბევრი რამ დამახინჯებულადაა წარმოდგენილი, რომელთა შესახებ საჭიროა სიმართლე ვიცოდეთ.*

*ჩემი პასუხის გამოქვეყნების თხოვნით, რა თქმა უნდა, მივმართე გაზეთ „ლ.ს“-ს რედაქციას. მაგრამ იქ ერთობ უცნაური პასუხი მომცეს: „წერილი კარგია, მის დაბეჭდვაზე არცერთი გაზეთი უარს არ გეტყვით. მხოლოდ... ჩვენ ასეთ წერილებს არ ვბეჭდავთო (?!). ამ ნათქვამის ქვეტექსტს მკითხველი წერილის წაკითხვის შემდეგ გაიგებს.*

*დიდი მადლობა გაზეთ „საქართველოსა“ და მის რედაქციას, რომ ბეჭდავს „ასეთ წერილებს“. სწორედ ეს – სამართლიანობა, ობიექტურობა, ყოველგვარი ეროვნულის ჯანსაღი პროპაგანდა, გამოარჩევს მას ყველა სხვა გაზეთისაგან და სწორედ ამისათვის უყვართ ის თავის მკითხველებს!*

ბ-ნო ემზარ!

ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობთ, ამიტომ ზოგადად ჩემს შესახებ: არასოდეს ვყოფილვარ რომელიმე პარტიაში, მითუმეტეს, ხელისუფლებაში. მიუხედავად ამისა, მიმაჩნია, რომ არავისზე ნაკლებ არ მიყვარს ჩემი ქვეყანა. ვდგავარ მისი სამსახურის ერთგულეს უბანზე და არამხოლოდ სიტყვით, არამედ საქმით, შესაძლებლობის ფარგლებში ვემსახურები მას. და ღრმად ვარ დარწმუნებული: აფხაზეთის თუ სამაჩაბლოს კონფლიქტში ქართველებს ასე იოლად ვერავინ დაამარცხებდა, ხელისუფლებაში რომ არ მოსულიყვნენ ასეთი უნიათო, კარიერისტი, ეროვნული გრძნობისგან სრულიად დაცლილი კოსმოპოლიტები, რომლებმაც თავისი ალოგიკური, უნიჭო და ხშირად სრულიად პარადოქსული მოქმედებებით დააბნიეს, გათიშეს ქართველი ერი და ჩააქრეს ის აღტკინება და ენთუზიაზმი, რომელიც მათ სეპარატისტთა გამოსვლების დასაწყისში ჰქონდათ და რომელიც ასე საჭიროა გამარჯვების მოსაპოვებლად.

შესაძლოა ამიტომაც მაქვს გამახვილებული სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის გრძნობა. მითუმეტეს, ამ შემთხვევაში ხომ ბარიკადის ორივე მხარეს ქართველებია და ყოველგვარი უსამართლო და ანგარებიანი მიდგომა ამორალურია. მე ყოველთვის მის მხარეს ვდგებოდი, ვინც უსამართლოდ დაჩაგრულად მიმაჩნდა. ასეც რომ არ იყოს – დროა შეცდომებიდან სწორი დასკვნების გა-





კეთება ვისწავლოთ: რატომ უნდა „ვუქნიოთ კუდი“ ძალმომრეობასა და თვალთმაქცობას, რატომ უნდა წავიწყმიდოთ სული? სულ ახლახან არ დაგვემხო თავზე ასეთ ფუნდამენტზე აგებული სახელმწიფო?

საქმე ეხება თქვენს წერილს გაზეთ „ლ.ს.“-ში „ტოროლა ვარ ალიონზე“... (17-24.09.99წ.), რომელმაც ჩემზე ცალმხრივი, არაობიექტური და შეკვეთილი წერილის შთაბეჭდილება დატოვა. ამიტომ გადავწყვიტე მეპასუხა.

საქართველოში ყოველთვის მიუღებლად და უზნეობად ითვლებოდა წაქცეულის, მითუმეტეს, გარდაცვლილი ადამიანის ლანძღვა-გინება. ამას წესიერი ადამიანები არასოდეს კადრულობდნენ. ნუთუ თქვენ – პოეტს, მწერალს შეხსენება გჭირდებათ ამის შესახებ? ხომ უნდა დაიცვათ ზომიერება, როდესაც გარდაცვლილის და ისიც – საქართველოს პირველი პრეზიდენტის შესახებ წერთ? ასეთი აღვირახსნილი ლანძღვა მოწინააღმდეგე მხარისა ვერაფერი არგუმენტია თქვენი პოზიციის სამართლიანობის დასამტკიცებლად. უფრო პირიქითაა – ამით საკუთარ ღვარძლიანობას და უსუსურობას უჩვენებთ მკითხველებს, ვინაიდან ცნობილია – ადამიანთა წრეგადასულ გააფთრებას მათში სწორედ ამ თვისებათა სიჭარბე იწვევს.

უნდა ითქვას, რომ თქვენ გასაოცრად ზერელედ და მოუფიქრებლად ეკიდებით ცნებებს: „ბოროტება“, „სიკეთე“... და ყველაფერი გათვლილი გაქვთ მკითხველთა უვიცობაზე. გგონიათ, ისინი ბრმად მოგენდობიან და ყველაფერს თქვენი სამრეკლოდან, თქვენი „არშინით გაზომავენ“. ასეთ შემთხვევაში, ცხადია, თქვენი აზრით მოწინააღმდეგეთა ბანაკი შავ ფერებში, ბოროტების წყაროდ უნდა წარმოჩნდეს! მაგრამ თქვენ გავიწყდებათ ერთი რამ – მკითხველმა კარგად იცის, რომ „ბოროტებაც“ და „სიკეთეც“ მარადიული, ურთიერთგანუყრელი და ამავე დროს ფარდობითი ცნებებია: ის, რაც ერთ შემთხვევაში ერთ მხარეს „ბოროტებად“ ეჩვენება, მეორე მხარემ შეიძლება ის სიკეთედ ჩათვალოს და პირიქით (სწორედ ესაა ყოველთვის მხარეთა ურთიერთდაპირისპირების მიზეზი და ზოგადად – პროგრესის, მოძრაობისა და განვითარების აუცილებელი პირობა). ეს შესანიშნავად იციან მკითხველებმაც და მათი მოტყუება არც ისე ადვილია.

თქვენ, მარჯვედ სარგებლობთ რა საქართველოში არსებული ფასეულობათა გადაფასების ამ ბურუსით მოცული მომენტით – მანიპულირებთ ფაქტებითა თუ თარიღებით და ცდილობთ მკითხველს სიმართლე-სიცრუედ, ხოლო სიცრუე-სიმართლედ მიასაღოთ. სიმართლე კი ერთია – როგორადაც ის წარმოუდგენია ქართველთა აბსოლუტურ უმრავლესობას და არა მის ერთ მუჭა ნაწილს, გინდაც ეს ნაწილი ე.წ. „ელიტა“ იყოს!

ეს ხომ ფაქტია, რომ საქართველოში ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის რაოდენობრივად უზარმაზარი დისპროპორციაა და უმცირესობა, მიიტაცა რა ძალისმიერი მეთოდით ხელისუფლება, თავხედურად უმტკიცებს უმრავლესობას, რომ მხოლოდ მათი

*გაგრძელება მე-5 გვ.*

## ჩეჩნეთის ომის გამო

სსფ ეროვნულ კომიტეტს მიაჩნია, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალების მოქმედება ჩეჩნეთში არ არის ტერორისტთა დევნა. ასეთი იგი იქნებოდა მხოლოდ კონკრეტულ პირთა მიმართ, ვისაც რუსეთის ხელისუფლება დაასახელებდა როგორც ტერორიზმში მხილებულს ან ექსტრემისტს, და ვინც ჩეჩენ ეროვნებას ეკუთვნიან. მხილებულად და ექსტრემისტად რუსეთი ასახელებს მხოლოდ ბასაევს და რამდენსამე სხვა პირს, რომელთა დევნა, ცხადია, დიდმასშტაბიანი საომარი მოქმედების საბაბად არ კმარა. მიუღებლად ვთვლით ომს ჩეჩენი ხალხის წინააღმდეგ და ჩეჩნეთის მოსახლეობის საარტილერიო და საავიაციო დაბომბვას იმ საბაბით, რომ რუსეთის ქალაქებში მომხდარ დივერსიულ აფეთქებებში, რომელთა ჩადენაში ექსტრემისტი ვერავინ სახელდება, ძიების აზრით, „ჩეჩნური კვალი“ ჩანს. ჩეჩენი ხალხის სისხლი ცას შეჰღაღადებს და სამართალს ითხოვს.

მას შემდეგ, რაც დეკაბრისტების 1825 წლის საპროგრამო დოკუმენტში „Русская Правда“ შეტანილ იქნა პუნქტი „გასახლდნენ კავკასიის ყაჩაღი ხალხები“ („выселить разбойничьи народы Кавказа“) და რაც 1943 წელს ჩატარდა ქისტების, ჩეჩნების, ყარაჩაელებისა და ბალყარელების მთლიანი აყრა (დეპორტაცია) კავკასიიდან, ცხადი გახდა, რომ რუსეთის პოლიტიკა ამ მხარის მიმართ (მის ერთ-ერთ ვარიანტში მაინც) ამ მხარის დეპოპულაციის და მისი მოსახლეობის რუსებით შეცვლის პოლიტიკაა. საქართველოსთვის ეს პოლიტიკა მიუღებელია პრინციპულადაც (ზნეობრივად და პოლიტიკურად) და პრაქტიკულადაც, ვინაიდან იგი არღვევს ქართველი და ჩრდილო კავკასიელი ხალხების მრავალათასწლიანი სტაბილური მეზობლობის, ურთიერთდახმარების, ურთიერთშემავსებლობის ტრადიციულ სისტემას, რომელსაც ორივე მხარისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

საქართველოს სახალხო ფრონტის ეროვნული კომიტეტი იწონებს ჩეჩნეთის დღევანდელ ომთან მიმართებაში საქართველოს ხელისუფლების მოქმედების რამდენსამე ეპიზოდს, კერძოდ, იმას, რომ საქართველოს ხელისუფლებამ უარი თქვა საქართველოს ტერიტორიაზე ჩეჩნეთის საზღვართან რუსი მესაზღვრეების ჩაყენებაზე და საქართველოს ტერიტორიის პლაცდარმად გამოყენებაზე ჩეჩნეთის წინააღმდეგ საომრად, რაც ქართველი ერისა და საქართველოს სახელმწიფოს ღალატი იქნებოდა. მაგრამ ეროვნული კომიტეტი არ იწონებს საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკას რუსულ-ჩეჩნური კონფლიქტის მიმართ მის მთლიანობაში. სახელდობრ:

ა) საქართველოს ხელისუფლებამ უგულებელყო 1992-93 წლებში და შემდეგ, რომ ქართულ-აფხაზურ კონფლიქტსა და რუსულ-ჩეჩნურ კონფლიქტს შორის არავითარი ანალოგია არ არსებობს – რომ აფხაზეთი ქართველი ერის ეთნიკური ტერიტორიაა (რომლის ერთ ნაწილზე აფსუები დამკვიდრდნენ), ხოლო ჩეჩნეთი რუსების ეთნიკური ტერიტორია არაა. მან განაცხადა „აფხაზეთი რომ არ ყოფილიყო, არ იქნებოდა ჩეჩნეთიო“ („Не было бы Абхазии - не было бы Чечни“), რითაც გაუტოლა ერთმანეთს ეს ორი ომი.

ბ) მან არ განაცხადა 1994-96 წლების ომის დროს, რომ საქართველოს ტერიტორიის არცერთი გოჯი არ იქნება გამოყენებული საბრძოლო ოპერაციებისათვის ჩეჩნეთში.

გ) იგი არ გაემიჯნა რუსეთის პოზიციას ჯერჯერობით დაუდგენელ პირთა მიერ ჩადენილი დანაშაულების (აფეთქებების) საფუძველზე ამ დანაშაულში ზოგადად ჩეჩნებისათვის ბრალის დადების მცდელობას, რის გამოც მან, ფაქტობრივად, ვალდებულება იკისრა საქართველოში არ შემოუშვას ლტოლვილი მამაკაცი, როგორც პოტენციური ან შესაძლებელი „ტერორისტი“, რომლის დევნა ყველა სახელმწიფოს ავალია.

დ) რუსეთის პრემიერ-მინისტრის განცხადების ფონზე, ტერორისტებს „იქ დავარტყამთ, სადაც იქნებიანო“, საქართველოს ხელისუფლებამ არ გამოკვეთა სრული კატეგორიულობით, რომ რუსეთს არ აქვს არანაირი სხვა უფლება, გარდა საერთაშორისო ურთიერთობათა ნორმებით და აქამდე დადებული ორმხრივი რუსულ-ქართული შეთანხმებებით გათვალისწინებულისა, რომ საქართველოს მოსთხოვოს რაიმე მხარდაჭერა ჩეჩნეთში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, და არ გამორიცხა რუსეთის პრეტენზია, სხვა საფუძველზე დასდოს ბრალად საქართველოს თავის ტერიტორიაზე ჩეჩნეთისკენ იარაღის გატარება გარდა პირდაპირი ნივთმტკიცების მოპოვებისა საქართველო-რუსეთის საზღვარზე რუსეთის მხრიდან მდგომი მესაზღვრეების მიერ ზემოხსენებული კონტრაბანდის დაკავების სახით. საქართველოს ხელისუფლებამ არ მიმართა განცხადებით გაეროს, რომ რუსეთი მის წინააღმდეგ აგრესიას აპირებს. ენა, რომლითაც საქართველოს ხელისუფლება რუსეთის აგრესიულ ნაბიჯებს პასუხობს, არ არის დამოუკიდებელი სახელმწიფოს ენა.

საქართველოს ხელისუფლების ეს ორჭოფული კაპიტულანტური პოლიტიკა სახალხო ფრონტის ეროვნულ კომიტეტს მიაჩნია მიუღებლად როგორც პრინციპულად, ისე პრაქტიკული მდგომარეობიდან გამომდინარე, ვინაიდან იგი ხელს არ უწყობს საქართველოს ნორმალური კეთილმეზობლური ურთიერთობის გაგრძელებას მის აღმოსავლელ და ჩამხრეთელ მეზობლებთან და მეგობრულისას – კავკასიის ხალხებთან, რომლებიც სისხლით, ისტორიითა და კულტურით ქართველი ერის მოძმენი არიან.

სსფ ეროვნული კომიტეტი მიესალმება ჩეჩენი ხალხის უნიკალურ სიმტკიცეს დღევანდელ განსაცდელში და უსურვებს მას, ღირსებითა და გამარჯვებით გამოვიდეს ამ განსაცდელიდან.

**სახალხო ფრონტის ეროვნული კომიტეტი**

## საქართველო-ევროპა თუ აზია?

# არასერიოზული მსჯელობანი ფრიად სერიოზულ პრობლემაზე

საკითხი იმის თაობაზე, თუ რომელ ისტორიულ სამყაროს-აღმოსავლეთსა თუ დასავლეთს მიეკუთვნებოდა ქართული ცივილიზაცია დიდად აქტუალურია თავისთავად, წმინდა მეცნიერულ დონეზე და მითუმეტეს ახლა, როცა ევროსაბჭოში გავერთიანდით და გვაქვს პრეტენზია ევროკავშირშიც შესვლისა. ბევრი ქართველისათვის ამაში დიდი პრობლემა როდია: მიაჩნიათ რომ საქართველო ევროპული ქვეყანა იყო და ამდენად, ევროპის ხალხთა გაერთიანებაში შესვლა სავსებით შეესაბამება ისტორიის ლოგიკას.

აღნიშნული საკითხი ძალზე აქტუალური გახდა ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის 20-იანი წლების შუახანებში. მის შესახებ ჟურნალ „მნათობში“ ჩატარდა საინტერესო დისკუსია (წამოიწყო მწერალმა და პუბლიცისტმა ნიკოლო მიწიშვილმა). მაშინაც, მოგეხსენებათ, ისტორიის გარდამტეხ ფაზაში (მხოლოდ არასასურველი მიმართულებით) ვიმყოფებოდით, რამაც ნაწილობრივ განაპირობა დისკუსიის თემის აქტუალურობა. მეორე მხრივ აშკარად იგრძნობოდა ოსვალდ შპენგლერის „ევროპის დაისის“ ზეგავლენა. ფაქტია, რომ დისკუსიაში ძირითადად მწერლები მონაწილეობდნენ. მას თავი აარიდეს ისტორიკოსებმა, ხოლო ფილოსოფოსები: შალვა ნუცუბიძე და მოსე გოგიბერიძე ოდენ შპენგლერის მთავარი ნაშრომის შინაარსითა და ზერელე კრიტიკით შემოიფარგლნენ. რასაკვირველია, ჩვენთვის ფრიად საინტერესო პრობლემა უფრო ფილოსოფოსების, ისტორიკოსებისა და სოციოლოგოსების გადასაწყვეტია და მწერლებისაგან მისი სერიოზული გააზრება-გაცნობიერება ნაკლებად მოსალოდნელია. სხვათაშორის, თავის დროზე აღმოსავლეთისა და დასავლეთის ისტორიული სამყაროების არსის შესახებ თავისი სავსებით გარკვეული თვალსაზრისი გააჩნდა ინგლისელ პოეტსა და მწერალს რედიარდ კიპლინგს, რომელიც თემის ცოდნაში სრულიადაც არ ჩამორჩებოდა ქართველ მწერლებს, მაგრამ როდესაც დასავლეთში აღნიშნული პრობლემის გააზრება-გაცნობიერება სურთ ჩვეულებრივ მიმართავენ ხოლმე ფილოსოფოსთა და ისტორიკოსთა (შ.ლ. მონტესკიე, ჰეგელი, კ. მარქსი, ფრ. ენგელსი, მ. ვებერი, ლ. რანკე, ი. დროიზენი და სხვათა) ნააზრევს და არა კიპლინგისას და თუნდაც გენიალური გოეთესას.

დიდად სამწუხაროდ, ქართველ მწერალთა მოხსენიებული დისკუსია სათანადო სიღრმით არ გამოირჩეოდა. იქნებ ახლა მაინც შევძლოთ უფრო სერიოზული დონის მიღწე-

*გაგრძელება მე-6 გვ*

# ცვლილებები მაღალ ეშელონებში

დაუზუსტებელი ინფორმაციით, უახლოეს დღეებში დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი სამთავრობო ეშელონებში. როგორც ინფორმაციის წყარომ გვაცნობა, მოსალოდნელია არა მხოლოდ ვერტიკალური, არამედ ჰორიზონტალური გადაადგილებებიც.

არითმეტიკიდან საყოველთაოდაა ცნობილი, რომ შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება, ანუ, ამ შემთხვევაში, თუ რადიკალურად არ შეიცვალა სიტუაცია და საკადრო ცვლილებები მხოლოდ ადგილების შეცვლაში გამოიხატა, მაშინ ის ანეკდოტი შეგვახსენებს თავს საბჭოთა ეპოქიდან, როცა ერთი გლეხი რაიკომის მდივანთა მოხსნა-გადანაცვლებას თავის ძროხასადარებს, რომელსაც მინდორში საპალახოდ ხან ერთ ადგილს მოუნაცვლებს და ხან მეორეს...

ვნახოთ, რას მოგვიტანს ეს საკადრო ცვლილებები. ნათქვამია, აღდგომა და ხვალეო...

**საკუთარი ინფორმატორი**

ინტერვიუ

## რევაზ მიშველაძე:

# რაღა მაინც და მაინც 9 აპრილს დაამთხვიეს საპრეზიდენტო არჩევნები, ესეც ძნელი გასაგები შეიქნა ჩემთვის...

მე-2 გვერდიდან.

ეს ეროვნული ტრაგედიაა. ხალხი, რასაკვირველია, შეუმცდარია, ხალხი ყველაფრის მიმხვედრიცაა, მაგრამ სად მიუწვდება მას ხელი სამართლამდე!

*– ბატონო რევაზ, თქვენი აზრით, ვინც გაიმარჯვა, გაყალბების გარეშე ვერ გაიმარჯვებდა?*

– სათუოა, ყოველ შემთხვევაში! იმიტომ, რომ 4 წელიწადში რომ მხოლოდ 4 ლარით გაზრდი პენსიას (თანაც, ან ეს „გაუზრდელი" პენსია სადაა, რაიონებში 7-8 თვისაა აულებელი!), 1 მილიონი დაპირებული სამუშაო ადგილიდან რომ მეათედსაც ვერ აუსრულებ ხალხს, კილოგრამ სიმწრით მოწეულ ყურძენში რომ გლეხს იმდენს გადაუხდი, რამდენიც ტუალეტში შესვლა ღირს, თვალითაც რომ არ დაანახებ ამდენ ჰუმანიტარულ დახმარებას, მაინცდამაინც შენ მოგცემს ხმას?! ან სად მიდის ამდენი კრედიტი, ამდენი გრანტი, და ამდენი, უკაცრაული პასუხია, ტრანში!

*– რა მიგაჩნიათ ხელისუფლების აშკარა შეცდომად ამ ბოლო პერიოდში?*

– სხვათაშორის, არჩევნების დღეს, მაინცდამაინც რომ საღამოს 8-დან 10 საათამდე მთელ საქართველოში შუქი გამოირთო, ვიფიქრე, შემთხვევითობაა-მეთქი, როცა ასლან აბაშიძეს დადგენილი საეთერო დრო წაართვეს პირველ არხზე, ვიფიქრე, არ უნდათ ოპოზიციონერი აბაშიძის სიტყვა მთელ საქართველოს რომ ესმოდეს-მეთქი, როცა გამარჯვების მეორე დღეს, ერთბაშად გამოგვირთეს შუქიც, წყალიც და, ვისაც ჰქონდა, გაზიც, ამას ვერანაირი საფუძველი და გამართლება ვერ დავუძებნე. ეს შეცდომაა, თანაც გაცნობიერებული კი არა, ალბათ, გაუცნობიერებელი, გაუთვლელი მოქმედება. რაოდენ დაჯერებული უნდა იყოს ხელისუფლება თავის ძალამოსილებაში, რომ ასე დაურიდებლად, გამომწვევად და თავხედურად მიეპყრას საკუთარ ხალხს! მე მგონი, „მმართველები" დათვურ სამსახურს უწევენ ქვეყნის პრეზიდენტსაც, არწმუნებენ მას, რომ ხალხში აბსოლუტური სიმშვიდეა, არადა, სულ ოთხიოდე თვეში 9 აპრილია წინ! ამ გახსენებაზე რაღა მაინცდამაინც 9 აპრილს დაამთხვიეს საპრეზიდენტო არჩევნები, ესეც ძნელზე ძნელი გასაგები შეიქნა ჩემთვის!..

ისე, ამ ორიოდე კვირის წინათ, ბატონმა პრეზიდენტმა გაგვაფრთხილა: თვეებია დარჩენილი საპრეზიდენტო არჩევნებამდე, პირგამოზაფხულს კიდევ უფრო კრიზისული მდგომარეობა გვექნება შუქის მხრივ და ამთავითვე თადარიგი დაიჭირეთო. ჩემთვის ასეთი პირდაპირი ნათქვამი, გამხელილი ჭირი უფრო ადვილი გადასატანია, უფრო ადამიანურად გასაგები, ვიდრე მმართველი პარტიის უთვალავი დანაპირები და თითქმის არაფერი შესრულებული. რომ ყველაფერი ეს – უშუქობა, უგაზობა, უწყლობა, უპურობა და უფულობა – მართლა ჩვენი დამოუკიდებლობის ხარჯზე ყოფილიყო, რომ ყველაფერი ეს ყოფილიყო იმის ხარჯზე, რომ დაგვეცვა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, რომ არ მოგვეტყუებინა ის 30000 ბიჭი და არ დაგვესვა ისინი საზარბაზნე ხორცად აფხაზეთში, რომ ჩვენი ხალხისთვის გვეჩვენებინა სურვილი მაინც მისი შველისა, ყველაფერს მოვითმენდით, მაგრამ როდემდე?!

*– პოსტ-საბჭოური ქვეყნებიდან რომ საქართველოში ყველაზე მეტი პოლიტიკური პარტიაა, საყოველთაოდაა ცნობილი. ამის თაობაზე „თავისუფლებაც" იუწყებოდა ამ წინარეებზე. რამდენად კანონზომიერად მიგაჩნიათ ჩვენში ასეთი ვითარება?*

– ზოგიერთი პარტიის გულუბრყვილობა მაოცებს. ისეთი პარტიები, რომელთა არსებობაც კი ხალხმა არ იცოდა, ვგულისხმობ მათ ლიდერებს, იძლეოდნენ ინტერვიუს, რომ აქაოდა, ვინაა „მოქალაქეთა კავშირი", ვინაა „აღორძინება", ვინ არიან „ლეიბორისტები", ვინაა „სახალხო", ვინაა ედპე! ჩვენ მოვალთ პარლამენტში უმრავლესობითო! ხედავთ, რამდენად გულუბრყვილონი ყოფილან და რამდენად საცოდავები?!

*– კანტი-კუნტად იმასაც მოჰკრავს კაცი ყურს, რომ ახლანდელი გამარჯვებულები უბრალო უმრავლესობას არ დასჯერდებიან და კვალიფიციური, ანუ საკონსტიტუციო უმრავლესობის მისაღწევად აუცილებლად გადმოიბირებენ „აღორძინების" ბლოკიდან საჭირო პარლამენტარებს. თუ მათ ამას მიაღწიეს, გამოდის, რომ ოპოზიციის არანაირ მცდელობას – გაიტანოს რაიმე თავისი საკითხი – აზრი აღარ ექნებაო!*

– იცით რა არის? მეც მქონდა ერთხანობას მაგდაგვარი შიში, მაგრამ კიდევ ერთხელ რომ გადავხედე „აღორძინების" სიით გასულ დეპუტატების გვარებს, რამდენადაც მე მათ ვიცნობ, ეს შიში გამორიცხულია! შეიძლება იყოს იქ განსხვავებული შეხედულების ზოგიერთი პარლამენტარი, მაგრამ ეს ამინდს ვერ შეცვლის ანუ ეს განსხვავებულობა არ იქნება საკმარისი იმისათვის, რომ მოწინააღმდეგის ნავში გადასკუპდეს.

აქ ერთი რამ უნდა გაითვალისწინოთ: როცა ეს ჯგუფი შეიკრა, ფიცი დავდეთ ერთმანეთთან, რომ, რადგან საქართველოს გადარჩენის სურვილმა გაგვაერთიანა, ერთმანეთისთვის არ გვეღალატა. ცალ-ცალკე ვეფიქრა, მაგრამ ერთად გვემსჯელა, მიგვეღწია ერთმანეთში კონსენსუსისათვის და ისე გამოგვეტანა საერთო სამსჯავროზე. ჩავთვალეთ, რომ ერთმანეთის ღალატი სამშობლოს ღალატია!

სხვათაშორის, ბატონმა ასლან აბაშიძემ, „აღორძინების" ლიდერმა, გმირობა ჩაიდინა. მინდა, რომ ეს მკითხველმაც იცოდეს. მან რეგიონში ძალიან ბევრი მოიმდურა, მათ შორის, პარლამენტის ყოფილი წევრიც. მაგალითად, მე უსამართლობად მიმაჩნია, რომ დღეს პარლამენტართა სიაში არ არის ქვეყნისათვის თავდადებული და თვით ასლან აბაშიძის ერთგული პიროვნება, ოცამდე ლიტერატურული წიგნის ავტორი, მათ შორის, დიდ მემედ აბაშიძეზე დაწერილი სამი წიგნის ავტორი, რომელმაც ახლახან გამოსცა 800-გვერდიანი წიგნი სახელწოდებით „ტბელ აბუსერიძედან ზურაბ გორგილაძემდე". ამ კაცის სახელი და გვარია იური ბიბილეიშვილი. იყო წევრი, ახლა აღარაა. რატომ მოხდა ეს? ბატონმა ასლანმა, როგორც ჭეშმარიტმა სტრატეგმა, ასეთი რამ ჩაიფიქრა (ის რომ სეპარატისტი არ არის, მშვენივრად ჩანს ამ პასაჟიდანაც!): მან მშვენივრად უწყოდა, რომ არჩევნები, გინდა-არგინდა, გაყალბდებოდა, რომ ბლოკ „აღორძინებიდან" შესაძლოა, 40 კაცზე მეტი არ გასულიყო. არადა, მისი ვარაუდი, თითქმის ახდა! ამ 40 კაცს მარტო აჭარის ტერიტორიაზე მცხოვრები კანდიდატები შეადგენდა! მაგრამ ასე როდი მოიქცა, ეს 40 კაცი მან შეავსო „სოციალისტებით", „ტრადიციონალისტებით" და ბლოკით – „XXI საუკუნე". იქნებ ისიც გაგვახსენებინა – როგორი თანმიმდევრობით დგება სია: პირველი რომ „აღორძინების" წარმომადგენელი იქნება, მეორე – „სოციალისტი", მესამე – „ტრადიციონალისტი", მეოთხე – „XXI საუკუნე" და ა.შ. ყოველი მეშვიდე კაცი იქნება „აღორძინებიდან". ერთი სიტყვით, უამრავი ადგილი დათმო მან და ეს გააკეთა იმისათვის, რომ შემდგარიყო ბლოკის პოზიცია, როგორც სრულიად საქართველოს პოზიცია და არამარტო აჭარის რეგიონის! აი, როგორია აქვს ბატონ ასლანს სრულიად საქართველოს განცდა და გაგება!

თქვენს შეკითხვასთან დაკავშირებით, ბლოკიდან ხომ ვერავის გადაიბირებენ და ბლოკი ხომ არ დაიშლებაო. მე იმდენა ვაჟკაცად კი მიმაჩნია თავი, რომ აქეთ-იქით არავის მივეტმასნო და მივეყიდო რაღაც მოლაპარაკებებით. სხვა პარტიებმაც შემომთავაზეს ადგილი, მაგრამ დავინახე, რომ ყველაზე ახლოს ჩემი ეროვნული ინტერესების დასაკმაყოფილებლად, თავისი პროგრამით, ბლოკი „აღორძინებაა"! მჯერა, რომ არავითარი დაშლა ამ ბლოკს არ ემუქრება და, თუ მაინც დაიშალა, ჩავთვლი, რომ ძალიან დავშორებულვართ დღევანდელი ქართველები კოხტასთავის შეთქმულთა სულისკვეთებას. ჩემგან არ მოხდება, რომ იმ ბლოკს ვუღალატო, რომელმაც დამიძახა და გვერდით დამიყენა საერთო ქართული საქმის საკეთებლად. ასეთი აზრის გახლავთ ბლოკში ყველა, ვისაც ახლოს ვიცნობ. მათ შორის, ჩემი მეგობარი მუხრან მაჭავარიანი.

*– ბატონო რევაზ, არის აზრი, თანაც საკმაოდ ფესვგამდგარი, რომ პარლამენტში მწერლის, მხატვრის, რეჟისორის, მსახიობის ადგილი არ არისო. კეთილი ინებოს და, მწერალმა თუ ეწერება – წეროს, მხატვარმა ხატოს, რეჟისორმა დადგას, მსახიობმა – ითამაშოსო! პოლიტიკა კი პოლიტიკოსებმა აკეთონო! მაგრამ ისეთი თვალსაჩინო პროზაიკოსისათვის, როგორც ბატონი რეზო ჭეიშვილია, გაუგებარია – რატომ არაა მწერლისთვის პოლიტიკა მნიშვნელოვანი საქმე! მე, პირადად, პარლამენტში ყოფნისას ბევრი საინტერესო ტიპი თუ ხასიათი „აღმოვაჩინეო".*

– ჩემს საყვარელ მწერალსა და მეგობარს, რეზო ჭეიშვილს, მშვენივრად უთქვამს. პოლიტიკის წყალობით ქვეყანა ქვეყანას უნდა დაემსგავსოს, განვითარდეს, გაძლიერდეს. გზა აჩვენოს მშობელ ხალხს უკეთესი მერმისისაკენ და რატომ უნდა იყოს პოლიტიკისგან მწერალი დაშორებული, როცა ერის მამა, დიდი ილია ბრძანებდა მასზე, რომ ცა ნიშნავს და ერი ზრდის, ზეციერი მიწიერსაო და, კიდევ უკეთესი, ღმერთთან მიტომ ლაპარაკობს, რომ ერს წინ წარუძღვესო!

კი ბატონო, მესმის კანონპროექტების შედგენაში ჭიმოჭმული როლი იურისტებისა, მაგრამ მოდით, მივანდოთ მათ ფრიად მნიშვნელოვანი და საპატიო საქმე – თუ როგორ უნდა შედგეს კანონპროექტი, მაგრამ მწერლებსაც მიეცეს ტრიბუნა – თუ რა იქნება უფრო სასარგებლო და ჭეშმარიტად ეროვნული?

მე კი ვიცი, პარლამენტში ჩემი ყოფნა ჩემი ძირითადი მოწოდების – ნოველებისა და მოთხრობების, სამეცნიერო ხასიათის წერისათვის საჭირო დროის ხარჯზე მოხდება, მაგრამ, ჯერ ერთი, სამწუხაროდ, დღეს წიგნის მკითხველი თითზე ჩამოსათვლელია, მაგრამ არის მეორე მხარეც: პარლამენტში მშვენივრად იკვეთება ადამიანთა პორტრეტები, რომლებიც შესაძლოა მწერლისათვის პროტოტიპებად გამოდგეს; იქ მშვენივრად ჩანს ხოლმე – ვინ ვისი გოშიაა, ვინ როგორ შემთხვევითაა მოხვედრილი პარლამენტში და, რომ იტყვიან, ტყემალზე ზის, ბაიბურში არაა! მე რატომ მოვედი? იმიტომ, რომ ბრძოლა არ შემინელებია. იცით, როგორია ჩემი უბედური ცხოვრების გზა და ხედავთ აგერ, კედელზე, ჩემი ერთადერთი შვილის შავ ჩარჩოში ჩასმულ სურათს... დავასაფლავე შვილი და 20 დღის შემდეგ ინტერვიუ მივეცი სწორედ იმ გაზეთს, საიდანაც თქვენ მობრძანდით. არ გახლდათ ეს იოლი საქმე. არც ის ეგონოს ვინმეს, რომ ეს, ასე ვთქვათ, პოზა იყოს! მე ჩემი თავიდან მებრძოლი ვერა და ვერ ამოვაგდე! ჩემი ყველა წიგნი საქართველოს განთავისუფლებისათვის დაწერილი წიგნია და მიმართულია რუსეთის იმპერიის საწინააღმდეგოდ. რუსოფილობას რომ სწამებენ დღეს „აღორძინებას", სასაცილოდ არ მყოფნის. მუხრან მაჭავარიანი და მე იმ ბლოკში შევიდოდით, რომელსაც ისევ რუსეთის ბატონობის ქვეშ ყოფნა უნდა?!

პარლამენტში, ზოგიერთივით, თავის გამოსაჩენად ნამდვილად არ ავეტორღიალები მიკროფონს, ნამდვილად არ მოვითხოვ წარამარა სიტყვას. როცა ძალიან აღარ შემეძლება, რომ არ ვთქვა, ე, მაშინ ავიწევ ხელს და მივალ მიკროფონთან, თორემ, მე ახლა, პატარ-პატარა პოლიტიკან ჭაბუკებს, პირსახოცივით რომ აქვთ ენა მხარზე გადაფენილი, იმათ ლაპარაკში არ გავეჯიბრები. წინასწარ ვგრძნობ, რომ თავიანთი დემაგოგიური პასუხებით ნერვებს მოგიშლიან. ამიტომ გამოვალ იშვიათად, მაგრამ აუცილებლად საქმიანად. შევეცდები, ყოველთვის ვთქვა მხოლოდ სიმართლე.

*– რამდენად კანონზომიერად მიგაჩნიათ, რომ პარლამენტს გარეთ დარჩნენ ისეთი ცნობილი პარტიები, როგორიცაა ეროვნულ-დემოკრატიული, სახალხო, ლეიბორისტული, სახალხო ფრონტი.*

– ჩვენივე პარლამენტისათვის დიდ დანაკლისად მიმაჩნია, რომ მასში ვერ ვიხილავთ შალვა ნათელაშვილს, ირინა სარიშვილ-ჭანტურიას, მამუკა გიორგაძეს, ნოდარ ნათაძეს. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ამ შესანიშნავი ოთხეულის დამარცხებაში ლომის წილი მიუძღვის ქალბატონ ირინას. ვერ გეტყვით, მართლა მოახვიეს თავს თუ თვითონ მოიგონა, მაგრამ არასწორი ნაბიჯი გადადგა, როცა პარლამენტს შესთავაზა შვიდპროცენტიანი ბარიერი. რა თავდაჯერებულობა ჰქონდა ისეთი, რომ თვითონ აუცილებლად გადალახავდა ამოდენა ზღუდეს! არც ის მესიამოვნა, როდესაც საკმაო ხმა მიიღეს, ერთმანეთზე სიკვდილამდე შეყვარებულივით რომ გადაეხვივნენ ერთმანეთს სააკაშვილი და სარიშვილი. ირინამ მაშინ განაცხადა: ჩვენ გავიმარჯვეთ! რა გაიმარჯვეთ, ქალბატონო ირინა! თქვენ მაშინ მოკალით ამით თქვენივე პარტიაც და თქვენი ახლო მდგომი (იმიჯით) ორი პარტიაც. ეს გამარჯვება კი არა, დამარცხება გახლდათ. მე და, არა მარტო მე, უფრო გამჭრიახ პოლიტიკოსად გთვლიდით. სიმართლე რომ ვთქვა, არც შალვა ნათელაშვილი იქცეოდა დაღვინებულად, ისიც უზომოდ თვითდაჯერებული იყო, თანაც იმის მტკიცებით, რომ პარლამენტში აუცილებლად დიდი უმრავლესობით მოვიდოდნენ ლეიბორისტები და ერთხელ და სამუდამოდ ჯვარს დაუსვამდნენ პრეზიდენტის პარტიას. ასე რომ, ყველამ თავის თავს დააბრალოს ზოგი რამ!

*– როგორ გესახებათ პირადად თქვენ, როგორც ბლოკ „აღორძინების" წარმომადგენელს „მოქალაქეთა კავშირთან", როგორც საპარლამენტო უმრავლესობასთან თანამშრომლობა?*

– მე ასეთი საპროგრამო სიტყვა უნდა წარმომეთქვა: მეგობრებო, პატივცემულო ბატონებო და ქალბატონებო, დავივიწყოთ ერთმანეთის, ჩვენ-ჩვენი პირადი წყენა. ჩვენ აგვირჩია ხალხმა, საქართველოს საშველად. მოდით, გულისყურით ვუსმინოთ ერთმანეთს და ერთად, ერთიმეორის აზრის გათვალისწინებით, ვიღვაწოთ ქვეყნის ასაღორძინებლად, ქვეყნის ასაშენებლად, მართლა მსოფლიო ასპარეზზე გასაყვანად! მიმავალ ოთხ წელიწადში თუ კარდინალურად არ შევცვლით უკეთესობისკენ მოღვაწეობას, თუ უმრავლესობა, ინერციით, ისევ ისე ეცდება ერთპიროვნულად, ანაქრონისტულად მართოს ქვეყანა, თუ ისევ ისე გაუგებარ კანონებს მივიღებთ, რომლის მეოხებითაც ქართველებს ქართველობა ავაწაპნეთ, საბოლოოდ დავრწმუნდები, რომ განვლილი ოთხი წელიწადი, უნიათო და უვიცი მოღვაწეობის წლები კი არა, შეგნებული და გააზრებული პოლიტიკის ხანა ყოფილა ქვეყნის სახელმწიფოებრიობის დასანგრევად! პატივცემულო ბატონებო, გთხოვთ, ნუ დამარწმუნებთ ამაში!

*– პასპორტსა და პირადობის დამადასტურებელ სხვა საბუთებში „ეროვნების" გრაფის ნაცვლად „საქართველოს მოქალაქის" გრაფის შეტანას მხურვალედ უჭერს მხარს ზოგიერთი. რით მოსდით ეს, უცოდინრობით?*

– ყოვლად უვიცი და რეგვენი უნდა იყო კაცი, რომ არ იცოდე, რა დანაშაულია ეს საკუთარი ერის წინაშე! გაფუჭებული პატეფონივით სულ ამას ვიმეორებ: მსოფლიოში არსებობს ორად ორი მოდელი ეროვნულობის პრობლემის გადასაწყვეტად. ერთი მოდელი არის ევროპული მოდელი. მეორე მოდელს იგივე ევროპელები ეძახიან ტრადიციულ ანუ სტალინურ მოდელს.

ევროპელობაზე რომ დებს ზოგიერთი თავს, ორიოდე სიტყვა რომ უსწავლია ფრანგულად ან ინგლისურად ახალგაზრდას, უცხოეთში გატარებულ სტუდენტობაზე რომ აკეთებს აქცენტს და მე მასწავლის ჭკუას: ვითომ მე, მეზოსური ერის წარმომადგენელი, რეზო მიშველაძე, ბაიბურში არა ვარ თუ რა ხდება დედამიწის ზურგზე (მას ხომ ოქსფორდის უნივერსიტეტის დიპლომი უძევს ჯიბეში, მე კი – მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა!), მას, რა თქმა უნდა, ჩემი წიგნები არ წაუკითხავს, იმიტომ, რომ ვერ მოიცალა; როგორც კი საშუალო დაამთავრა, დედიკომ და მამიკომ პირდაპირ ოქსფორდის უნივერსიტეტში უდურთეს თავი და ვინაა ქართველი მწერალი რევაზ მიშველაძე, მან რა იცის! რა იცის ლევან ბერძენიშვილმა, ნამდვილი ილია ჭავჭავაძე ვინ არის, ან ვინმე ბოკერიამ ან თუნდაც ჩვენი სახელოვანი კაცის, აკაკი ბაქრაძის ბიჭმა! ამათ დრო არ ჰქონიათ, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი, კონსტანტინე გამსახურდია ესწავლათ! მივუბრუნდეთ მოდელებს.

ევროპული მოდელი, აი, რას გულისხმობს: მსოფლიოს ყოველ სახელმწიფოში სწორედ სახელმწიფოს შენების ეროვნულ გზაზე [illegible]თა მან და ხაზი გაუსვა: სხვა გზა არის იმპერიული გზა, ხოლო იმპერია კი, ადრე თუ გვიან, დაინგრევაო! არის ავტოქთონური ერი ანუ ძირითადი ქვეყნის პატრონი, აბორიგენი ერი. საფრანგეთში არის ფრანგი, გერმანიაში – გერმანელი, იტალიაში – იტალიელი, ინგლისში – ინგლისელი. სხვათაშორის, ბჟეზინსკიმ ჩვენს უნივერსიტეტში გამოსვლისას აღნიშნა, რომ ჩვენ უკვე ერად ჩამოვყალიბდით და ვამაყობთ იმით, რომ ეროვნული სახელმწიფო ავაშენეთ"-ო. ჩვენ კი პარლამენტის უმრავლესობის მსუბუქი ხელით, ვანგრევთ საქართველოს სახელმწიფოებრიობის საძირკველს. არადა, ყოველი სახელმწიფოს ასაშენებლად მხოლოდ და მხოლოდ ერთი მოდელი არსებობს – ნაციონალური სახელმწიფოს შენება! აი, ამას ჰქვია ევროპული მოდელი. ვისაც შეუსრულდა 16 წელი, ეროვნებად უწერია ავტოქთონური ერის ეროვნება. საფრანგეთში პასპორტში ყველას, ალჟირელ ზიდანსაც და სომეხ პოლოსიანსაც უწერია – ნაციონალიტე ფრანსე (ეროვნება ფრანგი). ლათინური „ნაციო" ანუ „ნაცია" ნიშნავს ერს. სხვაგან თუ არ მიუწვდებათ ხელი, „უცხო სიტყვათა ლექსიკონს" მაინც ჩახედონ და ნახავენ, მაგრამ, ეტყობა, მათ მშვენივრად იციან, რასაც და რატომაც შვრებიან!

ამ მოდელს თუ დავუჭერთ მხარს, მაშინ საქართველოში მცხოვრებ ყოველი ერის წარმომადგენელს პირადობის დამადასტურებელ საბუთში უნდა ეწეროს – „ქართველი". ვინც ამას არ მოისურვებს, კი ბატონო, არც არავინ დააძალებს!

მე, პირადად, ევროპული მოდელის მომხრე გახლავართ, მაგრამ ვაი, რომ ისინი არ იქნებიან თანახმანი, ვისაც „ქართველს" ჩავუწერთ! ამიტომ, სანამ ისე არ მომძლავრებულხარ, როგორც ზემოთ დასახელებული ევროპული ქვეყნები და ვერ ბედავ ასეთი რადიკალური ხაზის გატარებას, ხოლო ევროპულ ორიენტაციას კი, ყალბად, მოჩვენებითად, სხვის თვალში ნაცრის შესაყრელად იბრალებ, თან ჯიუტად იძახი: მე ვარ ქართველი, მაშასადამე, ვარ ევროპელიო! მაშინ უნდა შემოიღო მეორე, ანუ ტრადიციული მოდელი: ყოველ მოქალაქეს პასპორტში ეწეროს საკუთარი ეროვნება: ქართველი, სომეხი, რუსი, აზერბაიჯანელი, აფხაზი, ოსი, ბერძენი და ა.შ. რაც შეეხება იმას, რომ ესენი, სახელდობრ, საქართველოს მოქალაქენი არიან, იქვე იქნება ცალკე გრაფაც „საქართველოს მოქალაქე".

ჩვენ ორივე ეს მოდელი უარვყავით, ხოლო მესამე მოდელი არსად დედამიწის ზურგზე არ არსებობს! ქართველმა ხალხმა არც კი იცის, რომ მისი, როგორც ერის, არსებობა წინა პარლამენტმა, მიხეილ სააკაშვილისა და კომპანიის წყალობით, დაასრულა. აი, რა გააკეთეს მათ: ქართველსაც, რუსსაც, სომეხსაც წაუშალეს საკუთარი ეროვნება და დაუწერეს – „საქართველოს მოქალაქე".

როდესაც ყოველივე ეს ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ერთმა ნაწილმა ბატონ პრეზიდენტს აუხსნით, მან ადამიანურად განიცადა ეს შეცდომა და აღიარა: როგორც ჩანს, ხელი მომაწერინეს საქართველოსათვის არასასურველ, მცდარ კანონპროექტზეო.

მაგრამ, როდესაც მე და გურამ შარაძემ და სხვებმაც მთელს საქართველოში დაფდაფების ცემა ავტეხეთ, გააქტიურდა პარლამენტი

გაგრძელება მე-5 გვ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინტერვიუ

რევაზ მიშველაძე:

# რაღა მაინც და მაინც 9 აპრილს დაამთხვიეს საპრეზიდენტო არჩევნები, ესეც ძნელი გასაგები შეიქნა ჩემთვის...

*მე-4გვერდიდან.*

და მისმა ხელმძღვანელმა ბირთვმა იმდენი ქნა, რომ თვით პრეზიდენტის მიერ ხელმეორედ განხილვისათვის მობრუნებულ ხსენებულ კანონპროექტს წაუყრუა, არ განიხილა!

მაშინ პრეზიდენტს მიმართეს ერის სახელოვანმა მწერლებმა (ანა კალანდაძე, შოთა ნიშნიანიძე, თამაზ წივწივაძე, ლევან სანიკიძე, თამაზ ჩხენკელი, ანზორ აბულაშვილი და სხვა), რომლითაც ყოვლად დასაბუთებულად ვითხოვდით ამ ანტიკანონის გაუქმებას. გამოქვეყნდა იგი „ლიტერატურულ საქართველოში". უმალვე ეგრეთ წოდებულ, „ორშაბათის ინტერვიუში" ბატონმა პრეზიდენტმა ბრძანა: მადლობა მინდა მოვახსენო ჩვენი საუკეთესო მწერლების ერთ ჯგუფს, რომელთაც შემახსენეს ჩემგან შეცდომით ხელმოწერილი კანონი და ვპირდები მათ, რომ უახლოეს ხანს ამ შეცდომას გამოვასწორებთო. მას შემდეგ მთელი რვა თვე გასრულდა და არაფერიც არ გამოსწორებულა! გამიკვირდა ბატონი ედუარდისაგან, რომელიც ქართული მწერლობისადმი ძალიან გულისხმიერია, ასეთი რამ, მაგრამ მაინც ვიტოვებ იმედს და ახლად არჩეულ პარლამენტს მიაღებინებს ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებას. მე მაინც ვერ ჩავთვლი საქართველოს პრეზიდენტს დამნაშავედ, ამ, ქვეყნისათვის მტრული კანონის მიღებაში. სხვათა შორის, როცა ამას სხვებს ვეუბნები, მავანი და მავანი ჭკუას მარიგებს: კაი რა, თუ ძმა ხარ, ნუთუ ასეთი გულუბრყვილო ბრძანდები, რომ ვერ ხვდები – ეს ყველაფერი სწორედ ბატონი ედუარდისაგან მოდისო! ხომ არა ბნელაო! მე კი მგონია, მართლაც სიბნელე იყო, როცა პარლამენტს ასეთი კანონი მოახვიეს თავზე და კვლავ და კვლავ ვიმეორებ: ჩვენ ან უნდა მივიღოთ ევროპული მოდელი (ჩემდათავად, რასაკვირველია, მისი მომხრე ვარ) ან ისევ ტრადიციული მოდელი უნდა გვქონდეს, თორემ, მარტო ჩვენ რომ არ გვეწეროს ეროვნება მთელს დედამიწის ზურგზე, ეს საშინელებაა!.. და, იცით, რატომაა საშინელება? ახლავე მოგახსენებთ: გაივლის დღეიდან, ვთქვათ, 10-15 წელიწადი, ბატონი ედუარდი პრეზიდენტი აღარ იქნება. ამ დროისათვის პარლამენტში დემოგრაფიული კრიზისის გამო, ბევრი არაქართველი მოხვდება და აი, წამოდგება რომელიმე მათგანი და გაკვირვებული იკითხავს – (ხომ არავის ჰგონია, ამს კი არა, ას ან ხუთას წელიწადში საკუთარ ეროვნებას ვინმე დაივიწყებს!): რატომ არის ილია ჭავჭავაძის ენა ჩემთვის სახელმწიფო ენა?! (ილიას ხომ, ჩვენდა სამარცხვინოდ, ზოგიერთი ვაიქართველი ახლაც ითვალისწუნებს!) ან რატომ არის ოტია იოსელიანის ენა ჩემთვის სახელმწიფო ენა?! ოტია იოსელიანსაც და მეც ხომ პასპორტში „საქართველოს მოქალაქე" გვიწერია?! საიდან ჩანს, რომ ის ავტოქთონური ერის წარმომადგენელია?!

აი, რა გააკეთა წინა პარლამენტმა! მან დაუკარგა, გაუუქმა ქართველ ერს იურიდიული და მორალური უფლება – იყოს ქვეყნის პატრონი, ძირითადი ერი! ასე და ამრიგად, ჩვენი ქვეყანა გადაიქცევა იდიოტურ-ინტერნაციონალურ ლაბორატორიად, რომელიც ყოველ მიზეზს გარეშე აფეთქდება და გაქრება! დაიღუპება იმიტომ, რომ... სხვა ერის წარმომადგენელი უპატრონებს სვეტიცხოველს და „ვეფხისტყაოსანს", ჩემო ძვირფასო და საყვარელო კაცო, სააკაშვილო?!

სხვათაშორის, მე ამ კანონს დედლურ-ცვედნური ვუწოდე.

*– ბატონო რევაზ, იმედია, თქვენი ბლოკიდან ამ კონკრეტულ საკითხში მოწინააღმდეგე არავინ გეყოლებათ. ყველანი მხარში დაგიდგებიან.*

– მე მგონი! ვინ იტყვის ქართველობაზე უარს: ერთი უბრწყინვალესი ქართველის, დიდი მემედ აბაშიძის ბადიში თუ მუხრან მაჭავარიანი, ჯუმბერ პატიაშვილი თუ ელიზბარ ჯაველიძე, გიორგი თარგამაძე თუ ვახტანგ ბოჭორიშვილი.

*– საუბრის დასასრულს რას ეტყვით მკითხველებს?*

– ვეტყვი იმას, რომ, როგორც ცნობილია, პარლამენტი მხოლოდ საკანონმდებლო ორგანო არ გახლავთ, მას მიღებული კანონების შესრულების შემოწმებაც ხელეწიფება! მე მჯერა (ლამის შემაზიზღოს ერთმა უსაშველო ოდიოზურმა პიროვნებამ ეს სიტყვა!), რომ ქვეყნის პრეზიდენტის ბრძანებულებათა ნახევარიც არ სრულდება, რომ პრეზიდენტსა და ხალხს შორის ჩამდგარია ვიღაც, რომელიც ამუხრუჭებს ან სულაც უგულვებელყოფს ამ კანონების შესრულებას. აი, იმ ვიღაც-ვიღაცეებს ყურში ხელი უნდა ჩაევლოს, ამიტომაც ვიკავებ პარლამენტარის სავარძელს! წინ მთელი ოთხი წელიწადია!..

ესაუბრა ბიზო ზარნაძე

## პოზიცია

# ემზარ კვიტაიშვილის ლოგიკიდან „სეთურის" ლოგიკამდე, ანუ გააუქმა თუ არა გამსახურდიამ გვარდია?

*მე-3 გვერდიდან.*

სიტყვა და საქმე წარმოადგენს აბსოლუტურ ჭეშმარიტებას (?!)". მათი საქმეების „ჭეშმარიტებაზე" კი შედეგები ლაღადებენ: ქვეყანა ღრმა პოლიტიკურ-ეკონომიკურ-სოციალურ ჩიხშია შეყვანილი და სტაგნაციას განიცდის. „მილიონ" სამუშაო ადგილს ვინ ჩივის (თუმც პრეზიდენტი ამტკიცებს, რომ მან პირობა შეასრულა – თოხზე და ბარზე გადაიყვანა მთლიანად საქართველო!), საახალწლოდ პრეზიდენტის შეპირებაც – ხელფასები ამ წელს ყოველთვიურად და დროულად გექნებათო", ჩვეულებრივი ტყუილი გამოდგა – ხელფასების დავალიანება, დაფარვის ნაცვლად... 4 თვიდან 9 თვემდე გაიზარდა (?!). აი, მათი „ჭეშმარიტებისა" და შეპირებების ფასი!

ისინი ხედავენ, რომ როგორი დიდიც უნდა იყოს ტყუილი, ის მაინც ტკბილი მოსასმენია და ადამიანები ადვილად „ყლაპავენ" მას. ამიტომ, მომავალი არჩევნებისათვის მათგან ახალი ტყუილების ნაკადი წამოვიდა, რომელთა შორის გამოირჩევა ხელფასების 220 ლარამდე გაზრდის შეპირება, მაშინ, როცა 12 ლარიანი პენსიები ვერ გაუციათ! მათი წინასაარჩევნო



ძვირადღირებული პლაკატები ხომ სრულ გაუგებრობას იწვევს: „ბედნიერება თქვენს ოჯახებს", „ვაზი უნდა ხარობდეს", „პური უნდა ცხვებოდეს", „ბავშვები უნდა იცინოდნენ" (?!!). კი, მაგრამ რა შუაშია ყოველივე ამასთან მოქალაქეთა კავშირი? და იკვეთება მათი დაახლოებით ასეთი პოზიცია: „ყოველივე ეს ნორმალურ ქვეყანაში უნდა იყოს, მაგრამ ჩვენ ვერ შეგპირდებით (!), და თუ არ გექნებათ, ჩვენ არაფერი დაგვაბრალოთო!"

ყველაზე უფრო საოცარი მათი თავდაჯერებულობაა – ნაცვლად იმისა, რომ სახელმწიფო მართვაში სრული გაბანკროტების გამო უხმაუროდ წავიდენ ხელისუფლებიდან, ისინი ორივე ხელით ებღაუჭებიან სკამებს და ცოცხალი თავით არ უნდათ მისი დათმობა!

კი, მაგრამ რა დააშავა ქართველმა ერმა? – იმის გამო, რომ ვიღაც-ვიღაცეებს პირადი გამდიდრებისა და კეთილდღეობისათვის თანამდებობის დატოვება არ უნდათ, ისინი მუდმივ შიმშილსა და სიღატაკეში უნდა ცხოვრობდნენ? არ სჭირდება ქართველ ერს ისეთი „გენიალური" (!) პოლიტიკა, რომელმაც მას არაფერი შესძინა, დაკარგვით კი ბევრი რამ დააკარგვინა და ლამის გადააგვარა!

– დროებითიაო! – მილიარდნახევრიან ჩინეთს ეკონომიკის ასაღორძინებლად 2-3 წელი დასჭირდა. ჩვენთან 7 წელი გავიდა. კიდევ მრავალი „7" წელი გავა და მდგომარეობა საეჭვოა გამოსწორდეს, რადგან დღევანდელი, თქვენგან „გულდაუკმეული" მმართველი ფენა, მათ ენაზე რომ ვთქვათ – „თანხებს არადანიშნულებისამებრ იყენებს", რაც ჩვეულებრივ ენაზე ნიშნავს – გაფლანგვას...

მკითხველს შესანიშნავად ახსოვს უახლოესი წარსული, აქვს ანალიზის უნარი და შეუძლია შავისაგან თეთრის გარჩევა. მათ შესანიშნავად იციან, რომ კამათსა და პაექრობაში, მოქალაქეებს შორის იქნება ეს თუ სახელმწიფოებს შორის, ძალადობასა და იარაღს მართალი მხარე პირველი არასოდეს მიმართავს; მას ყოველთვის ის მხარე მიმართავს, რომელიც გრძნობს თავისი პოზიციის უსუსურობას და ვერაფერს უპირისპირებს მოწინააღმდეგის სამართლიან არგუმენტებს!

ეს, რაც შეეხება დღევანდელობას – განსასჯელად!

ხოლო, რაც შეეხება თქვენს ზემოთ აღნიშნულ წერილს, იგი აგებულია მოვლენების ცალმხრივ, მიკერძოებულ ინტერპრეტაციაზე და არის ერთი მხარის დანაშაულებათა მიჩქმალვის მცდელობა მათი მეორე მხარისთვის გადაბრალების გზით. მეთოდი ძველი, მარტივი და გამოცდილია; სხვა დროს იქნებ გაგვმართლებოდათ კიდეც. მაგრამ ახლა, როცა ინფორმაცია აღარაა ძნელი მოსაპოვებელი, ჭირს სიმართლის მიჩქმალვა, როგორც არ უნდა ეცადო ამას.

ახლა მივყვეთ თქვენი წერილის (შეგნებულად არ ვხმარობ მკვეთრ გამოთქმებს) მსვლელობას და შევეხოთ მხოლოდ იმ მომენტებს, რომლებიც, ასე თუ ისე – საყოველთაოდ ცნობილია:

თქვენ წერთ, რომ შიდა ქართლსა და აფხაზეთში „მან (ე.ი. გამსახურდიამ) ჩაუყარა საფუძველი ათას უბედურებას. ჩოჩიევსა და არძინბას ... მისმა მოქმედებამ გაუხსნა ხელ-ფეხი, რამაც მერე და მერე ტრაგიკული შედეგები მოიტანაო".

როგორც ჩანს, თქვენი აზრით, გამსახურდიას არ უნდა მიეპყრო ერის ყურადღება სამაჩაბლოსა და აფხაზეთში იმ დროის ხელისუფალთა დანაშაულებრივი მმართველობით შექმნილ ქართველთა დამცირებულ-დაბეჩავებული მდგომარეობისათვის (ამ მთავარ მომენტს თქვენ შეგნებულად გვერდს უვლით, რაც არის ფაქტებით თქვენებური მანიპულირების ერთ-ერთი მაგალითი) და უნდა დალოდებოდა მექრთამე რაიკომის მდივნებს, თუ როგორ მდიდრდებოდნენ ისინი ქართული მიწების არაქართველებზე გაყიდვის ხარჯზე? თქვენ ასევე არაფერს ამბობთ იმაზე, რომ, როცა აფხაზები და ოსები იარაღს გამალებით ყიდულობდნენ, როგორ და რამდენჯერ ჩამოართვეს ამ რეგიონის ქართველობას დაკანონებული სანადირო თოფებიც კი (!!!) და ამგვარად, როგორ განაიარაღეს ისინი მაშინდელმა საქართველოს ხელისუფლებმა! რატომ არ წერთ – ვინ თავკაცობდა მაშინ მათ? აი, რამ „გაუხსნა ხელ-ფეხი ჩოჩიევსა და არძინბას", რამ „მოიტანა ტრაგიკული შედეგები მერე და მერე", როგორც თქვენ წერთ, ამ რეგიონებში! რომელი ჭკუათმყოფელი იტყვის და დაიჯერებს, რომ „გამსახურდია რომ არ ყოფილიყო, ოსები და აფხაზები იარაღს ხელისუფლებას ჩააბარებდნენ და ქართველთა წინააღმდეგ არ გამოიყენებდნენო!"

ზვიად გამსახურდია სულ რომ არ დაბადებულიყო – ქართველთა წინააღმდეგ დაგეგმილი სეპარატისტული გამოხდომები აუცილებლად მოხდებოდა, ვინაიდან მას საფუძველი ჯერ კიდევ გამსახურდიას დაბადებამდე დიდი ხნით ადრე ჰქონდა ჩაყრილი. ნუთუ ეს ვინმესთვის სადავოა?

შემდეგ წერთ: „აფხაზეთში ქართველობამ ყოველგვარი უფლებები რომ დაკარგა, ესეც მისი „ბრძნული" პოლიტიკის ნაყოფი იყო. ამას მოყვა უბედურებათა მთელი ჯაჭვი... თბილისის ცენტრი დაინგრა. თვითონ გროზნოს შეაფარა თავი..." და ა.შ.

ზემოთ უკვე ვთქვი, თუ როგორ და ვისი „ბრძნული" პოლიტიკის გამო დაკარგა ქართველობამ უფლებები აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. ხოლო, რაც შეეხება „თბილისის დანგრევას" – ის თავისით არ დანგრეულა – როგორც თქვენ წერთ: ის ზარბაზნებით დაანგრიეს და ქართველთა 87%-ის ნებით არჩეული პრეზიდენტი (არა აქვს მნიშვნელობა-ვინ იყო ის) გროზნოში განდევნეს (და არა – „შეაფარა თავი", როგორც თქვენ ცდილობთ გაუბრალოებულად წარმოიდგინოთ. თქვენ კი ცდილობთ ეს ყველაფერი მიჩქმალოთ, მაგრამ უშუალო შემსრულებელმა – კიტოვანმა არ დამალა და „ციხიდან" (სპეციალურად ვხმარობ ბრჭყალებს, რატომ – ალბათ მიხვდებით) გამოსვლის შემდეგ ტელეჟურნალისტებს „ვაჟკაცურად" განუცხადა: „კარგი გავაკეთე, ის ძველი შენობები რომ დავანგრიე (?!) – შეხედეთ, რა ლამაზი შენობები ააგეს მათ ნაცვლადო" (!!!). თითქოსდა ერის ნებისა და ცნობიერების ნგრევა, მის უმრავლესობაზე ძალადობის აქტი არც მომხდარიყოს და საქმე მხოლოდ ძველი შენობების ახლით შეცვლას ეხებოდეს!

კომენტარი მკითხველისთვის მიმინდვია, ვისთან და რასთან გვაქვს საქმე! შემდეგ წერთ: „დავკარგეთ აფხაზეთი... აფხაზეთთან ომი თავს მოხვეული იყო... ნამდვილი ჯარი არ გვყავდა". და არაფერს წერთ იმის შესახებ, თუ ვინ დაიწყო ომი. ომი კი დაიწყო კიტოვანმა 14 აგვისტოს (დაგეგმილი 19-20 აგვისტოს ნაცვლად) „ბატონ ე. შევარდნაძის მიერ ტელეფონით დაყინებული, მრავალგზის მოთხოვნის შემდეგ" (იხ. თ. სიგუას ინტერვიუ გაზეთ „ახალ თაობაში"); ეს გვაფიქრებინებს, რომ ომის დაწყება მოხდა ორმხრივი გარიგებით: ამით საქართველოს ფაქტიური ხელისუფლება მიზნად ისახავდა ქართველთა ყურადღება შიგა პრობლემებიდან ხელოვნურად შექმნილ გარე პრობლემაზე გადაეტანა და ამ ხერხით შეენარჩუნებინა მიტაცებული ხელისუფლება; ხოლო რუსეთის მიზანი დღესავით ნათელია – ქართველთა მიერ ომის წამოწყებით მათ ეძლეოდათ შესანიშნავი შანსი კონფლიქტში ჩარევისა „ჩაგრულ" აფხაზთა მხარეს; და ეს იყო მათთვის მთავარი. ამის შემდეგ, რომ აფხაზეთი მათ დარჩებოდათ – ამაში ეჭვიც არ ეპარებოდათ!

სავარაუდოა, რომ ადგილი ჰქონდა სწორედ ასეთ გარიგებას! დღევანდელი მდგომარეობიდან ვიცით, რომ მოვლენები სწორედ ასედაც განვითარდა: ორივე მხარემ მიაღწია მიზანს, საქართველო კი აფხაზეთთან მიმართებაში გამოუვალ ჩიხში იმყოფება. თუმცა ამ ე.წ. „ჩიხს" აქვს ერთადერთი გამოსავალი, რომელსაც მკითხველი მარტივად წარმოიდგენს ყოველივე ზემოთთქმულის შემდეგ!

ხოლო, რაც შეეხება „ნამდვილი ჯარის" ყოლას და იმას, თუ როგორ იქცეოდა საქართველოს ხელისუფლება იმ ომში, ესეც საყოველთაოდაა ცნობილი თავისი ალოგიკურობით (თუმცა, ხშირად, ალოგიკურობასაც მოეძებნება თავისი ლოგიკა): არცერთი საპროტესტო ნოტა რუსული მხარისათვის არ გაუგზავნიათ. მიუხედავად იმისა, რომ რუსული მხარე აშკარად და თავხედურად ერეოდა ომში აფხაზთა მხარეს (ვინ გააპროტესტებდა, თუ ყველაფერი ურთიერთშეთანხმებით ხდებოდა!) ტექნიკითა და ცოცხალი ძალითაც კი! პირადად რომ არ მეხილა, სხვისგან ნათქვამს არ დავიჯერებდი – მიმდინარე ომის ფონზე ქართველებს ... დუბაიში ეპატიჟებოდნენ დასასვენებლად (!!!), ხოლო სოხუმის დამცველებს ტყვია-წამლის ნაცვლად... კონსერვებით სავსე მანქანებს უგზავნიდნენ! შემთხვევით? – ასეთი „შემთხვევები" არ ხდება!

ქართველთა თავზე ბილო წლებში მართლაც დიდი უბედურება დატრიალდა. თქვენ კი ფერების გასამუქებლად და „მეორე" მხარის ცოდვების დასამძიმებლად, რაც არც პირველ, ანუ თქვენ მხარეს აკლია, წერთ: „გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას – ძნელია ჩვენს ტანჯულ, მრავალსაუკუნოვან ისტორიაში მოიძებნოს გამსახურდიასნაირი მეორე პიროვნება, გარეშე ან შინაური, ვისი მიზეზითაც საქართველოს ამდენი ნგრევა და ხოცვა-ჟლეტვა, ამდენი მატერიალური ზარალი განეცადოს..." (?!).

ე.ი. თქვენი მტკიცებით, საქართველოს ისტორიაში არ ყოფილა არაბთა, სპარსთა, თურქთა, მონღოლთა შემოსევები? არ ყოფილა ბაზალეთის ტრაგედია და სხვა? აქედანაც ნათლად ჩანს თქვენი ტენდენციურობა და ერთადერთი მიზანი – ყველაფერი გადააბრალოთ მეორე მხარეს – გამსახურდიასა და მის მხარდამჭერთ, ხოლო თქვენ „ანგელოზებად" გამოჩნდეთ. მაგრამ აშკარად გღალატობთ ზომიერების გრძნობა და იმდენად ძლიერია თქვენში სასურველის რეალობად გასაღების წადილი, რომ ველარ ზომავთ და ასეთ ლაფსუსებს უშვებთ.

ფაქტია და თქვენც აღიარებთ თქვენს წერილში, რომ „გამსახურდიას (უფრო სწორი იქნებოდა – გამსახურდიას იდეებს!) ბლომად დარჩა მიმდევრები"... და თქვენ ამ ფაქტს „სამწუხაროდ" მიიჩნევთ.

მაგრამ, როგორც ვთქვით, ყველაფერი ფარდობითია ამ ქვეყანაზე. ამიტომ ნება მომეცით ჩავთვალოთ, რომ ეს სულაც არაა „სამწუხარო" ფაქტი! სამწუხარო ისაა, დღევანდელ საქართველოში კოსმოპოლიტ ხელისუფალთა და მის გულდაუკისმკეველ თქვენნაირ ადამიანთა შიშით ქართველებს რცხვენიათ ბუნებრივი ეროვნულ გრძნობათა გამჟღავნებისა! ასეთი რამ მხოლოდ საქართველოშია! აი, ესაა დიდად სამ-

*გაგრძელება მე-7 გვ*

# სისხლის ზეიმი

მე-2 გვერდიდან.

ფასად საარჩევნო კამპანიაში ჩართეს ახალგაზრდა გოგო-ბიჭები (თავისდაუნებურად სამშობლოსადმი პავლიკ-მოროზოვის როლის შემსრულებლები), რომლებიც მოსახლეობაში ხმის მოსყიდვის აგიტაციას ეწეოდნენ ისეთი პიროვნებების სასარგებლოდ, რომლებიც მათივე თანატოლი გოგო-ბიჭების უმუშევრად თუ უსწავლელად დატოვების თუ გაუბედურების ხარჯზე გამდიდრებულნი, დღეს ურცხვად აყვავებას გვპირდებიან და დეპუტატობის მანდატს ითხოვენ.

ჩაწერის ინსტიტუტის გაუქმების ინიციატორებმა ისევ მათგან დაწუნებულ სახლმმართველობებს მიაკითხეს, 10-15 წლით წინათ, დღემდე რეგისტრირებული თვითოეული მოქალაქე მიცვალებულებიანად ამოაწერინეს, საარჩევნო სიის უსაშველოდ გაზრდის მიზნით. სიაში აღმოჩნდნენ ის პირები, რომლებმაც კარგა ხანია გადაკეტეს სახლ-კარი. ზოგი საზღვარგარეთ დაფუძნდა, ზოგმაც კი მამაპაპისეულ სოფელს მიაშურა თავის გადასარჩენად, ზოგს კი გაყიდული აქვს. მაგრამ ჯერ არავინ გადმოსულა, ესეც არ იკმარეს და გარდაცვლილთა მთელი არმიაც ფეხზე დააყენეს (შეგინდოთ მიცვალებულთა სულებმა). მაშინ, როცა სიაში არ აღმოჩნდა, ან ბარათი არ მიუტანეს ფაქტიურად მაცხოვრებელ მოსახლეობის ნაწილს ან კიდევ მათ, ვინც პრეტენზიით იყვნენ მმართველი ძალის მიმართ, ან სხვა პარტიებისადმი პატივისცემას გამოხატავდნენ. ესეც არ იკმარეს: საარჩევნო სიების გაზრდის მიზნით, ერთი და იგივე ქუჩა მთელი საცხოვრებელი სახლებით, ასევე ცალკეული სახლები თუ ამომრჩევლები განმეორებით იქნა შეტანილი. იმისათვის, რომ შეუმჩნეველი დარჩენილიყო ამომრჩეველთათვის, ერთი და იგივე ქუჩები შეტანილი იქნა სხვადასხვა დასახელებით (როგორიც არის: ამაღლების ქუჩა – დავითაშვილის ქუჩა; კოტე მესხის ქ. – ს. მესხის ქ და სხვა მაშინ, როცა დავითაშვილის ქუჩა აღარ არსებობს, კოტე მესხის კი სულ სხვა უბანში შედის).

ერთი თვით ადრე გამოკვრის ნაცვლად საარჩევნო სიები ზოგან საერთოდ არ გაუკრიათ, ზოგან კი მხოლოდ რამდენიმე დღით ადრე გამოაკრეს, ისიც დაფარულ ადგილებში, არჩევნების დღეს კი სიები საერთოდ არსად ჩანდა (სიებს საიდუმლოდ ინახავდნენ).

დამკვირვებლებსა და წარმომადგენლებს ფიქციად ქცეული საარჩევნო კანონით მიკუთვნებული ყოველგვარი მწირი უფლებები ჩამოართვეს, არაფრის უფლება არ მისცეს და ყველა, ვისაც კი მოესურვებოდა, კომისიის წევრიდან დაწყებული ოლქის წარმომადგენლით დამთავრებული, კვთრივანივით ერეკებოდა საარჩევნო უბნიდან, თითქოსდა ჩვენ სხვა ქვეყნიდან შემოსული მტერი ვიყავით და ჩვენ ჩვენი ქვეყნის არჩევნები არ გვეხებოდა. ჩვენ ხომ მხოლოდ სამართლიანი არჩევნები გვინდოდა ქვეყნის გადარჩენის, მშვიდობისა და თვითოეული ჩვენგანის უფლებათა დასაცავად, იმ უფლებებისა, რომლებიც ასე ურცხვად ილახება ისევ ორი მოქიშპე ძალის მიერ საქართველოში და რისი მაგალითიც 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები გახდა.

თუ საღამოს 5-6 საათისათვის არჩევნებში მონაწილეთა რიცხვი 500-ს არ გაცილებია, 6 საათის შემდეგ საარჩევნო უბანს მოაწყდა ხალხი: დაუძლურებული მოხუცები თუ ჯანღონით სავსე ახალგაზრდები, რომლებიც არასოდეს მენახა კარდაკარ დავლილი მთელ საარჩევნო უბანზე, რომელთაც კომისიის წევრთა ერთი ჯგუფი ყოველგვარი შეფერხების გარეშე ატარებდნენ საარჩევნო სიაში თუ დამატებით სიებში. ამომრჩეველთა მოზღვავებამ შექმნა ქაოსი, არეულობა, რამაც ერთის მხრივ საშუალება მისცა მავანთ წინასწარ მომზადებული ბიულეტენების ჩაყრის მცდელობისა, მეორე მხრივ შეუძლებელი იყო თვალყურის დევნებაც კი, რითაც ისარგებლეს კომისიის წევრებმა და სულ რაღაც ორ საათში რეგისტრაციაში გაატარეს 1000-მდე ამომრჩეველი, რითაც კომისიის თავჯდომარემ „პირნათლად" შეასრულა დაკისრებული მოვალეობა ძლიერთა ამა ქვეყნის წინაშე.



და აი, ასეთი არჩევნების შედეგიც:

მივიღეთ „გამარჯვებული" მმართველი ძალა, რომელმაც ხალხს უკვე დაუმტკიცა თავისი „მართვის ძალა" განვლილ წლებში, რაც გამოიხატა მასში, რომ მთელი თავისი მმართველობის პერიოდში ყიდის მართლაც და მთელ საქართველოს ქართველ ერთან ერთად, იღებს მილიარდობით ვალებს... და (ოჯახის ლოთი უფროსივით) ვერა და ვერ უზრუნველყო უმუშევრად დარჩენილ, საპყრადქცეულ ხანდაზმულთათვის სასაცილოდ 10 ლარი პენსიების დარიგებაც კი...

მეორეს მხრივ გუშინდელი დეპუტატის მამუკა არეშიძის მიერ „აღორძინებულ სოლოლაკში" დღეს ხმის უმრავლესობა მოიპოვა ტელესერიალების დამფუძნებელმა დეპუტატობის კანდიდატმა გოგელიამ, რომელიც „აღორძინებულ სოლოლაკ-მთაწმინდის" უბანზე მოსახლეობას პირდება სპორტული კომპლექსების აშენებას, კომპიუტერისა და უცხო ენათა შემსწავლელი ქსელების გახსნას.

გიხაროდენ ქართველებო! უცხო ენა დღეს მართლაც და საჭიროა ქართველთათვის დედინაცვლად ქცეული მმართველი ძალის ხელში, რადგან 4 წლით გაიხანგრძლივა სამოქმედო ასპარეზი ძალამ, რომელთა უმრავლესობა აცხადებს: საქართველოში ეროვნული იდეოლოგია არ გვინდა; ერის მცნება არ გვინდა; მამის სახელი და არც ეროვნულობის ასახვა არ გვინდა; უარყოფენ „ქვათა ღაღადის" ავტორს, გვპირდებიან საქართველოს ფედერალურ მოწყობას, გვპირდებიან „მთელი საქართველოს გაყიდვას" შუქის სანაცვლოდ და ვინ მოთვლის, რამდენ „სიკეთეს". მხოლოდ არ გვეუბნებიან, სად შეძლოს ქართველმა „თვითგამორკვევა", როცა ყველა ერის წარმომადგენელს, სამშობლოს მქონეს თუ უსამშობლო მოქალაქეს პირდებიან ყველა მცირე ერის თვითგამორკვევას.

გიხაროდენ ქართველებო! აქამდე თუ კავკასიელობა გვეამაყებოდა, დღეს ერთი ხელის დაკვრით ევროპელები გავხდით. მე ისღა დამრჩენია დიდი გულისტკივილით მოგმართოთ: დროა გამოფხიზლდეთ და დაიცვათ სამშობლო და ერი.

და შეგახსენოთ დიდი ილიას სიტყვები:

„ოხ ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი,
როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება".

ელენე მუმლაძე

# არასერიოზული მსჯელობანი ფრიად სერიოზულ პრობლემაზე

მე-3 გვერდიდან.

ვა? მოგახსენებთ, რომ ამჯერად ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნება ბევრად უფრო ერთსულოვანია და მტკიცედ დაასკვნის ჩვენი ცივილიზაციის ევროპულ ხასიათს. მაგრამ შეგახსენებთ საკითხის თაობაზე ორი ძალზე გამოჩენილი ქართველი მოაზროვნის ილია ჭავჭავაძისა და ვახტანგ კოტეტიშვილის მოსაზრებას ც ისინი საქართველოს




ძტ რიულად აზიური, აღმოსავლური სამყაროს ორგანულ შემადგენელ ნაწილად მიიჩნევდნენ. ესეც, ცხადია, მიმანიშნებელია იმისა, რომ აღნიშნული პრობლემა ძალიან რთულია და როცა მასზე პასუხის გაცემას ცდილობენ, ეს გარემოებაც საკმაოდ უნდა ჰქონდეთ გაცნობიერებული.

მაგრამ მთლად გაგვაოგნა აკად. თამაზ გამყრელიძის სტატიამ „საქართველო ევროპაა თუ აზია?", რომელიც გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" დაიბეჭდა ამა წლის ივნისში. უპირველესად უნდა აღინიშნოს ავტორის უკიდურესად ზედაპირული მსჯელობანი საკითხის თაობაზე. გამოჩნდა რომ იგი საკითხის არსს ოდნავადაც ვერ უახლოვდება. ეს კი მით უფრო სამწუხაროა, რომ ბატონი თამაზ გამყრელიძე გახლავთ აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი და აღნიშნულ დაწესებულებასთან არსებული „აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობათა კვლევის საერთაშორისო ცენტრის" ხელმძღვანელი. თავის მხრივ ავტორის ენათმეცნიერობაზე მითითება არავითარი გამამართლებელი ალიბი არაა, რადგან თუკი მას სერიოზული აზრები არ გააჩნია აღმოსავლეთისა და დასავლეთის თაობაზე, მაშინ საჭირო არ იყო თავისი დილეტანტური შეხედულებების საჯაროდ, წერილობითი სახით გადმოცემა.

თურმე მთავარი ყოფილა იმის გარკვევა, თუ გეოგრაფიულად ქვეყნის რომელ ნაწილში: ევროპაში თუ აზიაში იმყოფება საქართველო. ბ-ნი თამაზ გამყრელიძე შეგვახსენებს, რომ ძველი ბერძნების მიხედვით საზღვარი ქვეყნის ამ ორ ნაწილს შორის მდინარე ფაზისზე გადიოდა, მაგრამ ავტორი მთლად გარკვეული როდია, თუ რომელი „ფაზისი" იგულისხმება ამ შემთხვევაში – რიონი თუ ჭოროხი (სხვათა შორის, ბერძნები „ფაზისად" არაქსსაც მოიხსენიებდნენ). თუ ეს ასე გახლავთ, მაშინ პირველ რიგში საკითხავია, სად მოვათავსოთ რიონის ჩრდილოეთით ან ჭოროხის აღმოსავლეთით მდებარე საქართველოს ნაწილები.

თავი დავანებოთ ძველ ბერძნებს. ვთქვათ დღევანდელი გეოგრაფიკოსები შეთანხმდნენ და ევროპასა და აზიას შორის საზღვრად კავკასიონის ქედი კი არა, არამედ ყოფილი საბჭოთა კავშირის შესაბამისი სამხრეთი მიჯნა დასახეს. ამით განა შეურყეველი არგუმენტი გაგვიჩნდება ჩვენი ევროპელობის სასარგებლოდ? გეოგრაფიულად ევროპაში ყოფნა ბევრად უფრო უძველია ადიღეველებისა, ჩერქეზებისა, ჩაჩან-ინგუშებისა და სხვათა, მით უმეტეს ბაშკირების, ყაზანელი თათრების, ნენცებისა და მისთანათა, მაგრამ აშკარაა, რომ მხოლოდ გეოგრაფიული ხასიათის ამ ფაქტით აღნიშნული ხალხები ევროპელებად ვერ ჩაითვლებიან. მეტსაც ვიტყვი: ევროპელობის მტკიცება ძალზე საეჭვოა თვითონ რუსების მიმართაც კი.

ბ-ნი თამაზი კიდევ უფრო „მყუდრო" არგუმენტს გვთავაზობს: ევროპაც და აზიაც ხომ ერთიანი დიდი კონტინენტია და აქედან გამომდინარე, ჩვენ, ქართველები ევრაზიელები ვართ. ასე რომ, პრობლემა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა მოხსნილია.

როდესაც გეოგრაფიული სიბრტყიდან ისტორიულ და კულტურულ სიბრტყეში ინაცვლებს აკად. თამაზ გამყრელიძე იფარგლება ჩვენი კულტურის სინთეზური (აღმოსავლურ-დასავლური) ხასიათით, რაც კარგა ხნის წინათ იყო შემჩნეული (ნიკო მარის, ივანე ჯავახიშვილის, გერონტი ქიქოძისა და სხვათა მიერ). დიდად სამწუხაროდ, ავტორი აღნიშნულ მოსაზრებას ოდნავადაც წინ ვერ სწევს. აღარას ვამბობთ საკითხის არსის წვდომაზე.

ამავე ორგანოში აკად. თამაზ გამყრელიძის („არისტონუსის" (ბერძნული სიტყვაა, ქართულად საუკეთესო გონებას ნიშნავს), ვითომდა ფრიად ღრმამეცნიერული ზარები შეაქო პროფ. ლევან სანიკიძემ (იხ. მისეული სტატია „ჩვენ, ქართველთა ანუ ევრაზიელთა, გინა აზევროპელთა..."). მაგრამ ეს ცხადია, არაფერს, აბსოლუტურად არაფერს არ ნიშნავს აკად. თამაზ გამყრელიძის დილეტანტური შეხედულების გასამყარებლად.

აქ ადგილი არაა და არც მიზანშეწონილად ვთვლით საკითხზე ფართო მსჯელობა წამოგვეწყო. დაინტერესებულ მკითხველებს შევახსენებთ ჩემეულ სტატიას „ქართული ცივილიზაციის რაობის შესახებ" („ცისკარი". 1986, №1) და ორ სტატიას, რომელიც გაზეთ „თბილისში" 1991 და გასულ წელს დაიბეჭდა. ამ სტატიებში ყოველ შემთხვევაში შევეცადე საკითხი მეცნიერულ და ფილოსოფიურ დონეზე გამეაზრებინა.

დაბოლოს, ერთ გარემოებას გავხაზავ. მაშინ, როდესაც ქართველი ისტორიკოსები (ივანე ჯავახიშვილი, ნიკო ბერძენიშვილი, ვალერიან გაბაშვილი და სხვანი) ვერ ბედავდნენ საბოლოო, გადამწყვეტი სიტყვა ეთქვათ იმის შესახებ, თუ რომელ ისტორიულ სამყაროს (ევროპას თუ აზიას) მიეკუთვნებოდა საქართველო, საკითხის ზედაპირულად მცოდნენი და აზროვნების უნარით არც თუ ისე გამორჩეულნი ცდილობენ თავიანთი ვითომდა კომპეტენტური სიტყვა თქვან და ამით მკითხველთა ფართო წრე „გაანათლონ". ამ მაგალითიდანაც ნათლად ჩანს, თუ როგორი ზერელობით ხასიათდება დღევანდელი ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნება.

გურამ ყორანაშვილი

# დაფუძნდა ლავრენტი თევზაძის სახელობის ფონდი

საქართველოში დაფუძნდა და საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ რეგისტრაციაში გაატარა, სრულიად საქართველოს ლავრენტი თევზაძის სახელობის პედაგოგებისა და მოზარდი ახალგაზრდობის დახმარების საქველმოქმედო ფონდი, რომლის მიზანია:

თავისი მოქმედება დაამყაროს 1948 წელს მიღებული გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის (გაერო) მიღებული ადამიანის უფლებათა დაცვის დეკლარაციის, საერთაშორისო კონვენციების, განათლების, კულტურის, ბავშვთა უფლებების და საერთაშორისო პაქტების შესაბამისად. გაუწიოს ქველმოქმედება პედაგოგებს, მოსწავლე ახალგაზრდობას, განათლების, სხვა მუშაკებს ხელი შეუწყოს განათლების სისტემის განვითარებას და კულტურის აღორძინებას. ფონდის პრეზიდენტად არჩეულია დამსახურებული მასწავლებელი შოთა ჭავჭანიძე. დღესდღეობით ფონდში უკვე გაერთიანებულია ორასამდე მოქალაქე პედაგოგები და ახალგაზრდობა. ფონდის ფილიალები დაფუძნდება საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში.

პრეს-ცენტრი

## პ ო ზ ი ც ი ა

# ემზარ კვიტაიშვილის ლოგიკიდან „სეთურის“ ლოგიკამდე, ანუ გააუქმა თუ არა გამსახურდიამ გვარდია?

*მე-5 გვერდიდან.*

წუხარო და სამარცხვინო ფაქტი!

შემდეგ წერთ: „ბაბილაშვილმა დაგვიხატა უტყუარი, თავზარდამცემი და სულისშემძვრელი სურათი იმ ვითარებისა, რაც აფხაზეთში რუსეთის ხანგრძლივი ხელშეწყობით შექმნილი და გაძლიერებული აგრესიული სეპარატიზმის სისხლიან, სადისტურ მოქმედებათა შედეგია...“

კი, მაგრამ ბაბილაშვილმა ახლა „აღმოაჩინა“ ყოველივე? ბატონი შევარდნაძისა და მისი გარემოცვის ცხვირწინ არ ხდებოდა ყველაფერი? რატომ მაშინათვე არ ატეხეს განგაში, არ აუწყეს მსოფლიოს ეს? რატომ ერთი საპროტესტო ნოტა მაინც არ გაუგზავნეს რუსეთს ამის გამო? ვიმსჯელოთ ერთად: ლოგიკის მიხედვით, აქ პასუხის ორი ვარიანტია დასაშვები: პირველი – არაფერი იცოდნენ რუსთა მონაწილეობის შესახებ აფხაზების მხარეს (რაც გამორიცხულია მათივე აღიარებით) და მეორე – იყო „რაღაც“ ისეთი, რაც შევარდნაძის გარემოცვას ამის საშუალებას უსპობდა და „ხელფეხს უბორკავდა“. სავარაუდოა, რომ ეს „რაღაც“ – სწორედ ის გარიგება იყო, ზემოთ რომ ვახსენეთ! თქვენ კი ცდილობთ ხელი გარდაცვლილ გამსახურდიას შეახოცოთ, ზოგ-ზოგების ღალატი და უკეთურობანი მიჩქმალოთ და მას გადააბრალოთ. რბილად რომ ვთქვათ – პატიოსანი ადამიანები, მითუმეტეს, პოეტები და მწერლები, ასე არ იქცევიან!

რაც შეეხება თქვენს მიერ ციტირებული ი. ვორონოვის გამონათქვამს, რომ თითქოს „ის შეზარა საგაფიცვო კომიტეტის ხელმძღვანელთა გეგმამ თბილისის მოსახლეობის შიმშილით ამოხოცვის შესახებ“, ეს თქვენ გჯერათ?

ვორონოვი „შეზარა“ არა იმ გეგმამ, არამედ იგი შეაშინა მათთან სავარაუდო და ირიბ გარიგებაში მყოფი შევარდნაძის ხელისუფლების დამხობის პერსპექტივამ; იმან, რომ თბილისში გამსახურდიას მოსვლის შემთხვევაში შევარდნაძის ბრძანებით, კიტოვანის მიერ ავანტიურისტულად წამოწყებული და ქართველთა დამარცხებაზე გათვლილ-დაგეგმილი აფხაზეთის ომის ბედი მათთვის (ე.ი. რუსებისთვის) შეიძლება წამგებიანად შებრუნებულიყო: გამსახურდიასთან შეთანხმებას ვერ შეძლებდნენ და საქმე ჩაეშლებოდათ!

თქვენ კი ოღონდ გამსახურდიასა და მის იდეას სახელი გაუტეხოთ და ი. ვორონოვიც კი – ეს ქართველთა დაუძინებელი მტერი და აფხაზთა მთავარი იდეური წინამძღოლ-პროვოკატორიც კი ლამის ანგელოზად გამოიყვანოთ! ასე მხოლოდ სიძულვილით სიბრმავემ იცის!

შევარდნაძის გარემოცვისა და ვორონოველთა ირიბი ურთიერთკავშირი ჩემი ფანტაზია არ გეგონოთ! ის მარტივი ლოგიკიდან გამომდინარეობს: ა. მარგიანი, ვ. გოგუაძე და ვ. კვარაცხელია, რომლებიც მაშინ შევარდნაძის უახლოეს გარემოცვაში იმყოფებოდნენ, მათივე საჯარო აღიარებით – ბალტინის ტანკებზე ამხედრებულნი შევიდნენ ზუგდიდში (ამით ისინი კიდეც ამაყობდნენ!). ხოლო ვორონოვი რომ მთლიანად რუსეთის და მაშასადამე – ბალტინის ემისარიც იყო, ესეც ხომ ყოველგვარ ეჭვს გარეშეა! დასკვნა თქვენზე იყოს!

ბ-ნო ემზარ! მე ვფიქრობ, დიდ ცოდვასა და დანაშაულს სჩადიხართ ერის წინაშე, როცა ადამიანებს თავგზას უბნევთ – მტერს მოყვარედ ასაღებთ, მოყვარეს – მტრად! სწორედ თქვენ და თქვენ მსგავსთა „დამსახურებაა“, რომ დღევანდელ საქართველოში ჭირს მათი გარჩევა და ხალხი დაბნეულია. თუმცა მგლის თავზე სახარების კითხვა გამოდის, რადგან დარწმუნებული ვარ – თქვენი წერილისა და შემკვეთების მიზანი სწორედ ესაა: აღრიოთ მტყუან-მართალი, დააბნიოთ ადამიანები და დაფაროთ კვალი; თქვენ ბედავთ ერის თქვენ მიერვე აღიარებული უმრავლესობის „დატუქსვასა“ და მათთვის „ჭკუის სწავლებას“! კი, მაგრამ რა დამსახურება მიგიძღვით ასეთი ერის წინაშე? რითაა ის თქვენგან დავალებული? ამას ხომ დამსახურება სჭირდება! თუ გიფიქრიათ ამაზე?

რაც შეეხება თქვენს მიერ წერილში მოყვანილ ფაქტს: „აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ვ. კობახიას ადგილზე ვ. არძინბას დანიშვნით გამსახურდიამ ბ. ადლეიბას „პირი უშალა“, რის გამო ადლეიბა მოსკოვში ინფარქტით გარდაიცვალაო“, ლამის „გული ამიჩუყდა“ ადლეიბას გამო, მაგრამ შემდეგ გამიჩნდა კითხვა: რატომ გგონიათ, რომ ადლეიბა არძინბაზე „უკეთესი“ იქნებოდა? ლიხნის გახმაურებული ყრილობის მთავარი ორგანიზატორ-ორატორი ადლეიბა არ იყო? გარდა ამისა, არძინბას ნაცვლად ადლეიბა რომ დაენიშნა, მაშინ გამსახურდიას (თუ მას ეს ხელეწიფებოდა), დარწმუნებული ვარ, ზემოთმოყვანილ თქვენ ბრალდებაში მოხდებოდა მხოლოდ „არძინბა-ადლეიბას“ გვარების გადაადგილება, ბრალდება კი დარჩებოდა; თქვენთვის ხომ მთავარია გამსახურდიაზე „აუგის თქმა“ და არა აქვს მნიშვნელობა, რომელი სეპარატისტის გვარი ეწერება პირველ და რომლისა – მეორე ადგილზე, ან რომელი იქნება მიწაში და რომელი დაიარება საშზეოზე!

სიმართლე გითხრათ – არც ჩემთვის აქვს ამას არავითარი მნიშვნელობა! ისე, რომ ამ ერთადერთ და კონკრეტულ საკითხში ჩვენი შეხედულებები ერთმანეთს ემთხვევა!

გარდაცვლილი პრეზიდენტისათვის ჩირქის



მოსაცხებად ყველა ხერხს ხმარობთ. გამოთქვამთ ვარაუდებს და საბუთადაც კი სხვათა ვარაუდები და ფანტაზიები მოგყავთ, ვთქვათ ასეთი: „რაზმაძემ განაცხადა, რაკი გამსახურდიამ „გკჩპ“-ს მოქმედების გამო პროტესტი არ განაცხადა, ალბათ, მხარს უჭერდა მათ“ (?!). „რკინის ლოგიკაა“ პირდაპირ!

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ გამსახურდიას „ევაჟკაცა“ და პროტესტი გაეგზავნა „გკჩპ“-სთვის მოსკოვში. მათ კი გაემარჯვათ! რა თქმა უნდა, გამოგზავნიდა მოირიშე-მედესანტეთა ჯგუფებს თბილისში, რომლებიც დაღეწავდნენ, დახოცავდნენ, დააპატიმრებდნენ ახალგაზრდებს. თქვენ და თქვენნაირები, ცხადია, ვაი-უშველებელს ასეთ შემთხვევაშიც ატეხავდით: ეს რა გააკეთა, როგორ გაუბედა ვეება რუსეთს პროტესტი და რქენა, რატომ დაღუპა ამდენი ახალგაზრდობაო! ამაზე იტყვიან სწორედ: „სხვა სხვის ომში ბრძენიაო“.

ასე რომ, თქვენ ნებისმიერ სიტუაციაში გალანძღავდით გამსახურდიას, რადგან ის დამარცხებულია. თქვენ კი, როგორც ჩანს – ყოველთვის გამარჯვებულის მხარეს დგებით! (თქვენც მოგეხსენებათ – ეს კაცოათვის სამარცხვინოდ და ტურებისთვის დამახასიათებელ ჩვევად ითვლება!).

ბოლოს, „ზომიერების“ გრძნობა მაინც თავს გახსენებთ: ამდენი სიცრუისა და ცილისწამების თავზე აღებას ველარ ბედავთ და დამხმარედ სხვათა გამონათქვამები მოგყავთ: „ბატონ რაზმაძის ინტერვიუში ნათქვამია...“ წერთ თქვენ და მოგყავთ მისი სიტყვები, რომ „გამსახურდიამ გვარდია გააუქმა, რამაც გამოიწვია პრეზიდენტისადმი მისი ნაწილის დაუმორჩილებლობაო“; რომ „გამსახურდია, პრაქტიკულად – დაადგა სხვაგვარად მოაზროვნეთა და ოპოზიციონერთა მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორების გზას... ორგანიზებას უკეთებდა მშვიდობიან მომიტინგეთა დაშლას ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებითო“...

რამდენი სიტყვაცაა ამ რაზმაძისეულ სიტყვებში და თქვენ მიერ დიდის ამბით დამოწმებულ ციტატებში, იმდენი სიცრუეა! ხოლო იმის დასამტკიცებლად, რომ ეს ასეა და რომ გამსახურდიამ გვარდია კი არ „გააუქმა“, არამედ მხოლოდ სტატუსი შეუცვალა მას, მთლიანად მომყავს პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას ის ბრძანება, რათა თქვენი თვალით შეხედოთ, თუ სადაა სიმართლე:

### საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება

*საქართველოს რესპუბლიკის შ.ს.ს-ს შინაგანი ჯარების-ეროვნული გვარდიის რეორგანიზაციის შესახებ*

*1. საქ. რესპ. შ.ს.ს-ის შინაგან ჯარებს-ეროვნულ გვარდიას მიეცეს განსაკუთრებული დანიშნულების მილიციის ქვეგანაყოფის სტატუსი.*

*2. გაუქმდეს თავდაცვის სამთავრობო კომისია*

*3. გაუქმდეს შინაგანი ჯარების-ეროვნული გვარდიის სარდლის თანამდებობა.*

*4. საქ. რესპ. შ.ს.ს-ს განსაკუთრებული დანიშნულების მილიციის ქვეგანაყოფის ხელმძღვანელობა დაევალოს შ.ს. მინისტრის მოადგილეს.*

*5. შ.ს.ს-ს განსაკუთრებული დანიშნულების მილიციის ქვეგანაყოფის ძირითად ამოცანად განისაზღვროს:*

*– ორგანიზებულ და განსაკუთრებით საშიშ დანაშაულებებთან ბრძოლა.*

*– საზოგადოებრივი წესრიგის მასობრივი დარღვევების, მასობრივი არეულობების აღკვეთა.*

*– მასობრივი (სპორტული, სანახაობრივი და სხვა) ღონისძიებების დროს საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა.*

*–თავისუფლების აღკვეთის ადგილების დაცვა.*

*– საპატრულო სამსახურის შესრულება.*

*6. შინაგანმა ჯარებმა ისარგებლონ მხოლოდ შ.ს.ს-ს ტაბელური იარაღით.*

*თბილისი. 1991 წლის 19 აგვისტო*

*საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია*

ბრძანებიდან ჩანს: გვარდია არავის გაუუქმებია; მას მხოლოდ სტატუსი შეუცვალა პრეზიდენტმა და ამით მოსკოველ „გკჩპ“-ს მიერ გვარდიისათვის მოქნეული მახვილი, ხატოვნად რომ ვთქვათ, „ჰაერში შეაჩერა“.

ხოლო პრეზიდენტისადმი კიტოვანისა და მისი გარემოცვის დაპირისპირება გამოიწვია ბრძანების მე-3 პუნქტმა: ძალაუფლებასა და გუნდრუკისკმევას მიჩვეულ კიტოვანს გაუჭირდა მათი დათმობა და სწორედ ეს გახდა განხეთქილების მიზეზი! სამწუხაროდ, კიტოვანს არ ეყო სახელმწიფოებრივი აზროვნება და საღი გონი იმის განსასაზღვრავად, თუ რა გამოუსწორებელ შედეგებთან მიგვიყვანდა ძალაუფლებაზე მისი ასეთი დახარბება და მოხდა ის, რაც მოხდა და რის „ნაყოფს“ იმკის მთელი საქართველო დღეს!

აი, ესაა სიმართლე და არა ის, რომ თითქოს „დაპირისპირების მიზეზი გამსახურდიას მიერ გვარდიის გაუქმება“ ყოფილიყოს, როგორც ამას ზოგიერთი ქოსატყუილა ამტკიცებს; როგორ გამოიწვევდა დაპირისპირებას ის, რაც ბუნებაში არ მომხდარა!

ასევე უსუსურია თქვენს მიერ თ. კიტოვანის „ბრძნულ“ გამონათქვამთა დამოწმება; პიროვნებისა, რომლის ავტორიტეტი, ინტელექტუალური შესაძლებლობები და საერთო რეიტინგი დღეისათვის თითქმის ნულის ტოლია. მას სერიოზულ მოკავშირედ ისინიც კი აღარ თვლიან, ვისთან ერთად ალიანსშიც დაამარცხა გამსახურდია (და ფაქტიურად მთელი საქართველო!); მათ ის ელემენტარულად გამოიყენეს და ანგარიშს აღარ უწევენ, ვინაიდან იგი უკიდურესად ამბიციური, უნებისყოფო, მერყევ ადამიანად მიაჩნიათ.

თქვენ კი ასეთი პირის გამონათქვამები უდავო ჭეშმარიტებად მოგყავთ, რაც ნათელს ჰფენს თქვენს ნამდვილ და დაფარულ მიზანს: სახელი გაუტეხოთ გამსახურდიას და მისი სახით – მთლიანად ეროვნულ მოძრაობას! (სამწუხაროა, რომ ისინი, ვინც ეროვნულობაზე თავს დებენ, ამ საშიშროებას ვერ ხედავენ, ან თვალს ხუჭავენ იმ იმედით, რომ „ეს მათ არ შეეხება“, რაც დიდი შეცდომა და თავის მოტყუებაა) და საკადრის პასუხს არ გცემენ თქვენივე მეთოდით!

ნუთუ ასე ძნელი გასაგებია, რომ ეროვნული ლიდერების ზღვარდაუდებელი ლანძღვა მთლიანად ეროვნული მოძრაობის დისკრედიტაციასა და მის წინააღმდეგ ფარულ გალაშქრებას ნიშნავს? სწორედ ამას ემსახურება თქვენი წერილიც გაზეთ „ლ.ს.“-ში!

თქვენ ფაქტიურად ამტკიცებთ, რომ მოღალატეა პიროვნება, რომელიც ქვეყნის მოსახლეობის 87%-მა აირჩია და რომელიც მათ ნებას ახორციელებდა, ხოლო ის დარჩენილი 13%, რომელმაც ის იარაღის ძალით ქვეყნიდან გააძევა... უდანაშაულონი არიან (?!). კი, მაგრამ როგორ დავიჯეროთ, რომ „ლოგიკის“ შესახებ საერთოდ არაფერი გსმენიათ? თვითონ აღიარეთ – არის ლოგიკის ნასახი მაინც თქვენს მტკიცებაში?

კიდევ ერთი, თქვენს მიერ მოყვანილი ციტატა კიტოვანის „ბრძნული“ გამონათქვამებიდან, სადაც ნათლად იკვეთება კიტოვანის „ინტელექტუალობაც“ და თქვენი „ობიექტურობაც“: „ზვიად გამსახურდია ყველაფერზე (იგულისხმება – „ყველაფერში“) ემორჩილებოდა მოსკოვს და შეიძლება (აქ გამოტოვებულია სიტყვა – „ითქვას“), რომ მათზე მუშაობდა“. შემდეგ, კიტოვანის ამ „ბრწყინვალე“ ქართულს მოსდევს თქვენი არანაკლებ „ბრწყინვალე“ კომენტარი: „თენგიზ კიტოვანი ამით ხსნის (ეს „უბადლო“ ანალიტიკოსი?!), რომ იგი (გულისხმობთ გამსახურდიას) უმალ დაემორჩილა იაზოვ-ქურავლიოვის ბრძანებებს, რის შედეგად 12000 გვარდიელს განადგურების საფრთხე დაემუქრა“ (?!!).

ჯერ ერთი – თუკი გამსახურდია „დაემორჩილა მოსკოვის ბრძანებას“, როგორც თქვენ ამტკიცებთ – და გვარდია გააუქმა, მაშინ გაუგებარია, რატომღა უნდა დამუქრებოდა განადგურების საფრთხე 12000-იან გვარდიას, რომელიც აღარ არსებობდა! უფრო პირიქით უნდა მომხდარიყო – განადგურების საფრთხე უნდა მოხსნილიყო (გამსახურდიას ბრძანება გვარდიის რეორგანიზაციის შესახებ სწორედ ამას ისახავდა მიზნად და ეს მიღწეული იქნა – გვარდიის დაშლისა და განადგურების საფრთხე იმ ბრძანების გამოცემით მოისპო!).

და მეორეც – იმ მომენტში თქვენი „შემკვეთები რა არ დაემორჩილებოდნენ პუტჩისტების ბრძანებას? თუ ასეა, მაშ რატომ იყო, რომ აფხაზეთში ომის დროს ერთი და იგივე პუნქტის ან სიმაღლის აღება ჩვენს მებრძოლებს ორჯერ, ზოგჯერ კი სამჯერაც უწევდათ? ეს იყო იმიტომ, რომ მთავარსარდალი შევარდნაძე სწორედ რომ მოსკოვის ბრძანებას „ვერ უვლიდა გვერდს“ და ბრძოლით დაკავებულ პოზიციებს... მისი ბრძანებით, უბრძოლველად უკანვე აბარებდნენ (?!). არ ჩააბარებდნენ და მოსკოვი (რუცკოი თუ რუდსკოი) თურმე „თბილისის დაბომბვით იმუქრებოდა!“ ეს ხომ ჩემი მოგონილი არაა – ეს ღიად, ერთ-ერთ სატელევიზიო გამოსვლაში აღიარა თვითონ ე. შევარდნაძემ! თქვენი „ლოგიკით“, რა თქმა უნდა, მოსკოვის მუქარისათვის ანგარიშის გაწევა ბატონ შევარდნაძეს ეპატიება, ხოლო გამსახურდიას – არ ეპატიება (?!). იქნებ აგვიხსნათ – „სადოური ლოგიკაა“ ეს?

აი, ასეთ ე.წ. „ლოგიკაზე“ გაქვთ აგებული მთლიანად თქვენი წერილი და იმდენად დიდია თქვენში სიძულვილისა და თავის მართლების სურვილი (თავის მართლება კი დამნაშავეებს ახასიათებთ!), რომ გაკარგვინებთ ყოველგვარ ლოგიკასა და საღი მსჯელობის უნარს. ამიტომაა სიძულვილი ცუდი მეგზური. ყველაფერს აჯობებს მოეშვათ თავის მართლებასა და სხვების ლანძღვას! ეს გაცილებით მომგებიანი პოზიციაა თქვენთვის და თქვენი მსგავსებისთვის!

თქვენ განაგრძობთ და საბუთად ისევ კიტოვანის „უაპელაციო“ დასკვნა მოგყავთ, სადაც იგი მოკვეთით აცხადებს: „შევარდნაძე გამსახურდიასთან მართალია“ (?!). ჯერ ერთი – ეს რომ ასედაც იყოს, იქნებ ეცლიათ, გამსახურდიას თავისი „სიმრუდე“ მოუღებდა ბოლოს! რა საჭირო იყო იარაღით მისი განდევნა? აი, აქაა დაშვებული დიდი შეცდომა, რომლის აღიარება თქვენ არ გსურთ და მის შესანიღბად იწყებთ სხვების განქიქებას და დადანაშაულებას.

და მეორე – მტყუან-მართალის განსჯა ასე მარტივი არაა: ასეთ ჩახლართულ საქმეებზე ასე მარტივად, ორი სიტყვით ან გენიოსები საუბრობენ ან ... დასკვნა მკითხველებმა გააკეთონ!

როგორც ჩანს, „შეიარაღებაზე გაქვთ აღებული“ გავრცელებული მოსაზრება, რომ „რაც უფრო დიდია ტყუილი, მით ადვილად იჯერებენ მას“ და მერამდენედ ცდილობთ გამსახურდიას შესახებ აშკარად შეთითხნილი სიცრუე სიმართლედ გაასაღოთ: „საქართველოს კუთხეებად დაშლის მზაკვრული კონცეფცია გროზნოში გაქცეულებს საგულდაგულოდ ჰქონდათ დამუშავებული და მის განსახორციელებლად შესაფერ მომენტს ელოდნენო“ – წერთ.

ჯერ ერთი – ამას დამტკიცება უნდა; მეორეც – თუ საქართველოს კუთხეებად და გუბერნიებად დაშლა დამღუპველია, მაშ რატომ ხართ გაჩუმებული, როცა დღევანდელ ხელისუფალთ მისი განხორციელება თითქმის დამთავრებული აქვთ (მაშ, ვინ არიან დღევანდელი ჩვენი გუბერნატორები, თუ არა გუბერნიების მმართველები?). კიდევ ერთს გთხოვთ მიპასუხოთ: რატომ არ ეპატიებოდა ეს გამსახურდიას და რატომ ეპატიება შევარდნაძეს? „სადოური“ ლოგიკითაა ეს გამართლებული, ბატონო ემზარ? ხომ არ ჰგავს ეს „სეთურის“ ლოგიკას?

აი, ამიტომაა ცუდი მრჩეველი სიძულვილი, რომელიც თქვენ ძვალ-რბილში გაგჯდომიათ. თქვენი წერილი ერთობ ტენდენციურია და მას ელემენტარული რამ – ზრდილობაც კი აკლია. ამაზე მეტყველებს იმ ეპითეტების სიუხვე, თქვენ რომ „მარგალიტებივით“ აბნევთ გარდაცვლილი პრეზიდენტის მისამართით (ჩამოთვლას არ დავიწყებ).

მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ამით პირველ რიგში, საკუთარ თავს ვნებთ. ამიტომ, კარგი იქნება, თუ მოეშვებით თავის მართლების მიზნით საკუთარი შეცდომებისა და ცოდვების სხვებზე გადაბრალებას. ამით გაცილებით მოგებული დარჩებით თქვენც და თქვენი „დამკვეთებიც“, რომლებიც, გამოყავხართ რა თქვენ „წინა ხაზზე“, თვითონ ჩირგვებში, ჩრდილში დარჩენას ამჯობინებენ!

ნუგზარ თავაძე

როგორ ვცხოვრობთ?

# ყველა ჩაუფიქრდეს თავის თავს: ცხოველები ვართ თუ ადამიანები!

სოციალურმა გაჭირვებამ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, ბაზარს მიაჯაჭვა. ქალს – ქალის სახე დააკარგვინა და კაცს – კაცის. მამაკაცების ერთმა ნაწილმა, ვისაც საბედნიეროდ მანქანა შემორჩა, ტაქსაობას მიჰყო ხელი...

მივდივარ ტაქსების გაჩერებაზე, ვცდილობ ავირჩიო მძღოლი. თვალებში მხვდება მათი მომლოდინე, დაძაბული გამოხედვა. აქეთ-იქიდან მეპატიჟებიან. დაბრძანდით ქალბატონო, გნებავთ ტაქსი? მიმსახურეთ და ა.შ. როგორ გინდა ჩაჯდე მანქანაში და გახარებულ მძღოლს აუწყო, სადმე წაყვანა კი არა ინტერვიუს აღება მინდაო.

როგორც იქნა, ჩავჯექი მანქანაში. მძღოლმა მოლოდინით შემომხედა – გამარჯობათ, ვეუბნები. გაგიმარჯოთ – მპასუხობს.

*– მე ჟურნალისტი ვარ, გაზეთ „საქართველოდან", ლია გიგიტაშვილი.*

– ვიცი ეგ გაზეთი (მაწყვეტინებს).

– თუ წინააღმდეგი არ იქნებით, ინტერვიუს ავიღებ თქვენგან!

– დუმილი...

*უკან არ ვიხევ და ვიწყებ უადგილო შეკითხვით, თითქმის წინასწარ ვიცი მისი პასუხი, ვიცი, რომ ასეთი კითხვა ყველა გაჭირვებულ კაცს აალაპარაკებს. მუშაობთ თუ არა სადმე? სამწუხაროდ, მისი პირველი რეაქცია, აგრესიაა ჩემს მიმართ.*

– სად არის სამუშაო რომ ვიმუშაო, ამიხსენი, გამეცი პასუხი, წავალ და ვიმუშავებ, თუ მამუშავებს ვინმე!

*– გიცდიათ კი სამუშაოს ძებნა? (ცეცხლზე ნავთს ვასხამ).*

– არა, არ მიცდია!

*– თუ არ გსურთ ინტერვიუს მოცემა მითხარით და ჩავალ მანქანიდან. ნუთუ საწყენს გეკითხებით რამეს? არ შეგიძლიათ უბრალოდ ადამიანურად დავილაპარაკოთ? მოდით, ირონია უკეთესი დროისთვის შემოვინახოთ.*

– კარგი ჩემო დაიკო, დავილაპარაკოთ, მაგრამ ვიცი, ამ ქვეყანას ვერაფერი ვერ გამოასწორებს.

*– მაშ, ჩავიქნიოთ ხელი და დინებას მივყვეთ? მოდით ისევ დავუბრუნდეთ კითხვას. გიცდიათ თუ არა სამუშაოს შოვნა?*

– ყველგან, გარდა იმ ადგილებისა, საცა ფულია გადასახდელი.

*– ტაქსაობით ინახავთ ოჯახს?*

– ჰო, აი, ეს დანგრეული მანქანა მყავს. მოვა ჩემნაირი გაჭირვებული კლიენტი. მივიყვან ადგილზე, ჩავასხავ ბენზინს, ვდგევარ მეორე კლიენტის მოლოდინში. თუ დავიჭირე, ამაქვს პური სახლში, თუ არა და ვარ ასე, თუ მესამე კლიენტიც დავიჭირე, ჩათვალე რომ იმ



დღისით მაძღარი ვარ.

*– ძირითადად რა მარშრუტით დადიხართ?*

– ვარკეთილი, ვაზისუბანი.

*– ქალაქის კლიენტი არა გყავთ?*

– იმდენი მილიცია და ინსპექტორი დგას ყოველ გზაჯვარედინზე, ფიქრადაც არა ღირს. რაც იმათ უნდა გადავუხადო, სჯობს საერთოდ არ წავიყვანო.

*– ლიცენზია თუ გაქვთ ტაქსაობის?*

– არა!

*– რატომ?*

– ძვირი ჯდება. თავიდან ვიხდიდი რვა ლარს კვარტალში. მოდიოდნენ ბირჟაზე და აქეთ გვთხოვდნენ გადაგვეხადა. ნელ-ნელა თანხა გაზარდეს, გახადეს კვარტალში 16 ლარი, რასაც კიდევ ვიხდიდი, უფრო სწორად შემეძლო გადახდა თავისუფლად. ახლა გახადეს 25 ლარი თვიური, მაგის გარდა კიდევ ყოველდღიური პუწიოვკები უნდა შეიძინო, რომელიც თითო ღირს 30 თეთრი. უნდა ყოველ დღე მიხვიდე ექიმთან დაარტყმევინო მაგ ქვითარზე ბეჭედი, რომ ჯანმრთელი ხარ,. წესით უნდა გადაუხადო ამ ექიმს 65 თეთრი, მაგრამ ლარს იღებენ.

*– ყოველდღე უნდა ცნობა, რომ ჯანმრთელი ხარ (ყურს არ ვუჯერებ)?*

– კი ასეა. დაიანგარიშე, რამდენი გამოდის? მაგდენი შემოსავალი არცა აქვს ტაქსისტს. მაფიის ბუდეა ეს საგადასახადო, რაღას აღარ იგონებენ, რომ ჩემნაირ გაჭირვებულ კაცს წიხლი დააჭირონ. მაგის გარდა ხუთი ლიტრა ბენზინი გინდა, რომ ჩაასხა. მანქანას აქვს თავისი ხარჯი. ზეთი უნდა, პაკრიშკები ცვდება, ამ დანგრეულ მანქანას კიდევ ეს გზები უნდა?

*– მერე?*

– რაა მერე, მაგის მერე კიდევ როგორ შევძლო გადასახადის გადახდა. კაცს იძულებულს ხდიან, მოიპაროს ან იყაჩაღოს, ერთხელაც იქნება თავზე ხელს ავიღებ და ...

*– ვაწყვეტინებ. ოჯახი არ გყავთ?*

– კი, ორი შვილი, ეგ მაკავებს. სკოლაში დადიან. წელს დადიან, თორემ მომავალ წელს ვნახოთ, ივლიან თუ არა. შევძლებთ კიდევ გადახდას, ბავშვებს წიგნები არა აქვთ, რაზე შეიძლება კიდევ ლაპარაკი.

*– თქვენი მეუღლე თუ მუშაობს?*

– სად არის სამუშაო, თორემ უმაღლესი აქვს დამთავრებული. სულ იმას მეჩიჩინება ჩემი მეუღლე, საზღვარგარეთ წავიდეთ, ასე ცხოვრება, აღარ შემიძლიაო. თუ სიკვდილი მიწერია, აგერ მოვკვდე, რადა სხვაგან წავიდე.

*– არ გიცდიათ ბიზნესის სფეროში საქმიანობა?*

– მიცდია, მაგრამ თუ ვინმე არა გყავს ზევით (გაშავებულ თითს იშვერს მაღლა, ეტყობა ხშირად უხდება, მანქანის ქვეშ ძრომა), არაფერი არ გამოგივა. პირიქით პროცენტიან ვალებში ჩავვარდი, სახლი გავყიდე და ქირით ვცხოვრობ. ჩემი სახლი სოხუმელმა კაცმა იყიდა. დაუძახე იმას ლტოლვილი და მე მკვიდრი (დიდი ბოდიში ლტოლვილ ხალხს, ღმერთმა ქნას, ისინი დაუბრუნდნენ თავიანთ კერას. მე პირადად, ვფიქრობ, რომ დღეს საქართველოში ყველაზე დაუცველი და გაჭირვებული ადამიანები სწორედ ლტოლვილები არიან, მათ უჭირთ როგორც სოციალურად, ისე ფსიქოლოგიურად, მაგრამ ინტერვიუში მოსაუბრის სტილიც კი შეუცვლელად დავტოვე!).

*– მოდით თავი დავანებოთ ამ მძიმე საუბარს და რაიმე კურიოზი გაიხსენეთ თქვენი ცხოვრებიდან.*

– რა კურიოზი უნდა მოგიყვეთ, როცა თვითონ კურიოზი ვარ.

*– რატომ ამბობთ ამას?*

– შემომხედეთ და მიხვდებით.

*– მაინც, დამიკონკრეტეთ.*

– მაინც რაა, ერთი შარვალი მაქვს, სახლშიც ეს მაცვია და კარშიც.

*– მერე?*

– რაა მერე?! როდემდე უნდა მეცვას ეს შარვალი? ჩავიხედავ სარკეში და მეცინება, ჩემო დაო, არ გაგეცინება ჩემი შემხედვარე? ქორწილის დროინდელი კოსტუმი მაცვია, გინდა გცმია და გინდა არა, ისე გათხელდა, როგორც მისი პატრონი.

*–წვერზე რას იტყვით?*

– როცა მოხდება სასწაული და ცხოვრება გამოსწორდება, ერთ დღესაც ვეღარ მნახავთ წვერებში, ისე კლიენტს ცოტა მიფრთხობს ხომ იცი...

*– როგორ, წვერებით პროტესტის გამოხატვა გსურთ?*

– როგორც გინდათ, ისე მიიჩნიეთ .

*– მოდით პოლიტიკაზე ვისაუბროთ.*

– პოლიტიკაში არ ვერევი.

*– კარგი, მაშინ ამაზე მიპასუხეთ, თქვენ რომ პრეზიდენტი იყოთ, რას მოიმოქმედებდით პირველ რიგში?*

– ალბათ, პირველ რიგში ქარხნებს ავამუშავებდი, ხალხს მივცემდი სამუშაოს, სოფელს გავაძლიერებდი. საქართველოში არ შემოვიტანდი უცხოურ საქონელს, არავითარ პროდუქტს.

*– კიდევ!*

– სხვა რაღა გინდა, ცოტაა?!

*– ადრე თუ მუშაობდით სადმე?*

– მშენებლობაზე ვმუშაობდი. მყოფნიდა ის შემოსავალი, მყოფნიდა კი არა. არ ვიცოდი, რაში დამეხარჯა, კარგსა ვსვამდი, კარგსა ვჭამდი, ძმაკაცებიც ბევრი მყავდა, მეგობარიც ბევრი მყავდა.

*– მყავდა იძახით. აღარ გყავთ?*

– კაი ხანია, აღარ ვარ მათთან. როცა შემხვდებიან თვალს ვარიდებ, რაღაცნაირად მრცხვენია, ასე გაჭირვებული, რომ ვარ. შეიძლება ისინიც ჩემს დღეში არიან, მაგრამ ერთი კი ნაღდია, გაჭირვებული კაცი არავის არ უნდა. არც ძმაკაცს, არც მეზობელს, არც ნათესავს... ახლა მე დაგისვამთ შეკითხვას, თუ შეიძლება.

*– კი, ბატონო, გისმენთ.*

– დონ კიხოტი წაგიკითხავთ?

*– კი.*

– ეგრეა თქვენი საქმეც. ქარის წისქვილებს ებრძვით.

*– ესე იგი. თქვენ მიგაჩნიათ, რომ ცხოვრება არ გამოსწორდება?*

– თუ არ გამოსწორდება, ტყვიას ვიკრავ შუბლში.

*– აბა, რა შუაშია ქარის წისქვილებთან ბრძოლა?*

– ჩემგან რატომ იღებთ ინტერვიუს, რა პროფესორი მე ვარ?

*– ჩემთვის ერთნაირი ფასი აქვს ინტერვიუს პროფესორთან, ტაქსისტთან, გამყიდველთან, მათხოვართან ყველა ადამიანი ერთნაირად ღირსეულია ჩემთვის.*

– დიდი მადლობა ამ სიტყვებისთვის, მაგრამ ჩემი დარდი თუ გაჭირვება, არა მგონია ვინმეს აინტერესებდეს.

*– ძალიან ცდებით. თქვენ მთლიანად ჩვენს საზოგადოებას ასახავთ. თქვენ სიმართლეს ლაპარაკობთ, ამიტომ დიდად მადლობელი ვარ. არ გინდათ ჩვენი გაზეთის საშუალებით მიმართოთ ქართულ საზოგადოებას?*

– სადღაა საზოგადოება. თავად განსაჯეთ, რომ გამოიარეთ, ლამის იყო, მანქანაში ძალით ჩაგსვეს. ერთი კლიენტის დაჭერისათვის ერთმანეთს ვჭამთ, ერთმანეთის პატივისცემა აღარ გვაქვს. არც გაგვემტყუნება, თუ კლიენტი არ დავიჭირეთ, მთელი ღამის გათენება გვიწევს, თქვენნაირი ჟურნალისტები კი დაგვცინიან და ღამურა მძღოლებს გვიწოდებენ, რომ დაინტერესდეთ, აქ ყველანაირი პროფესიის ადამიანი ტაქსაობს, ზოგს ორი უმაღლესიც აქვს დამთავრებული, მაგრამ, მაინც ლუკმა-პურს ტაცებენ ერთმანეთს პირიდან, იმიტომ, რომ სახლში მშიერი ცოლ-შვილი ელოდებათ. მაინც შემიძლია ერთი რამის თქმა: ყველა ჩაუფიქრდეს თავის თავს. ცხოველები ვართ თუ ადამიანები?

*P.S დღევანდელ დღეს, ალბათ, ვერც ერთი პროფესორი თუ აკადემიკოსი უკეთესად ვერ დაგვმოძღვრავდა. „ყველა ჩაუფიქრდეს თავის თავს ცხოველები ვართ თუ ადამიანები.*

*აკ. პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი*
ლია გიგიტაშვილი

# დევნილები სიტყვის საქმედ ქცევას ელოდებიან

მაის-ივნისის ცნობილი ტრაგედიიდან წელიწადზე მეტი გავიდა. იავარ-ქმნილი და ლამის პირისაგან მიწისა აღგვილი სოფლების დანახვაზე ვერავინ წარმოიდგენდა, რომ იქ დროის ამ მცირე ინტერვალში ცხოვრება კვლავ განახლდებოდა.

თვითნებურად დაბრუნებული მოსახლეობის რაოდენობა დღითი დღე იზრდება. საკითხავია, როგორ ცხოვრობენ საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად დაბრუნებულები? რა უხარიათ, ან უმეტეს შემთხვევაში, რა სტკივათ ამ აუტანელ ყოფიერებაში?

მწარეა ამათი ცხოვრების სინამდვილე. მდგომარეობა გაუსაძლისი. გადამწვარი სახლების ალაგი პატარა ქოხებმა დაიკავეს. ზოგგან კარვებიც გაუმართავთ. მართალია, უჭირათ, მაგრამ სხვის კარზე ცხოვრებასა და უმწეობას საკუთარ კერაზე დაბრუნება არჩიეს... შეძლებისდაგვარად მოჰყავთ ჭირნახული, აშენებენ პირუტყვს, ამაგრებენ სახლკარს და ყოველდღიურობაც თანდათან ჩვეულ რიტმს უბრუნდება.



რა უხარიათ? მხოლოდ ის, რომ მიუხედავად დიდი გაჭირვებისა, უკანონოდ, მაგრამ მაინც დაბრუნდნენ. ანთყოსივით ვერ მოსწყვიტეს მიწას!

ოტობაია-ორანსატიის საზღვარს ამ რამდენიმე წლის წინ ზვიადისტების მიერ აფეთქებული ხიდი ჰყოფს. მას მწარე ირონიით „ბეწვის ხიდი" ეწოდა. გაღმა რუსი წითელჩაფხუტიანები დგანან, გამოღმა ქართველი პარტიზანები. სოფელ განმუხურს, რომელიც ცხელ წერტილად ითვლება, შინაგანი ჯარები აკონტროლებენ.

სამწუხაროდ, გალის ქვედა ზონის სოფლები მყუდრო თავშესაფარი გახდა კრიმინალური სამყაროს წარმომადგენელთათვის. სამართალდამცავი ძალებისგან თავდაღწეული დამნაშავეები აქ შედარებით მშვიდად გრძნობენ თავს. იმატა რაოდენობამ. დაფიქსირდა აგრეთვე ავტომანქანების გატაცების რამდენიმე ფაქტი. საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ ავტომანქანები გამტაცებლებს გალის ტერიტორიაზე გადაჰყავთ გასაყიდად. როგორც ვხედავთ, კრიმინალები თავისუფლად დათარეშობენ იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ქართველი ძალოვანები ვერ აკონტროლებენ.

საყურადღებოა სწავლა-აღზრდის პრობლემა. ოტობაიის, ფიჩორისა და მიმდებარე სოფლების საშუალო სკოლებმა ზუგდიდში განაგრძეს ფუნქციონირება. ქალაქ გალში სწავლება ქართულ და რუსულ ენებზე მიმდინარეობს. ისწავლება აფხაზური ენაც. მშობლიურსა და მტრის ენებს თანაბრად ითვისებენ ჩვენი პაწიები.

P.S. ამასწინათ აფხაზეთში გამართულ არჩევნებში, სამწუხაროდ, ქართველი მოსახლეობის მცირე ნაწილმა მიიღო მონაწილეობა. რაც შეეხება გალის სოფლებს, იქ არჩევნები არ ჩატარებულა. მოგვიანებით, საქართველოს საპარლამენტო არჩევნების წინა დღეს აფხაზმა ბოევიკებმა ზუგდიდში მიმავალი რამდენიმე ავტობუსი დააკავეს. ისინი მიზნად ისახავდნენ ხელი შეეშალათ დევნილებისათვის არჩევნებში მონაწილეობისათვის. ინციდენტმა უმსხვერპლოდ ჩაიარა. 31 ოქტომბერს კი ლტოლვილების დიდმა ნაწილმა ხმა მისცა მათთვის სასურველ პარტიას. ამ არჩევანის სისწორეს დრო განსაზღვრავს. ერთი კი ცხადია, დევნილები სიტყვის საქმედ ქცევასა და დაბრუნების ნანატრი სურვილის აღსრულებას ელოდებიან.

მარინა ჩიტაია

გაგრძელება. დასაწყისი „საქართველო" №31-42

## 20 ოქტომბერი

ნიკოს წაყვანა ჯერაც არ მაძლევს მოსვენებას. საწყალი კაცი, რამდენი ტანჯვა გამოიარა და ეხლა კიდევ უნდა იტანჯოს. თუ ანანია წაიყვანეს საქართველოში, იქნებ მეც წამიყვანონ. მე ხომ სამი-ოთხი თვით უფრო გვიან დაჭერილი ვარ. ამაში მოულოდნელი არაფერი იქნება. ძალიან არ მინდა ეხლა თრევა, მითუმეტეს ასე სუსტად არასოდეს არ მიგრძვნია თავი, ძვლების ჩონჩხიღა დავრჩი, მაგრამ თუ პროცესი იქნება მართლა და ლაპარაკის ოდნავ საშუალება მაინც დარჩება, მაშინ არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, დეე დავიღუპო, მას მაინც ხომ ვერ ავცდები თუნდ ასეთ პირობებშიდაც კი, მაგრამ სულ სხვაა, როდესაც სიკვდილის წინ შენი გულის ნადები გადმონთხეული იქნება, მ აშინ მორალურად მაინც კმაყოფილი იქნები... მე უუფლებო ვარ, ვინ მკითხავს წაყვანას, ან მოყვანას. როგორც უნდათ ისე მომექცევიან. „ასეთია თურმე რევოლუციის და მუშათა კლასის ნებისყოფა!"... ხა... ხა... ხა... მუშათა კლასი! სანამდის შეიძლება, თურმე, მივიდეს ცინიზმი!..

დღეს მოსულ ტფილისის გაზეთებში საყურადღებოა საქართველოს კომპარტიის ცეკას პლენუმის რეზოლუცია მომხდარი ამბების გამო. და, ღმერთო ჩემო, როგორ დაიმარხა მტერმა ერთხელ კიდევ ისედაც დამარხული თავი! როგორ დაიხია მან და რა საშინელი მორალური დამარცხება განიცადა, პირდაპირ ზღაპრული, პოლიტიკური პარტიისათვის სრული სიკოტრის მომასწავებელი მორალური დამარცხება... ეს რომ საქართველოს პარტია იყოს და არა დამპყრობის უბრალო იარაღი, მას ერთ დღესაც არ შეეძლო ამის შემდეგ ხელისუფლებასთან გაჩერება, ის ერთი დაცხინკვებით გადმოვარდებოდა და ამით გაათავებდა თავის ნაძრახ სიცოცხლეს. მართლაც და რა გამოირკვა, დღესაც ამბობენ, რომ გლეხობა არ იყო მონაწილე ამ ამბებისა, მაგრამ რამდენად, თურმე, მცირე ნაწილი მაინც ღებულობდა მონაწილეობას, იმდენად საჭირო ყოფილა აღმოეჩინათ ნაკლოვანებანი ხელისუფლების მუშაობაში. და ეს ნაკლულოვნებები, მხოლოდ ნაწილი, ავტორთა თქმით, აღმოჩნდა სრული ჯამი ჩვენი ეროვნულ-პოლიტიკურ-ეკონომიკური ცხოვრებისა. მტერმა განაცხადა, რომ „გაუქმებულ უნდა იქნეს მონოპოლია აბრეშუმზე და გლეხს ამიერიდან უფლება უნდა მიეცეს თავის ნაწვავ-ნადაგის ისე მოხმარის, როგორც ეს მას სურს. გაუქმებულ იქნეს მონოპოლია მატყლზე, შეწყვეტილ უნდა იქნეს ეკლესიების დახურვა; მასწავლებლებს, ექიმებს, მილიციას უნდა მიეცეს ჯამაგირი და თავის დროზე; უნდა გამოსწორდეს შეცდომები აგრარული რეფორმისა; უნდა გაუქმდეს შინაური აქციზი გლეხებს შორის ნაწარმოებთა გადაცვლის დროს; უნდა აღდგეს ძველი თემური მმართველობა საქართველოს რესპუბლიკისა; უნდა გადასინჯულ იქნეს გადასახადების რაოდენობა და აეკრძალოს ყველა ცალკე ნარკომატებს თავისი განსაკუთრებული გადასახადების შემოღებისა; გაუქმებული იქნეს იძულებითი დაზღვევა;

**წარსულის ფურცლები**

# 1924 წლის აგვისტოს აჯანყება

## ლეო რუხაძის დღიურებიდან

უნდა მიღებულ იქნეს ზომები სოფელზე შეღავათიან ფასებში საფაბრიკო ნაწარმოებთა მიწოდებისა და ბოლოს უმთავრესი, ძირითადი კითხვა: გადასინჯულ იქნეს დაწესებულებების მოსამსახურეთა სიები და შესწორებული იმ მხრით, რომ დაცული იქნეს საქართველოში მოსახლე ეროვნებათა პროპორცია" – ე.ი. გათანასწორებულ იქნეს ეროვნულ უმცირესობებთან მპყრობელი ქართველი ერი და პროპორციის მიხედვით აღდგენილი იქნეს მათი უფლებები... ეს რეზოლუცია არის პირდაპირ საბრალდებულო ოქმში დამპყრობ რუსეთზე და მის პოლიტიკაზე საქართველოში. თუ გამოვყოფთ ცალკე, ერის სუვერენობის ძირითად კითხვას, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კითხვები არის ის „წვრილმანები", რაც საერთოდ ადგენს ერის ცხოვრებას და მაჯისცემას. ყველა ეს დადგენილებები რომ მართლაც გატარდეს ცხოვრებაში, ის ერთ ძველ მანიფესტზე მეტი იქნება დღევანდელ პირობებში საქართველოსთვის. მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ არსებული ხელისუფლება უძლურია რაიმე ძირითადი შემოტრიალება მოახდინოს, ის ვერ წავა რეფორმებზე, მიუხედავად იმისა, რომ თვითაც გრძნობს საკუთარი პოლიტიკის სრულ სიკოტრეს და მის უნიადაგობას. დათმობებზე წასვლა ნიშნავს ეროვნულ და პოლიტიკურ არტახების შეხსნას, ხოლო ამის ლოგიკური შედეგი იქნება დიქტატურის დამხობა... ამას ვერ იზამს ეხლანდელი რუსეთი, ის ასეთ „ელასტიურ" და თვითმკვლელობის პოლიტიკას ვერ აწარმოებს; მაგრამ არც ჯიუტობა უშველის მას, მისი მომავალი განზომილი და გამორკვეულია. მაგრამ ეს სულ სხვა საკითხია და დღეს კი მე მინდოდა მეთქვა მხოლოდ ის, რომ საქართველოს განახლებული ომი 1924წ. აგვისტო-სექტემბერში, რომელიც რუსეთმა ჯერ არ ნახული სისატიკით დაამარცხა,. არის მიზეზი იმ დიდი „ალსარებისა", რომელიც მოსკოვისაგან განწესებულმა ხელისუფლებამ გამოსცა კომპარტიის პლენუმის რეზოლუციების სახით საქართველოში. ძვირად დაუჯდა ქართველ ხალხს ეს გამარჯვება. მაგრამ ეს გაღებული მსხვერპლი თუ საძირკველია ერთის მხრით მომავალი საქართველოს აღორძინებისა, სამაგიეროდ ესევე მსხვერპლი გახდა მიზეზი იმ დიდი რეფორმებისა, რომელზედაც მტერი იძულებული შეიქნა წასულიყო. ვიმეორებ, ეს არის უდიდესი მორალური დამარცხება მოსკოვისა საქართველოში, ეს არის სიკოტრის, უნიადაგობის და უსუსურობის დუბლიკატი. ხელისუფლება, რომელიც პრეტენზიებს აცხადებს გლეხის და მუშის სულის მესაიდუმლეობაზე, აი ეს ხელისუფლება იძულებული შეიქნა ეთქვა, რომ ქართველი ხალხის 99% მისგან შებორკილი და შეხუთულია და რომ მან ეს სულთამხუთაობა იგრძნო მხოლოდ მაშინ, როცა მეხი გავარდა და ხალხი ტირანიას დაეჯახა. ეს რეზოლუცია გვეუბნება იმას, რომ მოსკოვისაგან განწესებული მთავრობა საქართველოში პაერშია გამოკიდებული, მას ნიადაგზე არ უდგია ფეხი და არც შეიძლება ის მიეკაროს ქართულ ნიადაგს, რადგან ერთი იოტის ოდნავადათ კი არ გამოხატავს ქართველი ხალხის ინტერესებს და ნებისყოფას. ამ რეზოლუციით ერთხელ კიდევ გაითახსირა თავი მოსკოვმა, ის ეხლა ვერავითარ სიყალბით და სიტყვათა კორიანტელით ვერ დაუძვრება ხელიდან ისტორიის მსჯავრს, მის საფლავს მან თვით დაადვა უმძიმესი ლოდი, რომელზედაც რუსეთისვე ხელით აღნიშნულია რუსეთისვე სიკოტრე და სრული გაბახება საქართველოში. ეს არის მისი მორალური სიკვდილი, მისი უკანასკნელი დამარცხების გედის სიმღერა...



## 21 ოქტომბერი:

დღეს მივიღეთ „სუზდალის ისკრა" ჩვენს ციხეში გამოცემული. მოთავსებულია პირველ ადგილზე, სხვათა შორის, ჩვენი დახოცილი ამხანაგების ნეკროლოგები. შიგ არა ზოგი საყურადღებო წერილები ეკონომიური ხასიათისა.

დღეს „პრავდაშია" პარიზიდან დეპეშა როსტასი, ვიღაც ვაჩაბელს განუცხადებია, რომ ვღებულობ რუსეთის ორიენტაციასო. უნდა იყოს ალბათ ვეშაპელი. სხვა მაჩაბელი, ან ვინმე კიდევ ისეთი, რომელიც დამფ.კრ. ნაც. დემოკრ. ფრაქციის წევრი ყოფილიყოს და შემდეგ პარიზის ინტერფრაქციულ ჯგუფში მიეღოს მონაწილეობა, მე არ მახსოვს. ვეშაპელი ამბობს, რომ მიმდინარე წლის მაისში გამოვედი ინტერფრაქციული ორგანიზაციიდან და ეხლანდელი ამბების პასუხისმგებლობა სრულიად თავზე აწევს უცხოეთში მყოფ ემიგრაციასო. თუ მართლა ვეშაპელია ეს, მაშინ აშკარად უნდა ითქვას, რომ მეტად მდაბალი და პირადი სარგებლობის პიროვნება ყოფილა. არასოდეს არ მქონია მე მასზე როგორც მორალურად სპეტაკ კაცზე დიდი წარმდგენა. ეს უსინდისო გამოსვლა ძალიან წააგავს მთელ მის წარსულს. მე მსმენია, რომ ვინმე უბრალო გაჭირვებულმა მოქალაქემ ეს ჩაიდინოს, მაგრამ როცა ამაყობ და ყველაზე დიდ პატრიოტად მოგაქვს თავი, როცა შენი თავი ეროვნულ იდეის მონოპოლისტად მიგაჩნია, მაშინ ასეთი უხამსი და უსინდისო გამოსვლა ფასს უკარგავს არა მარტო მთელ შენ პიროვნებას (დღემდე არ ქონია მის პიროვნებას ფასი), არამედ ბღალავს და ამრუდებს თვით ეროვნულ იდეასაც. და ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც, დღევანდელ ისტორიულ მომენტში საქართველოს ეროვნულ იდეას მიაყენებს რაიმე ჩრდილს და ისიც ამ იდეის სახელით, ასეთი მოღვაწე ყველა მოღალატეზე საზიზღარი და მისაფურთხებელია...

## 24 აგვისტო.

გერმანიის რეიხსტაგი დაითხოვეს. არჩევნები, ალბათ, ამ მოკლე ხანში მოხდება, თვით კომუნისტებიც კი არ მალავენ, რომ ეს არჩევნები მათ ბევრ სადეპუტატო მანდატებს წაართმევს და ალბათ სოციალ-დემოკრატებს შემატებს. გერმანიის ეხლანდელი არჩევნები მოგვცემს უფრო სწორ სურათს ცენტრალური ევროპის სულისკვეთებისა. ექვსი თვის წინეთ შექმნილი სტაბილური მდგომარეობა ალბათ უფრო განმტკიცდება და ევროპა ამ უკანასკნელად სავსებით გადაკა მშვიდობიან პერიოდში და დემოკრატიის დროშით უფრო ენერგიულად შეუდგება ნორმალურ საერთაშორისო ურთიერთობის დამყარებას. ამის მაჩვენებელია ახლო წარსული და ამისვე თავდებია ევროპის მუშათა კლასის გაძლიერება და მისი დემოკრატიულ-პაციფისტური სამოქმედო პროგრამა.

ქართულ გაზეთებში მოთავსებულია მამია ორახელაშვილის სიტყვა განათლების მუშაკთა კონფერენციაზე, სადაც ის ეხება უკანასკნელ ამბებს და სხვათა შორის ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ამ ამბებმა ჩამოაგდო ერთგვარი ეროვნული შუღლი სომხებსა და ქართველებს შორის. მას მოყავს რაღაც ამონაგლეჯი სოც. დემ. პროკლამაციიდან, სადაც თითქო ეწეროს, რომ „სომხები სარგებლობენ ქართველი ერის უბედურებით". რაღაც ისე გამოდის, თითქო ეს პროკლამაცია ახალი უნდა იყოს, ამ პროგრამების და დამარცხების შემდეგ გამოსული. თუ ეს ასეა, მაშინ გარეშე იმისა თუ როგორი შინაარსისაც არ უნდა იყვეს ეს ფურცელი, უნდა მივესალმოთ მას და ვსთქვათ: ვაშა, საქართველოს და მის სოციალ-დემოკრატიას!.. ეს პირდაპირ გმირობა იქნება, ნამდვილი [illegible]რობა... ეს ფერფლიდან აღდგომა და გაცოცხლება იქნება, ეს მორალური გამარჯვება, სიცოცხლის ინსტიქტი და მომავლის საიმედო თავდები იქნება... პო, რომ მართლა ვიცოდე უკანასკნელია თუ არა ეს ფურცელი, ამ პროგრამების და სიცხლის, ცეცხლის და წეროვნის შემდეგ გამოცემული... მაშინ ავმაღლდებოდი, ერთი თავის, მაშინ ვიგრძნობდი იმოდენ ძალას და მორალურ სიმტკიცეს, რომ ეს ახალი სული მთელი წელი მეყოფოდა და მაცოცხლებდა... მე მაინც მინდა დავიჯერო, მინდა ვიწამო, რომ ეს ფურცელი ახალია, რომ ორგანიზაცია ცოცხლობს, რომ გარეშე დამარცხებისა საქართველო მაინც იბრძვის, ის მაინც იბრძოლებს.

მამია სჩივის, რომ ინტელიგენცია და მენშევიზმი აღვივებს ნაციონალურ შუღლს. უმჯობესი არ იქნებოდა, რომ თავის რუსეთისთვის ესაყვედურებია ეს? რა უფლება აქვს ჩვენ შოვინისტები გვიწოდოს რუსეთმა, როცა მისი ხელით კეთდება ყოველგვარი ნაციონალური აღრევის და შუღლის საქმე. ეტყობა კახეთის ამბებში უმთავრესად დარბევებად ყავდათ სომხები და ალბათ ამაზეა ლაპარაკი. და მართლაც რა ცინიკურად და უსირცხოთ სწერდა ლევან ლოლობერიძე თავადაზნაურობაზე და კახეთის „გლეხთა მოძრაობაზე". ყველაფრიდან სჩანდა, რომ ეს „გლეხური აჯანყება" მოაწყო ჩეკამ. აკი ამბობდა კომპარტიის ცეკას მოწოდება: „არ გაუშვათ მაგათი სინსილა, კა მაგათო". მე მესმის სხვებმა მაინც რომ სწერონ ასეთი რამ. მაგრამ რა მორალურ-პოლიტიკური უფლებით სწერენ და ამბობენ ამას ლოლობერიძე, გეგეჭკორი, ელიავა, კახიანი და სხვა? რა უფლება აქვთ ილაპარაკონ მათ თავადაზნაურობაზე, მაშინ როცა ყველა ესენი მართლაც „დვარიანჩიკებია" იმ მნიშვნელობით, რომ ფუქსავატობით ჩვენი ქვეყნის ვერც ერთი წრეს გადასული ქვედა ფენაც კი ვერ შეედრებოდა ამათ. თუ მართლა ასეთი აღელვებაა სომხების წინააღმდეგ, ეს მეტად სამწუხაროა, ეს უდიდესი ისტორიული ლახვარი იქნება ჩვენთვის, რადგან საქართველო-სომხეთისთვის დღეს არ არის სხვა ხსნის გზა გარდა გაერთიანებისა და თანამშრომლობის და მეზობლობა-მეგობრობის პოლიტიკისა. სხვა გზა ორივეს დაგვღუპავს, როცა ჩვენ და სომეხი ერთმანეთს ვჭამთ, მაშინ ორივეს ერთად გვჭამს თათარი და რუსი.

მოსკოვის გაზეთებში მოთავსებულია ს.ს.რ.კ. სესიაზე წარმოთქმული მიხა ცხაკაიას და შალვა ელიავას სიტყვები. ცხაკაიას სხვებსაც ურჩევს ჩვენგან ისწავლეთ ხალხის დაკვლა, ჩვენ კარგათ შევასრულეთ მოვალეობაო. ელიავა აფრთხილებს საკავშირო მთავრობას, რომ ყოველი ხელშეკრულების დროს ევროპის სახელმწიფოებმა გარკვევით უნდა სთქვან, რომ ხელს იღებენ საქართველოს დაცვაზეო...

დღიურები მოგვაწოდა ისტორიკოსმა გრიგოლ ზარქუამ

გაგრძელება იქნება

# გაეროს გენერალურ მდივანს, ბატონ კოფი ანანს! მსოფლიოს სახელმწიფოთა მეთაურებსა და პარლამენტარებს! ყველა კეთილი ნების ადამიანს!

ბატონებო!

კავკასიაში მცხოვრები უძველესი აბორიგენი ხალხი, ჩეჩნები (ვაინახები) ოთხი საუკუნეა ეწევიან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას თავიანთი კანონიერი ეროვნული უფლებების დასაცავად.

1991 წლის 6 სექტემბერს ჩეჩენმა ხალხმა აღადგინა დამოუკიდებლობა იჩქერიის რესპუბლიკის სახით, რის შედეგად რუსეთის იმპერიის მმართველობა პერნამენტულად აწარმოებს აგრესიას და არღვევს მის მიერვე ხელმოწერილი საერთაშორისო შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებებს. დღეს ჩეჩნეთში რუსეთის ჯარი მშვიდობიანი ხალხის გენოციდს ახდენს: იყენებენ საერთაშორისო ნორმებით აკრძალულ ქიმიურ, ბაქტერიოლოგიურ იარაღს. იღუპებიან ბავშვები, ქალები, მოხუცები, საცხოვრებელი კერებიდან იდევნება ასი-ათასობით ადამიანი და, რაც ყველაზე მეტად საგანგაშოა, ლტოლვილებს არ აძლევენ საომარი მოქმედების არედან გაღწევის საშუალებას. მთლიანად კავკასიის რეგიონშიც მსოფლიოსთვის ფეთქებადსაშიში ვითარებაა. საომარი კერის ჩაქრობა კი ჩეჩენი ერის კანონიერი უფლებების აღიარების გარეშე შეუძლებელია, რასაც რუსეთისა და დსთ-ს ცალკეულ სახელმწიფოთა შიდა და გარე პოლიტიკური ინტერესები ხშირ შემთხვევაში არ ითვალისწინებს და უგულვებელჰყოფს.

კაცობრიობის მონაპოვარი, ცივილიზაციის ჰუმანური არსი თავისთავად მეტყველებს შემდეგ ჭეშმარიტებას: თუ რომელიმე ერი განწირულია – აღარ ძალუძს ფიზიკური არსებობის შენარჩუნება და გახანგრძლივება, მაშინ ეს უთუოდ ნიშნავს და გამოიწვევს კიდეც ცალკეული რასებისა და მომავალში მთელი კაცობრიობის მორალურ და სულიერ დაკნინებას, სოციალურ და კულტურულ დეგრადაციას. სწორედ ამას ეფუძნება ჩვენი კომიტეტის სამართლებრივი დამოკიდებულება ზემოთ აღნიშნული აგრესიის მიმართ, რაც გვავალდებულებს დედამიწაზე ადამიანისა და ერების არსებობის საყოველთაო აღიარების ნორმების დაცვას და მათი დარღვევის მხილებას. ამავე დროს მოვუწოდებთ მსოფლიოს საზოგადოებრიობას ხმა აღიმაღლონ რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ და მორალურად მხარში ამოუდგნენ ჩეჩენ ხალხს, თავისუფლებისა და ღირსეული ცხოვრებისათვის მებრძოლ ერს.

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ აუცილებლად უნდა დაიგმოს რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური წრეების ბარბაროსული ქმედებანი და სათანადო ზომები იქნეს მიღებული მშვიდობიანი მოსახლეობის დასაცავად. მათთვის ელემენტარული სასიცოცხლო პირობების შესაქმნელად. სამხედრო აგრესიის ალკვეთა შესაძლებელია ყველა კეთილი ნების ადამიანის შემწეობით, როგორც მშვიდობიანი აქციებით, ასევე დიპლომატიური ზემოქმედების განხორციელებით.

მოვუწოდებთ მსოფლიოს მთავრობებს აღიარონ ჩეჩნეთის დამოუკიდებლობა (დე იურე), რაც იქნება ჩეჩენი ხალხის გადარჩენისა და მსოფლიოში საყოველთაო მშვიდობის გარანტია.

*სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციასთან არსებული ჩეჩენი (ვაინახთა) ერის გენოციდის მამხილებელი კომიტეტის სახელით:*

ზიორბი კერვალიშვილი — საერთაშორისო „ამნისტიის" წევრი;
ნარიმან იაშალაშვილი(კოლხელი) — მწერალი
დავით ბერძენიშვილი — ადვოკატი
სიმონ წერეთელი — ექიმი
მანანა დევიძე — ჟურნალისტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნოდარ ნათაძე:
# რუსეთის გეგმაა ამიერკავკასიაზე შემოტევა

*მე-2 გვერდიდან.*

თვითმკვლელობაზე არ წავა. რაც უნდ ნაწყენი ან დაზარალებული იყოს, იგი სრულმასშტაბიან ბირთვულ ომს არ დაიწყებს. მაგრამ რა მოხდება, თუ რუსეთმა ასეთი ომი დაიწყო ან, უფრო რეალისტურად რომ ვიმსჯელოთ, ასეთ ომზე წასვლის სიმულაცია დაიწყო? დღეს რუსეთი, ყველა მონაცემების მიხედვით, ასეთ სიმულაციას ეწევა სამხედროების, პრემიერ-მინისტრის და მათი ამყოლი პრეზიდენტის პირითა და ხელით. აქ ორი შესაძლებლობაა: დასავლეთი ან იჯერებს ამ სიმულაციას ან არ იჯერებს. თუ არ იჯერებს, ხომ კარგი. თუ იჯერებს, მაშინ იგი 20-30 წლით უკან იხევს ანუ რუსეთის მიერ თავისი 20-30 წლის წინანდელი „ზესახელმწიფო" იმპერიის სტატუსის აღდგენას თანხმდება (რა თქმა უნდა, დროებით). ამით კვლავ იწყება ახალი „ცივი ომი", რომელშიც რუსეთის დამარცხებას რამდენჯერმე ნაკლები დრო დასჭირდება, ვიდრე წინა „ცივ ომში" დასჭირდა. თუ ეს უკანასკნელი პერსპექტივა განხორციელდა, მაშინ იმ 20-30 წლიანი უკანდახევისა და დათმობის ზონაში ამიერკავკასიაც ყვება და ჩვენს ქვეყანას უცხო ბატონობის კიდევ ერთი შედარებით მოკლე ეპოქა ელის (რაც ჩვენთვის, რა თქმა უნდა, ყველაზე დიდი კატასტროფაა). უდიდესი ალბათობაა იმისა, რომ ეს არ მოხდება: დასავლეთის ზეწოლა რუსეთზე არ შენელდება და დღევანდელი კონტრშეტევა კავკასიური ომის სახით, რასაც რუსეთი თავისი კავკასიური პოზიციების შესანარჩუნებლად ეწევა, მხოლოდ ჩრდილო კავკასიის შენარჩუნებისათვის ბრძოლის დონეზე გაჩერდება. მაგრამ ის კი უეჭველია, რომ დღეს ბრძოლა *არის*. არის ჩეჩნეთის ბარშიც და დიპლომატიის ველზეც, ანუ (სხვა სიტყვით რომ ვთქვათ): არის ურთიერთმოპირისპირე ძალთა ჭიდაობა, რომლის შედეგი დიდი ალბათობით განჭვრეტადია, მაგრამ ცნობილი არ არის, რადგან რეალობად ჯერ არ ქცეულა. იგი ჯერ კიდევ *დამოკიდებულია* იმაზე, ვინ როგორ იბრძოლებს და ვინ ვის მხარეზე ჩაერევა ბრძოლაში. დამოკიდებულია იმაზეც, როგორ იმოქმედებენ დიდი „გლობალური" მებრძოლნი, და იმაზეც, როგორ ვიმოქმედებთ მცირენი, „ადგილობრივნი". ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ჭეშმარიტებაა დღეს და მისი მთელი სისრულით გათავისება დღეს, სამწუხაროდ, ყველაზე უფრო ძნელია,

– *თქვენ, როგორც ოპოზიციის ნაწილი, ფიქრობთ, რომ ჩვენი სახელმწიფო ისე არ მოქმედებს, როგორც საჭიროა?*

– ამ პირობებში პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება იმის ცოდნას, ვინ არიან შევარდნაძე და მისი პოლიტიკური გუნდი, რომელნიც დღეს საქართველოს მართავენ. ზედაპირულად ისინი, თითქოს, დასავლურ ხაზს უფრო ემხრობიან (რუსეთისადმი „სტრატეგიული მოკავშირეობის" გაცხადების ფონზე), ვიდრე ჩრდილოურს, რის გამოც დასავლეთი ჩვენს არჩევნებში მათ მხარს უჭერს ქართველი ხალხისა და დემოკრატიის პრინციპების საწინააღმდეგოდ. რეალურად კი ისინი არიან რუსეთის ძველთაძველი მარიონეტები და დღეს გამზადებულნი არიან, საქართველოს ინტერესებს უღალატონ (მაშასადამე – ცივილიზებული და დემოკრატიული დასავლეთის ინტერესებსაც უღალატონ) გადამწყვეტ მომენტში, რადგან ის ვერსია, თითქოს შევარდნაძის მოწინააღმდეგენი დღეს პატიაშვილი ან პანტელეიმონ გიორგაძე იყონ, ისეთი მარტივი ბლეფია, რომელსაც ბავშვი არ დაიჯერებს. ამგვარი შესაძლო ღალატი ორია: პირველი არის რეალური მოქმედება რუსეთის მხარის სასარგებლოდ: მათი ბაზების არგაყვანა საქართველოდან, მათთვის პლაცდარმის მიცემა ჩეჩნეთში საომრად და ა.შ. მეორეა რუსეთის იურიდიული მხარდაჭერა ჩვენი ქვეყნის ინტერესთა საწინააღმდეგოდ, სახელდობრ, იურიდიული კაპიტულაციების განხორციელება რუსეთისათვის კავკასიონის სამხრეთით პოზიციების გასამაგრებლად როგორც დასავლეთის, ისე თვით საქართველოს საზიანოდ. ანუ ესაა იმგვარი დოკუმენტების შექმნა, სადაც შევარდნაძის „ლოგიკა" – რა ვქნათ, წაგებული ვართ რეალობაში და ამიტომ უნდა დავთმოთ იურიდიულადაო, - ფართო გასაქანს პოვებს. მე ვერ მოგთხოვთ, მოვლენათა ასეთი გაგება დაიჯეროთ. მაგრამ ჩემი დაკვირვება და აზრი ესაა და მას, სამწუხაროდ, საკმარისი საფუძველი აქვს.

– *ასეთ მკვეთრ მსჯელობას დასაბუთება უნდა. კერძოდ, თქვენ უნდა თქვათ, რის გაკეთება შეუძლია საქართველოს ხელისუფლებას დღევანდელ პირობებში და რას არ აკეთებს იგი ქვეყნის სასარგებლოდ.*

– მოდით ეს კითხვა ცოტა ფართოდ დავსვათ. ჯერ ვთქვათ, რა შეეძლო მას აქამდე, ერთგული რომ ყოფილიყო, და მერე – რა შეუძლია დღეს. მას შეეძლო, ჯერ ერთი, ოფიციალურად დაეფიქსირებინა, რომ არც ქართულ-აფსუური, არც ქართულ-ოსური „შეიარაღებული კონფლიქტი" არ არსებობს, არსებობს მხოლოდ ქართულ-რუსული კონფლიქტი, რომელშიც რუსეთი შემტევი მხარეა, საქართველო კი თავდამცველი და რომ, ამგვარად, არანაირი ანალოგია ქართულ-აფსუურ ან ქართულ-ოსურ ურთიერთობას რუსულ-ჩეჩნურთან არ აქვს. ამით დღეს საქართველოს საშუალება ექნებოდა მოეგერიებინა რუსეთის პოლიტიკური შემოტევა, „ჩვენ თქვენს სეპარატისტებს არ ვეხმარებით, თქვენც ჩვენს სეპარატისტ მოსახლეობას ნუ მისცემთ საშუალებას, ქალები და ბავშვები თქვენს მიწა-წყალს შემოაფარონო". მეორეც. საქართველოს ხელისუფლებას შეეძლო გაეყვანა რუსეთის ბაზები საქართველოდან და ამით ჩვენი ქვეყნისათვის თავდაცვის საშუალება მოეპოვებინა მასზე სამხედრო თავდასხმის შემთხვევისათვის. მესამეც, მას შეეძლო საქართველოს შეიარაღებული ძალები შეექმნა. მას შეეძლო საქართველო „ესენგეში" არ ჩაეთრია, რითაც რუსეთს საქართველოში პოლიტიკური ჩარევის საბაბი მისცა, და შეეძლო ჩვენს ქვეყანაში რუსეთის „სამშვიდობო" ძალების ჩამოყენებით ჩვენი თავდაცვის უნარი კიდევ უფრო არ გაენადგურებინა. საქართველოს ეკონომიკურსა და ყველა სხვა სახის ნგრევაზე, რაც აგრეთვე უცხოეთიდან იმართება, აქ აღარას ვამბობთ. ახლა მეორე საკითხი: რა შეუძლია საქართველოს ხელისუფლებას დღეს? ჯერ ერთი, შეუძლია ზემოხსენებული ორი პოლიტიკური ნაბიჯის გადადგმა გაეროში ნაგვიანები ჩივილის და რუსეთისადმი ნაგვიანევი ნოტის სახით, თუმცა ახლა ამ ნაბიჯთა ეფექტი ბევრად ნაკლები იქნება. მეორეც, მას შეუძლია გაცხადება: ჩვენ არ ვიცით ვინაა ჩეჩნებში ტერორისტი და ვინ – არა. მოგვეცით თქვენი სასამართლოს განაჩენი ამა თუ იმ პირის მიმართ, მოგვეცით ძებნილთა სურათები, აღწერები ან თითის ანაბეჭდები და ჩვენ დავაპატიმრებთ მათ თუ ჩვენთან შემოაღწევენ. მაგრამ ჩვენ ვერ გავიზიარებთ თქვენს პოზიციას, რომ ყველა ჩეჩენი მამაკაცი ტერორისტია მანამდე, სანამ პირადად მისი დანაშაული დადგინდებოდეს. მიმართეთ ინტერპოლს, მიმართეთ გაეროს, თუ მიგაჩნიათ, რომ ჩვენ ჩვენს საერთაშორისო ვალდებულებებს გავურბით, ჩააყენეთ მესაზღვრეები ჩვენი ქვეყნის საზღვარზე თქვენი მხრიდან, მაგრამ ჩვენ ვერ მოგცემთ უფლებას, ჩვენს მხარეზე იდგეთ". მესამეც, ცალსახად უნდა იყოს გაცხადებული, რომ რუსეთის ბაზების ყოფნას ჩვენს მიწა-წყალზე არანაირი იურიდიული საფუძველი არა აქვს და რომ ისინი დაუყოვნებლივ უნდა იქნან გაყვანილი საქართველოდან, მანამდე კი უნდა შეიზღუდოს მათზე თავისუფალი მიმოსვლა, რათა აღიკვეთოს ჩეჩნეთში მიმდინარე სამხედრო ოპერაციებისათვის ჩვენი ტერიტორიების გამოყენების შესაძლებლობა, რაც ჩვენ მტრის როლში ჩაგვაყენებს არა მხოლოდ ჩეჩნეთისა და ჩეჩნების, არამედ მთელი სამუსლიმანოს მიმართ აქედან გამომდინარე ყველა შედეგებითურთ. მეოთხეც, რუსეთის ზეწოლის პასუხად ხელისუფლება ვალდებულია მიმართოს გაეროს და მის ყველა წევრს განცხადებით, რომ რუსეთის აპირებს განმეორებით აგრესიას ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ და მათ ყველა მისაწვდომი ფორმით დახმარება სთხოვოს. დაბოლოს, მეხუთე და მთავარი: საქართველოს პარლამენტმა და პრეზიდენტმა სრული ურყევობით უნდა დაუდასტურონ მსოფლიოს, რომ არანაირ ვითარებაში და არანაირ პირობებში არ დაირღვევა საქართველოს იურიდიული თავდაცვა ანუ არ შეიქმნება არცერთი ისეთი დოკუმენტი, რომელიც საქართველოს სტატუსურ ან ტერიტორიულ უფლებებს შელახავს. ბუნებრივია, რომ ესენგედან გამოსვლა ამ ნაბიჯების ფრიად ღირსეული შემაგრება იქნება. მე ვიცი ის ერთადერთი არგუმენტი, რომელიც ამგვარი მსჯელობის საწინააღმდეგოდ არსებობს: „რუსეთს ნუ გავაბრაზებთო". ეს არგუმენტიც ბავშვურად გულუბრყვილოა. სახელმწიფოები საერთაშორისო ასპარეზზე „გაბრაზებით" არ მოქმედებენ. ისინი მოქმედებენ ანგარიშით. ანგარიში კი მაშინ წარიმართება ჩვენს სასარგებლოდ, როცა პოლიტიკური წინააღმდეგობის უნარი გვაქვს.

# შიდსი მძვინვარებს

არსებობს პროგნოზი, რომ 2000 წლისათვის საქართველოში შიდსით ინფიცირებულთა რიცხვი საკმაოდ გაიზრდება.

შიდსის ეპიდემია საქართველოში დაწყებულია და მას ასე ადვილად ვეღარ ვუშველით. ინფიცირების ახალი შემთხვევებისაგან თავის დაზღვევა, დაავადების შემთხვევების შემცირება კი მხოლოდ დროული და რადიკალური პროფილაქტიკითაა შესაძლებელი.

შედარებით მოწესრიგებულია სისხლის დონორთა, ორსულთა, ვენდაავადებულთა და ზოგიერთი სხვა კონტიგენტის კვლევა სტაციონარებში. შემაშფოთებელი მდგომარეობაა ნარკომანების, მეძავების, ჰომოსექსუალისტების შიდსზე კვლევის მხრივ, რადგან ბევრი მათგანი თავს არიდებენ ნებაყოფლობით გამოკვლევას. აქტიური გამოვლენა გაძნელებულია, რადგან მათი ზუსტი აღრიცხვა ფაქტობრივად არ ხდება, იმათი რიცხვი კი, ვისაც ანონიმურად იკვლევენ, ძალიან მცირეა.

დაავადების გავრცელების თვალსაზრისით ყოფაცხოვრებაში ეპიდემიოლოგიური მნიშვნელობა აქვს გარკვეული პროფესიებისა და ჩვევების მქონე პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ე.წ. მომეტებული რისკის ჯგუფებს. ესენი არიან მეძავები, ჰომოსექსუალისტები, ვენდაავადებულნი, შემთხვევითი სქესობრივი კავშირების მქონე პირები, ნარკომანები, დონორები. ხანგრძლივი დროით ჩამოსული უცხოელები, საზღვარგარეთის მივლინებიდან დაბრუნებული ჩვენი მოქალაქეები. თავს იმით ვერ დავიმშვიდებთ, რომ ჩვენთან ინფიცირებულთა რიცხვი მცირეა. ამ დაავადების ინკუბაციური პერიოდი საკმაოდ ხანგრძლივია და ხშირად კლინიკური ნიშნები 3-5-7 წლის შემდეგ იჩენს თავს. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის აზრით, შიდსით დაავადების ყოველ ერთ შემთხვევაზე 25-დან 100-მდე ინფიცირებული მოდის.

ტურიზმის განვითარება შიდსის გავრცელების თვალსაზრისით ახალ პრობლემებს შექმნის. ამიტომ საჭიროა შემოწმდეს ყველა უცხოელი. ყველა უწყება და სამსახური კანონით ვალდებულია უზრუნველყოს ჩამოსულ უცხოელთა შემოწმება, თავპირველად შიდსით დაავადებულნი, ხომ სწორედ უცხოელ სტუდენტთა შორის აღმოჩნდნენ. ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მოსკოვი და ლენინგრადი შიდსის გავრცელების ყველაზე მძლავრ კერებად აღიქმება.

ამ მხრივ რისკის განსაკუთრებული ზონაა შავი ზღვისპირეთის კურორტები. 1991 წლის ზაფხულში საქართველოში აღრიცხული იყო მხოლოდ 5 შემთხვევა. თბილისის 3 მცხოვრები იყო „აივ" ინფიცირებული ანუ შიდსის ვირუსის ჯანმრთელი მატარებელი. 1 სოხუმელი და 1 ზუგდიდელი კი უკვე დაავადებულნი იყვნენ შიდსით. ყველა ეს მოქალაქე უკვე გარდაიცვალნენ. შიდსთან ბრძოლისა და პროფილაქტიკის რესპუბლიკური ცენტრის მეთოდური და პროფილაქტიკური მუშაობის ორგანიზაციის თანამშრომელი იუწყებოდა, რომ ისინი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ დაავადნენ და ოთხ შემთხვევაში ვირუსი გავრცელდა სქესობრივი გზით. ბოლო შემთხვევაში კი საზღვარგარეთ მკურნალობის დროს მოხდა სისხლით ინფიცირება.

ამ უბედურებას ვერც ახალმა წამალმა „არმენიკუმმა" უშველა. დროა უფრო მეტად გავფრთხილდეთ, რადგან სიყვარულთან „მაიმუნობა" არ შეიძლება!

ერიდეთ შემთხვევით სქესობრივ კავშირებს – მაიმუნებთან.

ამ სათაურით 1993 წლის „მოსკოვსკიე ვედემოსტში" (87) გამოქვეყნდა ნ. ლეონტიევის ინტერვიუ – შიდსით დაავადებულ ახალგაზრდასთან. მაშინ ამაზე ბევრი იცინოდა, დაუჯერებლად მიიჩნევდნენ. გამოკვლევებმა დაადასტურა სინამდვილეში მომხდარი ფაქტი. შეგახსენებთ, როგორ დაიწყო ეს ყველაფერი:

ეს მოხდა სოხუმის მაიმუნთა ჯიშთასაშენში.

სამხედრო ხამსახურის გავლის დროს მაიმუნებთან ვნებიანი სექსუალური ზაფხულის გატარების შემდეგ რუსული ნაწილის ჯარისკაცები შიდსით დაავადდნენ. ეს ერთი შიდსით დაავადებული ახალგაზრდა ვაჟის ისტორიაა:

სამხედრო სამსახურს სოხუმში გავდიოდი. ნაწილში სომეხი მეგობარი მყავდა. საერთო სექსუალური პრობლემები გვქონდა და ამ საკითხში ერთმანეთს ვეხმარებოდით. ჩემი უბედურების მიზეზი ცნობისმოყვარეობა და მეტისმეტი ფანტაზიები გახდა.

მოკლედ, ერთხელ შევნიშნე, რომ აშოტი შებინდებისას, სადღაც იკარგებოდა და ერთ საათში კმაყოფილი ბრუნდებოდა. დავინტერესდი და ჩუმად გავყევი – მავთულბადეზე მოხერხებულად გადაძვრა და მაი-



მუნების საშენში შეაღწია. ვნებიანად მოეხვია ბანჯგვლიან გორილას და... როცა ამ „საქმიანობას" მორჩა და წავიდა, მავთულბადეზე მეც ვისკუპე და იგივე გავაკეთე. ცოტა მეუხერხულებოდა მისი მოფერება, მაგრამ მერე მივეჩვიე. ის თითქმის იგივეა, როგორც ჩვეულებრივი გოგონა, თბილი, ქალური. ასე დავიწყე ღამ-ღამობით მასთან შეხვედრა. როცა აშოტმა ამის შესახებ შეიტყო, არ გაბრაზებულა, მაგრამ ძალიან მთხოვა, რომ საიდუმლო არავისთვის გამენდო. კონკურენტების გაჩენის ეშინოდა. საიდუმლო ვერ შევინახე. მალე მთელმა ნაწილმა გააბა მაიმუნებთან „რომანი". ნაწილში ერთი „ცისფერი" გვყავდა. მალე მანაც იშოვა მაიმუნებს შორის ღირსეული „პარტნიორი", მაიმუნები ძალიან შეგვეჩვივნენ. ხმამაღალი შეძახილებით გვხვდებოდნენ. ქალის სახელებიც შევარქვით. ყოველი „გოგონა" 15 ჯარისკაცს ეხმარებოდა. ჩვენი „მხედრული რომანიდან" ნახევარი წლის მერე უფროსებმა ყვე-



ლაფერი შეიტყვეს. ვიღაცამ დაგვასმინა. სიმართლე გითხრათ, მაინცდამაინც არც შეგვშინებია, რადგან ასეთი დანაშაულისთვის სისხლის სამართლის კოდექსში მუხლი არ არსებობდა. მაგრამ უარესი გვემუქრებოდა თურმე... მეორე დღესვე მთელ ნაწილს გამოგვიცხადეს, რომ მაიმუნები, რომლებთანაც სასიყვარულო რომანი გვქონდა, თურმე საცდელნი ყოფილან და ყველა მათგანი „შიდსის" ვირუსს ატარებდა. შემოგვთავაზეს სისხლის ჩაბარება გამოსაკვლევად და დაავადებულნი აღმოვჩნდით. მეკითხებით, რატომ მიმიზიდა მაიმუნმა, გოგონები არ იყვნენ საკმარისი? მაშინ იქ ომი არ იყო. ზღვაზე ლამაზმანებს რა გამოლევდა. გაითვალისწინეთ, როგორი ჯარისკაცის ცხოვრების პირობები, ჭუჭყით გაპოხილი, მოუვლელი, მშიერი, დახურულ სპეც-ტანსაცმელში გამოწყობილი ჯარისკაცების კონტიგენტი. ზღვაზე დასასვენებლად ჩამოსული ოქროსთმიანი „პრინცესების" ყურადღებას ჩვენ ვერაფრით მივიქცევდით. მათთვის ზუსტად ისეთივე მაიმუნები ვიქნებოდით, როგორიც ჩვენი „რჩეულები" ჩვენთვის.

იმედი ყველას აქვს, ყველაზე უიმედო და განწირულ ავადმყოფსაც კი. ვმკურნალობ და გამოჯანმრთელებას ველოდები. ვსარგებლობ შემთხვევით და მივმართავ კითხვით შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობას: რა შეუძლია იღონოს იმისათვის, რომ ასეთი მოვლენები აღიკვეთოს? არამარტო ცხოველმავლობა, არმიაში ხშირია ჰომოსექსუალიზმის მაგალითებიც. სწორედ სექსუალური პარტნიორის არარსებობაა ასეთი მდგომარეობის მიზეზი საზღვაო ფლოტში, ალბათ, ბევრად რთულად დგას ეს საკითხი. აბა, ეს ნორმალურია? მეც იმიტომ მაინტერესებს, რას ფიქრობენ ამის შესახებ ისინი ზემოთ!

რესპონდენტის კითხვები უპასუხოდ დარჩა, რადგან სამწუხაროდ, იგი გარდაიცვალა.

ნეტავ რა ბედი ეწიათ საწყალ „შიდსის" ვირუსით ძალად დაავადებულ მაიმუნებს?!

ქეთი ჩადუნელი

მწერალი-დრამატურგი, იუმორისტი
ნოდარ ხუნწარია
ესაუბრა
მურმან მერკვილაშვილი

ბატონი ნოდარ ხუნწარია წლების განმავლობაში ემსახურებოდა (და ემსახურება) მუსიკალური თეატრის წინსვლის საქმეს. მისი ნაწარმოებები იდგმებოდა ყოველ სეზონზე კომპოზიტორების: შოთა მილორავას, გიორგი ცაბაძის და სხვა გამოჩენილ კომპოზიტორთა შემოქმედებასთან შერწყმული.

იგი 40-50-იანელთა თაობის წარმომადგენელია და ლაღი იუმორით იხსენებს „გარდასულ დღეთა“ მოგონებებს.




ბატონი ნოდარი დღეს „გაზეთ „საქართველოს“ სტუმარია და ვმასპინძლობ... (მურმან მერკვილაშვილი).

„ჩემი ამბების“ მასშტაბურობით (პირადი) ნამდვილად ვერ გაგაოცებთ, მხოლოდ ჩემს თაობას შევახსენებ იმ დიდებულ ადამიანებს, რომლებიც მაშინ (და ზოგიერთი დღესაც) თბილისის კოლორიტს ავსებდნენ და საფუძვლიანადაც, რაშიც ახლავე დაგარწმუნებთ (ნოდარ ხუნწარია).

*ვახტანგ ჭყოიძე*

ცნობილი კოლორიტი, ვახტანგ ჭყოიძე ექიმი კაცი გახლდათ, თავისი საქმის დიდებული მცოდნე და ერთდროულად მოსწრებული, კვიმატი სიტყვა-პასუხის მქონე და მფლობელი.

კახეთში ვართ ერთ ფრიად პატივცემულ ოჯახში, რა თქმა უნდა, ვქეიფობთ.

სმის (ქეიფის) დაწყებისთანავე ვახტანგმა ერთ, უჩვეულოდ თავგასიებულ კაცს (თანამეინახეს) დაადგა თავისი მახვილი თვალი.

– *საიდან ბრძანდებით, ბატონო, წარმოშობით?* – *შეეკითხა იმ კაცს საოცარი ინტერესით.*

იმ კაცს ძალიან გაუკვირდა მისი პერსონით ასე აშკარად დაინტერესება და გვერდზე მიიხედა, სხვას ხომ არ მიმართავსო.

– *თქვენ, თქვენ!* – *მიაჩერდა ღიმილით ვახტანგი.*

კაცი, იმის გარდა, რომ ტანთან შედარებით გაცილებით არაპროპორციული თავი ჰქონდა, მეტს არაფერს აშავებდა ამ ეტაპზე, მაგრამ მაინც დაეჭვდა.

– მე, ბატონო?

– *დიახ, თქვენ...*

მე... მეე... ხოო... მე (გაახსენდა, როგორც იქნა)... ფოთიდან გახლავართ, მაგალითად, თქვენ ყოფილხართ ფოთში?

– *გავლით... ბორჯომიდან მივდიოდი სკრაში, აქირქილდა ვახტანგი.*

– სკრაში კარგი თაფლი იცის (სკაში არია), გამხიარულდა მეგრელი.

– *რა გვარი ხარ?* – „*გლიჯა*“ *მომდევნო კითხვა ჭყოიძემ.*

– ლაგვილავა ვარ, მაგრამ სახლში მოფერებით ძიკის მეძახიან მე...

ხარხარმა იქაურობა გააყრუა. ლაგვილავა ბევრს ვერაფერს მიხვდა, მაგრამ მაგათზე ნაკლები რით ვარო და თვითონაც ახარხარდა. ახარხარდა კი არა, მეგრულად ჩაბჟირდა.

ამ ეტაპმა რომ ჩაიარა და სმა გახურდა, ვახო მაინც არ ეშვება.

– *აჰა, ფოთიდან ხარ, ხომ?*

– კი, შუაგული... არ დაიბნა ლაგვილავა.

– *კაცო, ეს რამხელა თავი გაქვს... შენ უნდა თქვა თავი მაქვსო – „შაქო“ ამან.*

– კი, ნავარგები ვარ მე ძალიან. ნიჭი მაქვს მე თავში დიდი, ასე რომ ვთქვათ – ამ ადვილ კითხვასაც გაუძლო ძიკომ. (თავშეკავებულმა სიცილმა ადვილად გაიშრიალა ახმაურებულ თეფშებს შორის). მოსახდენი წინ იყო.

– *თბილისში როდის ჩამოხვედით?* – *დასვა მორიგი კითხვა ექიმმა.*

– თბილისში... თბილისში... პატარა ვიყავი, 6 წლის.

– *არ იტყუება, ხომ იცით... კიდო კაი 6 წლის იყავი ბიძიკო, თვარა, ოცდაექვსი წლის შენი თავი წინის გვირაბში რაფრა გამეტეოდა...*

– ვაააიი! – ვიხუვლეთ ჩვენ...

საოცარი ის იყო, რომ ჩვენი ძიკო, ყველაზე მეტად გამხიარულდა...

„მოსაკლავი მე თვითონ ვარ“

ერთ შემოქმედებით ცენტრში, გიგა ლორთქიფანიძე ალეგორიული პიესის პრემიერაზე მიიწვიეს. ესეც დათანხმდა. „მოქმედი პირები“ ცხოველებს წარმოადგენდნენ.

პიესა მართლაც ალეგორიული იყო და „მოდერნისტ“ რეჟისორს ყველაფერი „აბსტრაქტული“ ხერხით გაეკეთებინა. კაცი ვერ გაიგებდა, მამალი იყო ძუძუებიანი თხა თუ თხა იყო ბიბილოებიანი მამალი...

– *ბატონო გიგა, ხომ ვერ მეტყვით, აი, ის, თიკანია თუ ვირი?* – შეეკითხა რეჟისორს გვერდით მჯდომი, კეკლუცი მანდილოსანი.

– ეგ არც მე ვიცი, პასუხობს გიგა... ის ვიცი, რომ მე ვარ ვირი, აქ რომ მოვედი...

მელანდება?

ერთხელ, ბატონი ვახტანგ ჭყოიძე, ცნობილმა მსახიობმა და დიდებულმა პიროვნებამ – გოგი გელოვანმა თავის პრემიერაზე მიიწვია. მოდი, მიყურე და მერე „დავასველოთო“.

– სად მცალია ახლა, ჩემო გოგი. ძალიან მაინტერესებს შენი წარმატება, მაგრამ დარიალში სპეციალურად გავაშლევინე სუფრა. ბიჭები მელოდებიან. ამაღამ ჩვენთან წამოდი და მაგი ხვალიზა გადავჭდოთო.

– როგორ, კაცო... უჩემოდ სპექტაკლი ჩაიშლებაო. მოდი, ნახე და ... მერე ვიქეიფოთ და ვიქეიფოთ. დაყაბულდა ვახტანგი. მივიდა სპექტაკლზე. გადის „რიჩარდ III“. დიდხანს იცადა ვახტანგმა, იწრიალა სკამზე. ამთქნარა, მაგრამ ძმაკაცი არ ჩანს სცენაზე.

ბოლო მოქმედებაში სცენაზე კუბო დგას.

– გოგიი! – გაუბედავად დაიძახა ვახტანგმა პარტერიდან. ხმა არ ისმის (რა თქმა უნდა).

– გოგიიი! – მოუმატა ვახომ ხმას. მაყურებლების ყურადღება მიიქცია, თორემ მეტი არაფერი მომხდარა.

– კაცო, გოგი გელოვანმა დამპატიჟა... აგერ, მთავრდება სპექტაკლი და ჯერ თვალი არ მომიკრავს სცენაზე. ღევიჯერო, ახლა კუბოში წევს და კვტრის როლს ასრულებს? – გადაუჩურჩულა მეგობარს და დარბაზი დემონსტრატიულად დასტოვა... არ მენახოს მაგის კუბო... ბიჭოსს!!!

აპა, რაფრაა?

ცხონებული ნიაზ დიასამიძე ყველასათვის საყვარელი პიროვნება გახლდათ. განათლებული, სპორტისმოყვარული და უდიდესი იუმორის პატრონი.

– რავა დამთავრდა გუშინ თამაში, ჩვენები რო „სპარტაკს“ ეთამაშებოდნენ, მითხარი ერთი, მთვრალი ვიყავი წუხელ და ვერ ვუყურე – ეუბნება ნიაზა ძმაკაცს.

– 3:1 წააგეს ჩვენებმა.

– რატომ, კაცო?

– რაღა რატომ, თუ გიყვარდე... (თავის გუნდს ყველა თბილისელი მოუძებნის ხოლმე „გასამართლებელ“ მიზეზს).

წვიმდა, კაცო... კოკისპირულად.

– ესე იგი, კოველები „ზონტიკებით“ ნათამაშებიან?..

* * *

– ერთ მშვენიერ დღეს, ჩვენმა ახლო მეგობარმა, კახა სიმონიშვილმა (რომელიც ჩვენი დიდი თაყვანისმცემელი და დიდებული მოსახლეა) კახეთში მიგვიწვია საქეიფოდ. მე, ბატონი გიორგი ცაბაძე და კიდევ რამოდენიმე მოლაწე.

კახეთში მასპინძელმა თვალებშეშფოთებული, აცახცახებული შვლის ნუკრი გამოიყვანა და ხელში შეათამაშა. ამის მწვადებს მოგართმევთ, სულ 1 საათშიო.

შვლის ნუკრის მშვენიერებამ დაგვატყვევა... ადამიანი მხეცია, თვარა – იმის დაკვლა ნამდვილი მკრეხელობა იყო.

აიყვანა გულაფართქალებული, ეს ბუნების ულამაზესი ქმნილება ხელში ბატონმა გიორგიმ და მართლაც საოცარი სინაზით მოეფერა. შველიც გაიტრუნა და თავი დანდობილად მიადო დიდ მაესტროს.

– *ეს შველი არ დაკლა, თუ ჩემი პატივისცემა გინდა. მიმართა მასპინძელს. იმანაც პირი გააღო.*

– მა როგორ?

– *შოთი მომიტანეთ და ღვინო...* „*აუხსნა*“ *ცაბაძემ.*

– როგორ შეიძლება, ბატონო გიორგი... ამოტოლა გზა გამოგვივლია, რა... ღმერთი არ არი? – ახლა შვლის მწვადი არ ვჭამოთ? – გავუშინაურდი ფრთხილად.



– *რაო?!*

– *შემომხედა დაკვირვებით. ბიჭო, შენი სიფათის (სარკეში ჩაიხედე) პატრონმა რომ ასეთი შველი შეჭამოს, ცოდვა არაა?*

გადარჩა შველი...

„აბა რა ბაქვთ?“

ბიძინა კვერნაძე გსატრონომში შევიდა.

– *თუ ძმა ხარ, სტუმარი მყავს, ორი კილო ჯიგარი ამიწონეთ?*

– ჯიგარი ამომერთვას, თუ მქონდეს.

– *ვაა, კბილები ღალატობს, კაცო, ჩემს სტუმარს. კარტოფილი როგორ ვაჭამო?* – გაოგნდა თავმოყვარე კომპოზიტორი – *გულიც არ გაქვთ?* – ჩაეჭიდა იმედს.

– არც გულია... მილიციის უფროსმა წაიღო წეხან.

– *ტვინი მაინც...*

– არც ისაა... დააგვიანეთ...

– კაცო, შენ რა ძროხა დაკალი?

– ფირუზა ქვიაო, პატრონმა.

– *შე შობელძაღლო, უგულო, უჯიგრო და უტვინო ძროხა რამ დაგაკვლევინა, ეს ნაწილები რაიკომის მდივანს დაურიგე თუ მართლა მატყუებ?*

ვაი, თქვენს პატრონს!

ვახტანგ ჭყოიძე (ნუ მიწყენთ, სულ იმ კაცზე რომ ვსაუბრობ, მაგრამ ფაქტია და ვერ გავექცევი) ერთ „კამპანიაში“ (ქეიფში) დაპატიჟეს, მაგრამ არ წავიდა. მეორე დღეს ძმაკაცი ეუბნება.

– ტყუილა თქვი, ვახო, უარი... მე ვიყავი თამადა და 24 ჭიქა დავლიე ძმაო.

– *რა წონის ხარ შენ?* – იკითხა ვახომ.

– 64-ის.

– *ან იტყუები, ან ვერ ყოფილა კაი სმა...*

იუმორი

რედაქტორი: – *ეს რა უკბილო იუმორი მომიტანეთ?*

ავტორი: – პროთეზი გამიტყდა და უკბილოდ ვწერე.

* * *

კომისარი: – *თქვენი შვილი ჯარში უნდა წავიყვანოთ.*

დედა: – წეიყვანეთ, მარა საღამოს 7 საათზე აქ იყოს, ქაში უნდა ვაჭამო.

* * *

რაჭველებმა ჭრებალოში მატჩი წააგეს.

– *რა გაგიჭირდათ?* – ეკითხებიან.

– ორი ავტობუსი ხალხი ჩევედით და თერთმეტის მეტი არ გვათამაშეს ქვ?..

* * *

– *მამიკო მთვრალია...*

– რა იცი, შვილო?

– *ბეზაპასნით სარკეი პარცამს...*

* * *

– *რას აკეთებ საშიკუნა?* – *ეკითხებიან რაჭველს.*

– წერილლლლ... უპ, ვწერ ბიძაშვილსა.

– *რა ამბავია, ასე ნელა რომ წერ?*

-- ჩქარა ვერ კითხულობს და...

* * *

– შე, ვირო, შე, ვირო... კახელი – ვირის ხმა მესმის. მეორე კახელი:

– რა გაჩხუბებს? – თბილისელი.

– მოწყდი აქედანა... ვიროო!!!

## სატირისა და იუმორის გვერდი

არაკაცები

ჩვენ შორის დადიან ისინი,
ბევრს ნიღაბი აქვს სამი,
ყალბი ღიმილით სახეს იბადრავენ,
თუმცა გული აქვთ შავი.
ზოგს „ზრასტის“ ეტყვიან, ზოგს გამარჯობას,
ზოგს „ჰელოუს“ და „ბარევს“,
მაგრამ გაჭირვებულს არასდროს
გაუღებენ სახლის კარებს.
ერთი აქვთ საფიქრალი:
ფული, კარიერა და ქონება,
სიხარბემ დაუბრმავათ თვალები,
გიჟივით გაუხდათ გონება.
დაკარგეს სიყვარული მოყვასის,
გული აქვთ ავი და ცივი.
ერთავად დოლარზე ფიქრმა
თვალებში ჩაუქროთ სხივი.
ველარ ალიქვავენ ირგვლივ სილამაზეს,
დავიწყებიათ ენა ბუნების,
სიმდიდრის წყურვილით გახარბებულთ
ხასიათი გაუხდათ ჰუნების.
მათსავით არ ინდობენ ქვეყნად არავის,
ფეხებზე იკიდებენ ერსა და მამულს,
არ დაფიქრდებიან ისე გაჰკაფავენ
ვენახს პაპათგან დარგულს.
უყვართ სიტყვების ბრახა-ბრუხი,
ყანწით გადადიან ალავერდს,
დაგიდებთ სანაძლეოს
ფულისათვის,
დღესვე წაბილწავენ გრემსა და ალავერდს.

მიხეილ ტიბანელი

ჩვენ თქვენგან ველით შველასა.
ჩვენ გულისტკივილს რჩეულობთ
მანდ პრეზიდენტის წყენასა.
ხვნა-თესვას დაიწყებს გლეხი,
საწვავის ფასიც იზრდება,
მე ვერ გავიგე თქვენგანა
ვინ რა შეღავათს გვპირდება
ჰოდა, უენო გლეხებო,
ე მაგ შიშველა ხელებით,
ჯართად ქცეული ტექნიკა
უნდა ატაროთ სვენებით.
ეგრე ვცოდვილობთ, იცით,
მიტომ აგეწვათ სახეო,
ერთჯერ თიანეთს ამოდით
და ერწოს ხალხი ნახეთო.
როგორ სათუთად უვლიან
მიწას გოჯსაც და მტკაველსაც,
მავანი საჯიჯგნადა ხდის
ჩვენს ოფლით მორწყულ მთაველსა.
ჯერ ლებერდისთან ნუ მიხვალთ,
გაესაუბრეთ გლეხებსა,
თაყვანი ეცით, დალოცეთ,
იმათ დაკოჟრილ ხელებსა.
ვის რას მოგიტანთ ვინ იცის
ეს ცოდვა-მადლის სასწორი,
მადლს მოიცხებდით, გეჩუქათ
ერთი ჩინური ტრაქტორი.
თუკი გსურთ, მალე მიაგნებთ
საქმეს იოლს და მარტივსა,
სულ თქვენი ხარჯით ჩადგამდით
ერთ ლარიბ „კოოპერატივსა“.
იმ ძველს ახალით შევცვლიდით,
ქებას გეტყოდით რამდენსა.
საქმეს მეტს გავაკეთებდით,
აღარ ვირბენდით ამდენსა.
ეს ფუჭი ოცნება არის,
ცხოვრებას ვხედავთ ნამდვილსა,




მძღოლები, სანთლით ეძებენ
სათადარიგო ნაწილსა.
ხმასაც მოგცემდით სოფელი
ალალს და არა ნაყიდსა,
გადურჩებოდი ძამია
იმ იპიჩმენტის საკითხსა.
თქვენ ჩვენი ჯავრი არა გაქვთ,
პირადულს ვერა ღალატობთ,
გაშვებული ხართ ლაღადა,
ვისაც სად გინდათ ბალახობთ.
ჰოდა, ვერ ვიგებთ რა ხდება,
იწილოა თუ ბიწილო,
ვინც კანონებში ვერ ჯდებით
სახლში დაბრძანდით, ბიძიკო.
სოფლის-სურსათის მინისტრის
არ მოვერიდე წყენასა,
სანამ გლეხს შველა სჭირდება,
ვერ გავაჩერებ ენასა.

ნათელა ბუჯიაშვილი

ჩვენ ვერ გიშველით, მინისტრო!

მე რადიოში ვუსმენდი
ბაკურ გულუას გამოსვლას,
მომაჯადოვა ნიჭით და
შველაც სჭირდება საცოდავს.
თურმე სოფლისთვის მიღებულს
თანხას უმიზნოდ ხარჯავენ,
ვერ მოერია საწყალი,
ამდენ უთოფო ყაჩაღებს.
ჩვენ ვერ გიშველით, მინისტრო,

# ჰოროსკოპი

## 17 ნოემბრიდან— 23 ნოემბრამდე

### ვერძი

ნეიტრალური კვირაა. მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო საქმეებისათვის მეტად ხელსაყრელი იქნება. მეგობრებისა და კოლეგების მხრიდან რეალური მხარდაჭერის მიღების საშუალება გექნებათ. გამოიყენეთ მათი რჩევები და გამოცდილება თქვენი შემდგომი მოქმედებების სრულყოფისათვის

### კურო

ყველაზე მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო საქმეების შესასრულებლად ხვალინდელი დღე მეტად ხელსაყრელი იქნება. დღეს კი დროულად მოაგვარეთ დაგროვილი წვრილმანი საქმეები. ნუ მიიღებთ ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს.

### ტყუპები

მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას არ იჩქაროთ. კიდევ ერთხელ გადაავლეთ თვალი თქვენს სამომავლო მოქმედების გეგმას და იხელმძღვანელეთ მეტად დახვეწილი და კონკრეტული მოსაზრებებით.

### კიბო

ნეგატიური კვირაა კიბოთა უმრავლესობისათვის. შეეცადეთ თავიდან აიცილოთ მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო საქმეებში და შეხვედრებში მონაწილეობა. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს.

### ლომი

განსაკურებულ როლის და მნიშვნელობას შეიძენს პარტნიორული დამოკიდებულებები. თავი აარიდეთ საკანონმდებლო და ძალისმიერი სტრუქტურების წარმომადგენლებთან ურთიერთობას.

### ქალწული

მიღწევები, რომლებიც დღეს შეიძლება მოიპოვოთ, თავის მასშტაბებით ბევრად უფრო უმნიშვნელო იქნება, ვიდრე ის ნეგატიური ემოციები, რაც შეიძლება მოჰყვეს ახლობლური ურთიერთობების დაძაბვას.

### სასწორი

პოზიტიური კვირაა. ემოციურ სფეროში მოსალოდნელია სიურპრიზები, რომელთაგან ყველა არ იქნება სასიამოვნო.

### მორიელი

ძალზე მგრძნობიარე და ჭირვეულმა ემოციურმა მდგომარეობამ შეიძლება დეპრესია გამოიწვიოს. შეეცადეთ შეინარჩუნოთ მშვიდი, ოჯახური განწყობილება.

### მშვილდოსანი

არ არის გამორიცხული, რომ სამსახურებრივი ან კოლექტიური ინტერესების გამო მოგიწიოთ ახლო მანძილზე მგზავრობა. შესაძლოა, მიიღოთ ძალზე საჭირო ახალი ინფორმაცია.

### თხის რქა

გაუმკლავდით მოზღვავებულ პრობლემებს. მოერიდეთ ფულის გაუზრებელ ხარჯვას.

### მერწყული

შეეცადეთ დაარეგულიროთ პირადი ურთიერთობები. ნუ გექნებათ ზედმეტად მგრძნობიარე რეაქციები ახლობელი ადამიანების საქციელისა და გამონათქვამებისადმი. მოერიდეთ იმპულსური, ემოციური სურვილებით ნაკარნახევი გადაწყვეტილებების მიღებას.

### თევზები

მნიშვნელოვანი წამოწყებებისათვის ეს კვირა მეტად ხელსაყრელი იქნება. რთულ ვითარებებში დაეყრდენით თქვენს ინტუიციას, შესაძლოა მისი საშუალებით ერთადერთი სწორი სამოქმედო გზა მოიძიოთ. გამოიჩინეთ წინდახედულება ერთობლივ პროექტებში მონაწილეობისას.

# კაიფვორდი



თარაზულად: 5. მთის ყვავილი, რომელიც „აისის" დროს „ელავს"; 9. დაავადება, რომელიც „უბრალო ტიტინით" არ რჩება (რუს.ნაწ.კავშ.); 10. „ეგზემით" დაავადებული „კუციას" დაყაჩაღება; 11. ტაშისკვრა „ნაყოფიერი მოსმენის" შემდეგ (რუს. ნაწ. კავშ.); 13. „გასკვანჩული" ფრინველი; 15. ფინური „საუნჯე"; 16. როგორი კიტრია საჭირო „ტროპიანი პიკულის" ჩასადებად; 17. „მიწიკწიკე" კანფეტი (რუს.კავშ.); 18. „ადლებით" გაზომილი სოფელი ბათუმთან; 20. „ლურჯი ჭურჭელი (რუს. კავშ.) 23. „კურდღლის" ცურვა (რუს. კავშ.); 25. „საზაფხულო ბალი" ოპერაში (რუს. კავშ.); 27. კატა რომ პარასკევობით ვერ წვდება; 28. კაცი, რომელსაც სტუმარი „პანტას და ლიმონს" ურჩევნია; 30. „ჭურვის" დასამზადებელი ქვევრი; 31. „მარილიანი" რკინის ნაჭერი (რუს. კავშ.); 32. „შესარიგებელი" თითი; 33. „კინოლოგების" საყვარელი სანახაობა; 34. წვეულება, სადაც „ანია პანებს კამით" უმასპინძლდება; 35. შურიკას რომ შეეცოდა სადღეგრძელოში (ფილმ. კავშ.).

შვეულად: 1. ქალი, რომელიც „კრუპულს სკაში" მალავდა; 2. ქალაქი რუსეთში, სადაც „გეფსკვნებიან"; 3. „დამწიფებულ" ხალხს რომ აძლევენ; 4. „სტრიპტიზიორი" წამალი, რომელიც „მიცინის"; 6. „ლადოს" ძაღლი, რომელიც „ლადოგის" ტბაში დაიხრჩო; 7. „ვაკეში ანას" შედგენილი სამუშაო ადგილების "სია"; 8. „ინგას სვირში" რომ გაუკეთეს; 10. პატიმრის განვითარების სტადია სასჯელის მოსახდელ ადგილზე მიყვანამდე; 12. „იურას" საყვარელი ფაფა; 14. თხა, რომელიც „ნიავმა მორზე" დააგდო; 19. კაცი, რომელიც „დალის" ლურჯი „ტონიკის" ნაცვლად მწვანეს აძლევს; 21. „ერიკას ისტორიული" სკანდალი; 22. „სიძვირით" ცნობილი მრუშობა; 23. ქართული ცხვირის მშვენება, სომხურის – სიმახინჯე; 24. საქონლის „იმ პორტიდან" შემოტანა; 25. ქსოვილი, რომელშიც „ილონა ბაიას" ახვევს; 26. ხვლიკი, რომელიც ნიანგზე „სამი ტონით" დაბლა მღერის (რუს. ნაწ. კავშ.); 29. რა „აბია" კომშის ხეს; 30. „კოკონას" რომ სჭირდება ცეცხლის გასაჩაღებლად.



თეონა ალიმბარაშვილს!
უკვე 7 წლისა გახდი, ჩვენო ლამაზო თეკო, თვალსა და ხელს შუა გაიზარდე.დაბადების დღეს გილოცავთ! დიდხანს იცოცხლე და იბედნიერე,
შენი „მბელი ბელა"
ბიძია და ბია მამიკო

ვულოცავთ დავით ბუჯაბიძეს ქალიშვილის, ანას მოვლინებას ამქვეყნად. ვუსურვებთ ბევრ და-ძმას და ცხოვრებას ბედნიერ საქართველოში.

**გაზეთ „საქართველოს" რედაქცია**

მიშიკო, გილოცავ დაბადების დღეს! გისურვებ სტუდენტობას!

პატივისცემით კოტე წერეთელი

ზურიკო ტაბატაძეს და ნუნუკა ქიტიაშვილს ვულოცავთ ქალიშვილის, თამთას შეძენას. ვუსურვებთ ბედნიერებას, ნათელ მომავალს და დიდხანს სიცოცხლეს მშობლებთან და ახლობლებთან ერთად.

**გაზეთ „საქართველოს" რედაქცია**

გაზეთ „საქართველო"-ს კომპიუტერული ცენტრი გთავაზობთ გაზეთების, ჟურნალების, წიგნების დაკაბადონებას, აგრეთვე მცირეტირაჟიანი გამოცემების (5000 ცალამდე), ბეჭდვას რიზოგრაფზე სწრაფად და ხარისხიანად, თანაც, რაც მთავარია, მისაღებ ფასებში

8 გვერდიანი A3 ფორმატის შავ-თეთრი გაზეთის დაკაბადონება – 50 ლარი
თითოეულ ფერად გვერდში +5 ლარი.

4 გვერდიანი A4 ფორმატის შავ-თეთრი გაზეთის დაკაბადონება – 12 ლარი
თითოეულ ფერად გვერდში +3 ლარი.

ქართული წიგნის დაკაბადონება 1 ფორმა (16 გვერდი) 13-20 ლარი, სირთულის მიხედვით

უცხოენოვანი წიგნის დაკაბადონება 1 ფორმა (16 გვერდი) 15-25 ლარი სირთულის მიხედვით

რიზოგრაფზე ორმხრივი A3 დაბეჭდვა 100 ეგზემპლიარი 8,5 ლარი
500 ეგზემპლიარი 27 ლარი

ჩვენი მისამართია:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5. II სართული, ოთახი №210. ტელ.: 93-20-36, 93-18-41

## განცხადებები

სასწრაფოდ და იაფად იყიდება ერთოთახიანი იზოლირებული ,სუფთა ბინა ტელეფონით, ჩაშენებული კარადებით, რკინის კარებით, შუქი და წყალი მუდმივია. წერეთელზე 8 სართულიანებში მესამე სართულზე, გამოფენის წინ. დაგვირეკეთ 67 - 63 - 76

იყიდება ან იცვლება ნაწილობრივ სარემონტო ოთხოთახიანი კერძო ბინა (10--12-ზე)ეზოში ყველანაირი მსხმოიარე ხილით.პროექტით გათვალისწინებულია მეორე სართულიც. დენი და წყალი მუდმივად. მეტრო ახმეტელთან 5 წუთის სავალზე. საკონტაქტო ტელეფონი 73--91--40

თანაგრძნობას ვუცხადებთ დათო ხომასურიძეს დედის გარდაცვალების გამო.

საქართველოს სახალხო ფრონტი

გაზეთ „საქართველოს" რედაქცია

მთავარი რედაქტორი სერგო ჯანაშია

რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447

შ.პ.ს. გაზეთი „საქართველო" რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444
ტელ.: რედაქტორი: 93-20-36, რედაქცია: 93-18-41

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გამოქვეყნებული მასალებზე პასუხს ავტორები აგებენ.